619
1964

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 8 აგვისტო 1964



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოსმონავტები



ამ ქალიშვილებმა საქვეყნოდ გაითქვეს სახელი, ეწვიეთ მახარაძის რაიონს, მოინახულეთ სოფელ ასკანის კოლმეურნეობა: ყველა სიამაყით დაგიწყებთ საუბარს კლარა ნაცვლაძის ახალგაზრდულ რგოლზე.

ყოველ დილით, ირიჟრაჟებს თუ არა, რგოლის წევრები ჩალის ქუდებითა და ვეებერთელა კალათებით მოეფინებიან პლანტაციას. მათი მოუღლელი მარჯვენით ზღვასავით ხვავდება ჩაის ნორჩი დუყები, მოდის და მოდის საუკეთესო ხარისხის „მწვანე ოქრო“.

ცაზე ზაფხულის მცხუნვარე მზე შემოიმაღლებს. შრომაში გართულ ქალიშვილებს შეუმჩნევლად წამოეპარებათ შუადღე.

დასხდებიან ხოლმე მეგობრები ერთად, გულიანად შეექცევიან საუზმეს, მერე კი ხალისიანი საუბრით იქცევენ თავს.

იმ დღესაც ჩრდილში ისვენებდნენ ქალიშვილები, როცა რადიომ კოსმოსში საბჭოთა მოქალაქის, პირველი კოსმონავტი ქალის ვალენტინა ტერეშკოვას გაფრენის საზეიმო ამბავი გადმოსცა.

იმავე საღამოს მერგოლეურმა კლარა ნაცვლაძემ და მოწინავე მეჩაიემ ნარგიზა ჩხაიძემ მთელი რგოლის სახელით წერილი გაუგზავნეს სახელოვან ქალიშვილს ვალენტინა ტერეშკოვას.

ქართველმა მეჩაიეებმა პირველი კოსმონავტი ქალი თავიანთ რგოლში ჩარიცხეს და ვალდებულება აიღეს მის ანგარიშში სულ ცოტა 3 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოეკრიფათ.

ახალგაზრდულმა რგოლმა პირნათლად შეასრულა ვალდებულება. შარშან მათ 37 ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარეს სახელმწიფოს. ვალენტინა ტერეშკოვას ანგარიშში კი 4 ათასი კილოგრამი „მწვანე ოქრო“ მოკრიფეს.

სიხარულს კვლავ ახალი სიხარული მოჰყვა. შეიტყვეს თუ არა ასკანელმა მეჩაიეებმა, რომ კოსმონავტების ოჯახს შვილი შეეძინა, ქალიშვილებმა გადაწყვიტეს ალიონუშკას ანგარიშში წელს ერთი ტონა ჩაი მოკრიფონ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 8 (157) აგვისტო, 1964 წ.

გამოცემის XIV წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



# მეჩაიეები



სითბოთი და სიყვარულით იყო აღსავსე ვალენტინა ტერეშკოვასა და ანდრიან ნიკოლაევის წერილი, რომელიც მათ ასკანელ ქალიშვილებს გამოუგზავნეს: „ყოველი პროფესია საპატიო და სასიამოვნოა. თქვენს პროფესიაზე კი შეიძლება ითქვას, რომ იგი გემრიელიც არის“,—წერდნენ ისინი. სახელოვანი კოსმონავტები ქართველ მეგობრებს აღუთქვამდნენ, რომ აუცილებლად ეწვევიან მათ სტუმრად.

ფოტო ხ. კილაძისა

# ჩვენი უმაღლესი მიზანი

მთელმა საბჭოთა ხალხმა, მთელმა მოწინავე კაცობრიობამ ერთსულოვნად მოიწონა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე მოწვევის მეოთხე სესიის გადაწყვეტილებანი; სესიამ მიიღო კანონები „კოლმეურნეობის წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ“ და „განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას“. ამ კანონების მიღება, როგორც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა სესიაზე, „ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ ჩვენს პარტიას, ჩვენს მთავრობას არა აქვს სხვა საზრუნავი, გარდა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვისა. ჩვენი უმაღლესი მიზანი ის არის, რომ წარმატებით ვაშენოთ კომუნიზმი, მტკიცედ და თანმიმდევრულად განვახორციელოთ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების კურსი, ამას მოგვიწოდებდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ფუძემდებელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, და ჩვენ მტკიცე რწმენით მივდივართ წინ ლენინური გზით“.

როგორც ცნობილია, პარტიამ თავის პროგრამაში, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო, დასახა გრანდიოზული ამოცანები: შექმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მიაღწიოს წარმოების ისეთ განვითარებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს უხვად დავაკმაყოფილოთ საზოგადოებისა და ყველა მისი მოქალაქის მოთხოვნილებანი, უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე კაპიტალიზმის ყოველ ქვეყანასთან შედარებით. პარტია თანმიმდევრულად და განუხრელად ახორციელებს თავის პროგრამას.

კოლმეურნეობათა წევრთათვის პენსიებისა და დახმარების კანონის მიღება — დიდად შეუწყობს ხელს სოფლის მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ახალ აღმავლობას, ასევე დიდი და განუზომელი მნიშვნელობა აქვს კანონს სახალხო მეურნეობის იმ დარგების მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას.

ეს დიადი წარმატებანია, რომლებსაც ჩვენმა ხალხმა თავდადებული შრომით მიაღწია.

საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმით, რომ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება განუყრელად დაკავშირებულია ეკონომიკის განვითარებასთან, შრომის ნაყოფიერების ზრდასთან. კომუნიზმი გულისხმობს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიღწევათა საფუძველზე საწარმოო ძალების ისეთ განვითარებას, როცა საზოგადოებრივი დოვლათის ყველა წყარო უფრო უხვად იდინებს; ამ ნათელი გზით მიდის ჩვენი ქვეყანა — მარტო უკანასკნელი ათი წლის მანძილზე სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი 2,3-ჯერ გაიზარდა. მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი ამ ხნის განმავლობაში 61 პროცენტით გადიდდა. განუწყვეტლივ იზრდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. ყველას, ვინც ჩვენს ქვეყანაში ჩამოდის, აოცებს საბინაო მშენებლობის მასშტაბები.

ყოველი სტრიქონი, ყოველი პუნქტი სესიის მიერ მიღებული კანონებისა მეტყველებს იმაზე, რომ მხოლოდ სოციალიზმი სახავს თვითეული მშრომელი ადამიანის წინაშე კულტურის ამაღლებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების უფართოეს შესაძლებლობებს, მხოლოდ სოციალიზმი განადიდებს მშრომელ ადამიანს, მოსავს მას ზრუნვითა და პატივისცემით.

ჩვენი ხალხი დღეს უკეთ ცხოვრობს, ვიდრე გუშინ ცხოვრობდა. მაგრამ სურს იცხოვროს და იცხოვრებს კიდევ უფრო კარგად — აი ამაზე მეტყველებენ კანონები, მიღებული სესიის მიერ. ჩვენ მტკიცე რწმენით მივდივართ წინ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ლენინური გზით. ხალხის კეთილდღეობის ამაღლება, ხალხზე ზრუნვა — ჩვენი უმაღლესი მიზანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# შორეული მეზობლების ძახილი

ექვსნახევარ წელიწადზე მეტი გვაშორებს იმ დიად დღეს, როცა ისტორიის საათმა გვამცნო ახალი ერის — კოსმოსური ერის დადგომა. 1957 წლის 4 ოქტომბერს უსაზღვრო სივრცეში გაიჭრა დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. მთვარეს გაუჩნდა უმცროსი ძმა. იგი დაიბადა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

პირველი თანამგზავრის გაშვების შედეგად შესაძლებელი გახდა მთელი რიგი ურთულესი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა, ამიერიდან კოსმონავტიკის სწრაფ აყვავებას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა. პირველად იქნა დაძლეული დედამიწის მიზიდულების ძალა, ორბიტაზე გავიდა 83,6 კილოგრამი წონის ხელოვნური ციური სხეული.

იმისათვის, რომ თანამგზავრი დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე მოხვდეს, მისი გაფრენის სიჩქარე უნდა იყოს ე. წ. პირველ კოსმოსურ სიჩქარეზე არა ნაკლები — წამში თითქმის 8 კილომეტრი. ასეთი სიჩქარის მიღება დაკავშირებულია ენერგიის უდიდეს ხარჯვასთან — თანამგზავრის წონის თვითეულ კილოგრამზე სამ მილიონზე მეტი კილოგრამომეტრი ენერგიის ხარჯვასთან.

კომპლექსური სამეცნიერო-საზომი ხელსაწყოებით აღჭურვილი პირველი საბჭოთა თანამგზავრი დედამიწის პირველი მაცნე, პირველი შიკრიკი იყო კოსმოსისაკენ. მისი გაშვების შემდეგ არ დარჩენილა აღარც ერთი სკეპტიკოსი, რომელსაც შეიძლება ეჭვი შეეტანა იმაში, შეიძლება თუ არა კოსმოსში გაფრენა.

ჯერ კიდევ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ კოსმოსს უწოდებდნენ უჰაერო სივრცეს. იქ ნამდვილად მეფობს ვაკუუმი — სიცარიელე, წარმოუდგენელი მიწიერ პირობებში. კოსმოსში არსებობა შესაძლებელია მხოლოდ გარემოსაგან სრული იზოლაციის მეოხებით, მხოლოდ ჰერმეტიულად დაგმანულ კაბინაში, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ჰაერის რეგენერაციის სისტემით, სითბური რეგულაციით, წყლის, საკვების და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების სხვა სპეციალური საშუალებებით. ყველაფერი ეს რთული, მაგრამ არა ახალი ტექნიკური პრობლემებია. ისინი თითქმის ანალოგიურია ბატისკაფებში — წყალში ღრმად ჩასაშვებ აპარატებში სიცოცხლის უზრუნველყოფის პრობლემებისა.

მაგრამ არის სპეციფიური ფაქტორები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ კოსმოსური ფრენის დროს ვლინდება. ეს არის გადატვირთვა, ვიბრაცია, ძრავების ხმაური, უწონადობა, ხანგრძლივი ყოფნა მკვეთრად შეზღუდულ პირობებში.

ასე რომ, კოსმოსური ფრენის ბიოლოგიური პრობლემები წამოწეულ იქნა პირველ პლანზე. ამ პრობლემებს მიეძღვნა დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრის გაშვება, რომელშიც ძაღლი იმყოფებოდა. ამ პირველი ორბიტალური ბიოლოგიური ექსპერიმენტის შედეგად შეიქმნა სიცოცხლის უზრუნველმყოფი სისტემები, რომლებიც საიმედოდ ასრულებდნენ თავიანთ ფუნქციებს. დამტკიცებულ იქნა, რომ უწონადობაში ხანგრძლივი ყოფნა არ არღვევს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებს, რომ გზა კოსმოსისაკენ ადამიანისათვის არ არის დაკეტილი.

და აი, კოსმოსური ხომალდი გადაიქცა ადამიანის ახალ ბინად. 1961 წლის 12 აპრილს კოსმოსური ხომალდის ძრავებმა, რომელთა სიმძლავრე ოცი მილიონი ცხენის ძალას აღემატებოდა, ორბიტაზე გაიყვანეს მსოფლიოში პირველი კოსმონავტი მაიორი იური გაგარინი.

ახლა საბჭოთა კოსმონავტების ოჯახი ექვს კაცამდე გაიზარდა და ყოველი მათგანი იყო თავისებურად პირველი, ყოველი გაფრენა შეიცავდა წინასთან შედარებით ახალ ელემენტებს. გ. ტიტოვმა პირველმა დაჰყო კოსმოსში დედამიწის „სასიცოცხლო რიტმის ერთეული" — დღე-ღამე. იგი წარმართავდა ხომალდს ხელით მართვის სისტემით, აწარმოებდა მეცნიერულ კვლევას, კინოგადაღებას, ვარჯიშობდა და სხვ.

ა. ნიკოლაევმა და პ. პოპოვიჩმა განახორციელეს პირველი ჯგუფური გაფრენა. ისინი ატარებდნენ ბიოლოგიურ ექსპერიმენტებს, დგებოდნენ სავარძლებიდან და თავისუფლად „დაცურავდნენ" კაბინაში.

ვ. ბიკოვსკისა და ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას გაფრენა — პირველი მრავალდღიანი გაფრენა იყო, რომელშიც მონაწილეობდა კოსმონავტი ქალი.

წინ კიდევ ახალი, კიდევ უფრო რთული კოსმოსური და საპლანეტათშორისო გაფრენებია. და ისევე, როგორც დედამიწის პირველმა ხელოვნურმა თანამგზავრმა გზა გაუკაფა კოსმოსურ ხომალდს „აღმოსავლეთს", ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურები, გაშვებულნი საბჭოთა მეცნიერების მიერ, გზებს უკვლევენ მომავალ საპლანეტათშორისო ხომალდებს.

ჩვენი ეპოქა უდიდესი გარდაქმნებისა და საოცრებათა ეპოქაა. და ალბათ თვითეული ჩვენგანი სულ მალე გახდება იმისი მოწმე, თუ როგორ დადგამს ფეხს მთვარეზე ადამიანი, როგორ ესტუმრება მარსსა და ვენერას და როგორ გაჰყვება შორეულ გზებს უცხო პლანეტებისა და სამყაროებისაკენ.

ადამიანის ოცნება და მისწრაფება უსაზღვროა. მისი გონების თვალი უკვე ეძებს სხვა სიცოცხლეებსა და ცივილიზაციებს.

მაგრამ არსებობენ კი სხვა ცივილიზაციები დედამიწის გარეთ? ჯერჯერობით მეცნიერებს არა აქვთ ამის არც ერთი პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი. თუმცა ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ჩვენს გალაქტიკაში შემავალი ასი მილიარდი ვარსკვლავიდან მხოლოდ მზის მახლობლად წარმოიქმნა ასეთი ცივილიზაცია. მით უფრო შეუძლებელია იმის დაშვება, რომ ჩვენს მიერ აღრიცხულ ათი მილიარდი გალაქტიკიდან თუნდაც ერთში არ წარმოიშვა მსგავსი რამ.

როგორც ფიქრობენ, დედამიწასთან „უშუალო" სიახლოვეს არ არსებობს იმდენად განვითარებული სიცოცხლე, რომ მასთან შეიძლებოდეს საუბრის გამართვა რადიოს მეოხებით. ყველაზე ოპტიმისტურად განწყობილი მეცნიერებიც კი ვარაუდობენ, რომ უახლოესი ცივილიზაციები დაშორებულია ჩვენგან ისეთი მანძილით, რომლის გავლას რადიოსიგნალი სულ ცოტა ათ წელიწადს მოანდომებს, და თუ ეს ასეა, მაშინ სხვა სამყაროებთან ურთიერთობის დამყარებას მეტად თავისებური ხასიათი ექნება. ეს როდი იქნება ჩვეულებრივი დიალოგი. საპასუხო „რეპლიკის" მიღებას ხომ რამდენიმე ათეული წელი ლოდინი დასჭირდება. როგორც ჩანს, კავშირი ერთმანეთისაგან ესოდენ დაშორებულ ცივილიზაციებს შორის განხორციელდება გრძელი მონოლოგებით, რომლის დროსაც ისინი ერთმანეთს მოუთხრობენ თავიანთი ცხოვრების შესახებ.

მანძილი, რომელზეც შეიძლება კოსმოსური რადიოკავშირის დამყარება, განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, გადამცემის სიმძლავრით. დღეს კაცობრიობა ყოველ წამში ხარჯავს 4 მილიარდ კილოვატ ენერგიას. ეს, ჩვენი წარმოდგენით უზარმაზარი სიმძლავრე მეტად მცირეა კოსმოსურ მასშტაბებისათვის. თუნდაც ამიტომ კოსმოსის უსაზღვრო სივრცეებში ისეთი ცივილიზაციის აღმოჩენა, რომელმაც განვითარების ჩვენს დონეს მიაღწია, თითქმის შეუძლებელია.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მდგომარეობა ამ მხრივ გამოუვალია. ბევრად ადვილად და სწრაფად შეიძლება დაკავშირება ისეთ ცივილიზაციასთან, რომელმაც განვითარების ჩვენზე უფრო მაღალ დონეს მიაღწია და აქვს შორეულ სამყაროებთან დაკავშირების შესაძლებლობა. ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერის ნიკოლოზ კარდაშევის გაანგარიშებებმა დამაჯერებლად დაამტკიცეს, რომ თუ რომელიმე ცივილიზაციამ დაშორებულმა ჩვენგან ათ მილიონ სინათლის წელიწადზე ნაკლები მანძილით, მიაღწია განვითარების ისეთ დონეს, რომ ფლობს თითქმის ჩვენი მზის ენერგიის ტოლ ენერგიას, მაშინ უკვე ამჟამად არსებული რადიოტექნიკური საშუალებებით ჩვენ შევძლებთ მისგან ძვირფასი ინფორმაციის მიღებას.

მაღალგანვითარებულ ცივილიზაციებს, რომლებისგანაც ჩვენ უნდა ველოდოთ გადმოცემებს, შეუძლიათ ფლობდნენ წარმოუდგენლად დიდ ცოდნას. ამ შემთხვევაში ჩვენ შევძლებდით მოკლე დროში უძვირფასესი ცნობების მიღებას, რომლებიც საშუალებას მისცემდა კაცობრიობას ერთბაშად გაეკეთებინა უდიდესი ნახტომი თავისი განვითარების გზაზე.

საოცრად მაცდუნებელი რამ არის ერთი ნახტომით გაჭრა მომავალში, ერთბაშად რამდენიმე ათასი წლით წინ გავარდნა ცოდნისა და განვითარების სამეფოში; ამიტომაც არის, რომ ათობით რადიოტელესკოპი დღიდან დღემდე ადევნებს თვალყურს კოსმოსის უკიდეგანო სივრცეებს, ამიტომ იყო, რომ ამას წინათ მეცნიერები წარმოუდგენელი სიჯიუტითა და გულმოდგინებით უსმენდნენ სუსტ სიგნალებს, რომლებიც ჩვენამდე აღწევდა ვარსკვლავებიდან — „ერიდანის ესპილონსა" და „ვეშაპის ტაუდან". იქ არ ყოფილა აღნიშნული არავითარი კატასტროფები, მაგრამ ანტენები კოსმოსის ტკაცუნსა და ხმაურში მაინც იჭერდნენ ძლივს შესამჩნევ სიგნალებს. რა არის ეს? შორეული მეზობლების ძახილი? ადვილი შესაძლებელია. მეცნიერები უსმენენ სამყაროს და ხომ შეიძლება მათ უკვე ესმოდეთ გონიერ არსებათა „ხმა". იქნებ ხვალ ჩვენ საბოლოოდ დავრწმუნდეთ ამაში, ხოლო ზეგ კი გავიგოთ რის თქმაც სურდათ ჩვენთვის „იქიდან", და შესაძლებელია, მაშინ ჩვენი საპლანეტათშორისო ხომალდებიც გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ჩვენ გვგონია, გაემგზავრებიან „მათკენ", შორეული მეგობრებისაკენ, მშვიდობისა და სიკეთის მაცნეებად.

გ. კონიაშვილი

# რა ხდება მსოფლიოში

# ბრაზილიის ცრემლები

## „გორილები“ არ ცხრებიან

„დღისით ბრაზილიაში ჰაერი დახუთულია. პაპანებაა. მარტო შეღამებისას თუ იკლებს ოდნავ ეს სულისშემხუთველი, ნოტიო სიცხე და მაშინ ბრაზილიელები, ჩვეულებისამებრ, ფართოდ აღებენ ფანჯრებსა და კარებს. მაგრამ აი უკვე მეხუთე თვეა, რაც ისინი კარ-ფანჯარაჩაკეტილ ოთახებში ჯდომას ამჯობინებენ. და როცა ვინმე კარზე თითს აჭერს ზარის ღილაკს, სახლის პატრონები შიშით კრთიან: „ნუთუ მოვიდნენ?“—ასე აღწერს ლათინური ამერიკის ამ უდიდესი ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებას ცნობილი ბრაზილიელი ჟურნალისტი ჟოზე სილვა.

ხუთი თვეა, რაც ბრაზილიელებს სიმშვიდე და მოსვენება დაეკარგათ, ხუთი თვეა, რაც მათ სამშობლოში უგზო-უკვლოდ იკარგებიან ადამიანები, ქალაქებსა და სოფლებში თვითნებობაა გამეფებული. ჩამკვდარ ქუჩებში დროდადრო ისმის ყვირილი, სროლა. შეძრწუნებული გამვლელები კედლებს ეკვრიან. ჟანდარმები და ჯარისკაცები, რომლებსაც ხალხმა გორილები შეარქვა, სახლებიდან კონდახებით ერეკებიან ქალებს, კაცებს, მოხუცებს, უწყალოდ ხოცავენ მათ.

რეაქცია მძვინვარებს, კვლავინდებური გააფთრებით გრძელდება ე. წ. „წმენდის ოპერაცია“. ყველგან, ეროვნულ კონგრესსა თუ პროფკავშირებში, საგარეო საქმეთა სამინისტროსა თუ უნივერსიტეტებში, გაზეთების რედაქციებსა თუ ბანკებში, ყველგან საიდუმლო სამსახურის აგენტები იქექებიან „პირად საქმეებში“, დაკითხავენ ადამიანებს, შანტაჟს უწევენ მათ. ვაი იმას, ვინც ხელი მოაწერა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას, ან მონაწილეობა მიიღო კუბასთან სოლიდარობის მიტინგში, ან—ღმერთმა დაიფაროს—ოდესმე იმოგზაურა სოციალისტურ ქვეყნებში, ანდა იზიარებდა ყოფილი პრეზიდენტის ჟოაო გულარტის შეხედულებებს.

დაპატიმრებულთათვის უკვე აღარ ჰყოფნით საპყრობილეები. „განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები“ ღია ზღვაში ოთხ სამხედრო ხომალდსა და ორ კუნძულზე ჰყავთ განლაგებული. ვინღა არა ჰყავთ გამოკეტილი ამ ნამდვილ და იმპროვიზირებულ ციხეებში: მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკები, კონგრესის დეპუტატები, პროფკავშირული და სტუდენტთა ლიდერები, გლეხთა ლიგების ხელმძღვანელები, ჟურნალისტები, მუშები, ოფიცრები, გენერლები და კიდევ ვინ მოსთვლის!

## რა მოხდა პირველ აპრილს?

პირველი აპრილის სამხედრო გადატრიალება ბრაზილიაში განახორციელა ბრაზილიის შეიარაღებული ძალების მსხვილმა დაჯგუფებამ გუბერნატორების თითქმის ნახევარის მხარდაჭერით; ამ გადატრიალების სულიერი მამები და ორგანიზატორები იყვნენ გენერალი კოსტა ე სილვა, გუანაბარას შტატის გუბერნატორი კარლოს ლასერდა, სან-პაულოს შტატის გუბერნატორი ადემარ დე ბაროსი, მინას-ჟერაისის შტატის გუბერნატორი მაგალიაეს პინტო, გენერალი კასტელო ბრანკო და სხვები.

მათ დაამხეს პრეზიდენტ გულარტის მთავრობა „კონსტიტუციის, პარლამენტისა და დემოკრატიის დაცვის“ საბაბით და, ამავე მიზეზით, თვითონვე გააუქმეს ყველა კონსტიტუციური გარანტია. ასე რომ იმათ, ვინც ახლა მართავს ბრაზილიას, თავიანთი შეხედულებისამებრ შეუძლიათ მოხსნან ან ადგილი შეუნაცვლონ რომელიც გინდათ თანამდებობის პირს. სამხედრო მინისტრს შეუძლია ათი წლით ჩამოართვას სამოქალაქო უფლებები ყველას, ვინც თვალში არ მოუვა, შეუძლია უბრალოდ გააუქმოს კონგრესის წევრთა მანდატები და, რა თქმა უნდა, გააგდოს სამსახურიდან რომელიც გნებავთ ოფიცერი, რომელმაც არ მოისურვა გადატრიალების დროს მათთვის მხარის დაჭერა.

მაგრამ რა იყო გადატრიალების ნამდვილი მიზეზი? მარტის შუა რიცხვებში პრეზიდენტმა გულარტმა დაიწყო იმ ღონისძიებების განხორციელება, რომელთა მიხედვით კერძო მიწების დაახლოებით სამი პროცენტი ხელმეორედ უნდა გადანაწილებულიყო გლეხობის სასარგებლოდ. ამასთან, მან განაცხადა, რომ გააფართოებდა ხმის უფლებას იმდენად, რომ ამით ისარგებლებდა არა მარტო 14 მილიონი მოზრდილი განათლებული ბრაზილიელი, არამედ 30 მილიონი წერა-კითხვის უცოდინარიც; მისივე მეცადინეობით დაიწყო ნაციონალიზაცია დიდი საწარმოებისა, მათ შორის, ნავთობის მომპოვებელ და გადამამუშავებელ საწარმოების, რომლებიც ამერიკულ კაპიტალს ემორჩილებოდნენ; და ბოლოს, გულარტმა აღადგინა ოცდაორი წლის წინანდელი კანონი, რომელიც მთავრობას უფლებას აძლევს მოახდინოს იმ მიწების რეკვიზიცია, რომლებიც გაწოლილია შარაგზების, არხებისა და რკინიგზების გაყოლებით, მათს ორივე მხარეს ათი კილომეტრის სიგანეზე.

გულარტის მთავრობის მეცადინეობით აღდგენილ იქნა ნორმალური ურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან და დაისახა მათთან ინტენსიური ვაჭრობის პერსპექტივა.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს თვალში არ მოსდიოდათ ადგილობრივ მსხვილ მრეწველებს, მემამულეებსა და მათ საზღვარგარეთელ ბატონებს. ამიტომაც მოახდინეს მათ სამხედრო გადატრიალება.

## ფანჯრიდან გადაყრილი მილიონები

ორიოდე წლის წინათ მთელი ბრაზილიელები გააოცა არაჩვეულებრივმა ამბავმა. მილიონერის ოთხი წლის ბავშვმა თამაშის დროს ფანჯრიდან ქუჩაში გადაყარა დედის ძვირფასი სამკაულები. ეს განძეული მოკრიფა და წაიღო, როგორც ეს პოლიციის მოხსენებით ბარათში იყო აღნიშნული, „მომღიმარმა და მეტად კმაყოფილმა დიდმა ძიამ“. წაიღო და წავიდა. „ძიას“ ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო. თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ვეღარსად მიაგნეს მის კვალს.

არ შეიძლება ახლა არ გაგახსენდეთ ეს თავის დროზე გახმაურებული შემთხვევა, როცა გაზეთ „კორეიო და მანიაში“ შემდეგ სიტყვებს წაიკითხავთ: „ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ ჩვენი ფანჯრების ქვეშ მდგომ ამ მომღიმარე და მეტად კმაყოფილ დიდ ძიებს. მათ იმედი აქვთ, რომ გამდიდრდებიან ჩვენი გულუბრყვილობისა და მიამიტობის წყალობით. ისინი ჯიბეებს ივსებენ ჩვენი შინაური კრიზისების დროს. მათ ამერიკული, ფრანგული, ინგლისური, კანადური, იტალიური, დასავლეთ გერმანული და იაპონური სახელები ჰქვიათ“.

ჯერ არც კი იყო სამხედრო გადატრიალება დამთავრებული, რომ მისმა ორგანიზატორებმა მაშინვე მიიღეს ვაშინგტონიდან გულისამაჩუყებლად თბილი მილოცვები. მალე ამერიკელმა ბიზნესმენებმა აავსეს რიო-დე-ჟანეიროს ფეშენებელური სასტუმროები. საჭიროა დოლარები? მიიღეთ, გეთაყვა, რამდენიც გნებავთ. და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უკვე განიხილავს ბრაზილიისათვის 400 მილიონი დოლარის სესხად მიცემის საკითხს. ამერიკელმა საქმოსნებმა ბრაზილიელ „გორილებს“ უკვე გაუგზავნეს 48 მილიონ დოლარზე მეტი. ეს კი იმის საწინდარია, რომ სულ მალე ბრაზილიიდან უოლ-სტრიტის სეიფებში ჩახჩრიალდება ასეულ მილიონობით დოლარი მოგება. 1947 წლიდან 1960 წლამდე უცხოური კაპიტალდაბანდებანი ბრაზილიაში 1 მილიარდ 824 მილიონ დოლარს უდრიდა. ამ ხნის მანძილზე ამ ქვეყნიდან მოგების სახით გატანილ იქნა 3 მილიარდ 481 მილიონი დოლარი. რამდენს გაზიდავენ ახლა უოლსტრიტელი ვაჟბატონები, როცა ბრაზილიის ახალმა მთავრობამ მათ თავიანთი ქვეყნის ძარცვაგლეჯვისთვის ფართო გზა გაუხსნა? ვინ იცის. ჰოდა, რატომაც არ უნდა უხაროდეთ, თუკი ეს ახლად მოვლენილი ხელისუფალნი მილიონერის სულელი ბავშვივით ფანჯრიდან უყრიან მათ ბრაზილიელი ხალხის ოფლითა და შრომით მოპოვებულ დოვლათს.

მაგრამ ბრაზილიელი ხალხი როდი ურიგდება მის ასე აბუჩად აგდებას. ქვეყნის პროგრესულმა ძალებმა უკვე დაიწყეს მოქმედება. სან-პაულოს საწარმოებში, ბელუ-ორიზონტის ქუჩებსა და პორტო ალეგროს სასწავლო დაწესებულებებში სულ უფრო ხშირად ჩნდება ფურცლები, რომლებიც მოუწოდებენ „წინააღმდეგობის ჯგუფების“ შექმნისაკენ. რიო-დე-ჟანეიროში გადატრიალების პირველსავე დღეებიდან ქალაქის კედლებზე გაჩნდა ლოზუნგები: „გაუმარჯოს ბრაზილიის კომუნისტურ პარტიას!“.

ასეთია დღეს მდგომარეობა ბრაზილიაში: სისხლის ღვრა, დაპატიმრებანი, დაკითხვები, დევნა... მაგრამ ნაადრევად უხარიათ ამერიკელ საქმოსნებსა და ბრაზილიელ გენერლებს. ბრაზილიელი ხალხი მუხლებზე არ დაეცემა. მას წინ მძიმე, შეურიგებელი და ხანგრძლივი ბრძოლა ელის და ღრმად სწამს, რომ ამ ბრძოლიდან იგი გამარჯვებული გამოვა.

რ. დოლაბერიძე

# დიდი სიმართლე სცენაზე

მცირე თეატრის სახელგანთქმული კოლექტივის ჩამოსვლა საგასტროლოდ თბილისში—დიდი მოვლენა იყო ჩვენი ქალაქის თეატრალურ ცხოვრებაში.

დიდი რეალისტური ტრადიციები, მაღალი პოეტური შთაგონება, ჰეროიკულ-რომანტიკული, მოქალაქეობრივი პათოსი, რომლითაც მუდამ განთქმული იყო მცირე თეატრი, დღესაც განსაზღვრავენ მის შემოქმედებით ბუნებას. ყოველივე ამან მცირე თეატრს მთელს მსოფლიოში გაუთქვა სახელი. ამავე ტრადიციების წყალობით იგი ესოდენ ახლობელი და მონათესავეა ჩვენი ქართული თეატრისათვის.

მცირე თეატრმა საგასტროლოდ მრავალფეროვანი რეპერტუარი ჩამოიტანა. აქ იყო რუსული და უცხოური კლასიკაც, თანამედროვე საბჭოთა პიესებიც.

მცირე თეატრისათვის კლასიკური დრამატურგია ყოველთვის იყო არა მხოლოდ თვისობრივად კარგი და ხელსაყრელი მასალა. კლასიკას მცირე თეატრი ყოველთვის უცქეროდა როგორც მაყურებლის მაღალი იდეალების სულისკვეთებით აღზრდის უძლავრეს საშუალებას, თეატრი ამ გზით განამტკიცებდა თავის დაუბერებელ საბრძოლო სულისკვეთებას.

თავისი გასტროლები მცირე თეატრმა დაიწყო სპექტაკლით „წყვდიადის მეუფება". ეს არ არის შემთხვევითი: ამ სპექტაკლში მთელი ძალით ჩანს ყველა არსებითი მომენტი, რომლებიც თეატრის შემოქმედებითს სულს განაპირობებენ,—ესაა ტრადიციის დიადი ძალა და ნოვატორული ძიებების გაბედულება.

სცენაზე ყოფაა, მაგრამ აქ უბრალო ყოფის აღმწერლობა როდია. აქ არის პათეტიკა ყოფისა. სცენაზე ჩქეფენ ვნებები. ეს სპექტაკლი, ერთსა და იმავე დროს, რეალისტურიც არის და რომანტიკულიც, ტრაგიკულიც და ოპტიმისტურიც. მასში არის რეჟისორული აზროვნების გაქანება და თავისუფლება, მაღალი ჰუმანისტური იდეების დამკვიდრება და, რა თქმა უნდა, უმთავრესიც—ჩინებული აქტიორული ანსამბლი ი. ილინსკის (აკიმი), მ. ჟაროვის (მიტრიჩი), ე. შატროვას (მატრონა), მ. დარონინის (ნიკიტა), ო. ჩუვაევას (ანისია), ე. დოლმატოვას (აკულინა), ბლოხინას (ანიუტკა), გ. კირიუშინას (მატრენა) და სხვათა შემადგენლობით.

მცირე თეატრს „ოსტროვსკის სახლს" ეძახიან და, მართლაც, ძნელი წარმოსადგენი იყო ამ გასტროლებზე ოსტროვსკის პიესა არ ჩამოეტანათ. ჩვენ ვნახეთ ოსტროვსკის „მგლები და ცხვრები", რომლის ბრწყინვალე დადგმა ეკუთვნის პ. სადოვსკის. სპექტაკლს, რომელიც მთელი წლების მანძილზე იდგმება ამ თეატრში, დღესაც არ დაუკარგავს თავისი სიახლე, უშუალობა, მგზნებარება. ისევ ბობოქრობს მასში მამხილებელი აზრი, ისევ კაშკაშებს უაღრესად სატირული ელვარება, ისევ ისე დახვეწილია მსახიობების ოსტატობა.

სხვა თემატიკურ ასპექტში, მაგრამ იმავე ამაღლებული ტონუსითა და დრამატული მასალის ღრმა გააზრებით იპყრობს ყურადღებას სპექტაკლი „მოჩვენებანი" (რეჟისორი ვ. ციგანკოვი). ამ სპექტაკლში აისახა დიდი ნორვეგიელი დრამატურგის ჰ. იბსენის პროტესტანტული სული, მისი მშფოთვარე და მგზნებარე აზრები ადამიანზე ბურჟუაზიულ სამყაროში, ამ სამყაროს სულმდაბლობასა და სიყალბეზე.

მცირე თეატრი თანამედროვე იდეების, თანამედროვე აზრის თეატრია. ამიტომ თანამედროვე თემატიკას საპატიო ადგილი უჭირავს თეატრის ცხოვრებაში. საგასტროლო რეპერტუარში იგი ოთხი პიესით იყო წარმოდგენილი: ჯ. სტეინბეკის „მთვარე ჩავიდა", ს. ალიოშინის „მთავარი როლი", გ. მდივნის „კონსული მოიპარეს" და ე. რანეტის „ბრაკონიერები"; სხვადასხვა იდეურთემატიკური და მხატვრული გამომსახველობის მქონე ეს პიესები აყენებენ მაღალ ჰუმანისტურ პრობლემებს, ამკვიდრებენ მორალურ-ეთიკურ იდეალებს და მაყურებლების გულებში ყველაზე კეთილშობილურ იდეალებს ბადებენ.

შესაძლოა ყველაფერი ერთნაირად ძლიერი არ არის ამ სპექტაკლებში, იქნებ ხანდახან დრამატურგის ჩანაფიქრი იდენტური არ იყოს სცენურ განსახიერებასთან, მაგრამ სპექტაკლებში მაინც ჩანს თეატრის პოზიცია, ცხოვრების გაგების სირთულე, ჩანს სურვილი თეატრისა ჩაწვდეს ამ სირთულეებს და მთელ რიგ შემთხვევებში გაასწოროს კიდეც პიესების ტექსტების ხარვეზები. ასე მოხდა სპექტაკლშიც „მთავარი როლი". ს. ალიოშინის პიესა ადამიანური ურთიერთდამოკიდებულების უდიდეს პრობლემებს სვამს. მაგრამ პიესა სქემატური, ხელოვნურად მოფიქრებული და სენტიმენტალურია. და აი, დრამატურგს აქაც დაეხმარა თეატრი, თავისი რეჟისორის—ლ. ვარპახოვსკის სახით; რეჟისორმა ფაქიზი და ჭკვიანური მიდგომით, ვაჟკაცური და ფხიზელი შეხედულებებით ცხოვრებაზე, მკაცრი და დარწმუნებული შემოქმედის ხელით წინ წამოსწია ცხოვრებისეული სიმართლე და აქტიორთა თამაშში (ამ სპექტაკლში გამოდიან უმთავრესად ახალგაზრდა მსახიობები—ე. ბისტრიცკაია, ე. მიაკიშევი, ტ. პანკოვა, მ. სედოვა და სხვ.) გზა გაუხსნა ადამიანურ სითბოსა და პოეტურ საწყისებს. მაგრამ, თუ სპექტაკლში „მთავარი როლი" რეჟისორმა იხსნა მდგომარეობა, სპექტაკლში „მთვარე ჩავიდა" რეჟისორმა ვ. ციგანკოვმა ყველაფერში ვერ შესძლო პიესის კონფლიქტის ტრაფარეტულ-პლაკატური გადაწყვეტის გადალახვა, უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში მან კიდევ უფრო გააღრმავა პიესის ხარვეზები.

მცირე თეატრი არ შეეძლო არ მოეხიბლა ჯ. სტეინბეკის ამ პიესის პუბლიცისტურ პათოსს. იგი ეფარდება მის ბუნებას, მის ტრადიციებს. და იქ, სადაც თეატრმა შესძლო პუბლიცისტიკა ღრმა ფსიქოლოგიზმის ჩარჩოში ჩაესვა, იქ, სადაც მსახიობის მუშაობა აცილებული იყო შაბლონსა და ტრაფარეტს (მ. ცარევი — უორდენი, დ. ზერკალოვა — უორდენის ცოლი, მ. ველიხოვი—პოლკოვნიკი ლანსერი), თეატრი აღმოჩნდა თავისი რეალისტური პრინციპების სიმაღლეზე. ხოლო იქ, სადაც რეჟისორი გაიტაცა შიშველმა სქემატურმა პუბლიცისტიკამ, გარეგნულმა და ამიტომაც პრიმიტიულმა ხასიათებმა (გერმანელი ოფიცრების სახეები), იქ თეატრი აღმოჩნდა შტამპების ტყვეობაში და იოლ გზას დაადგა.

თეატრმა დაამთავრა თავისი გასტროლები. თბილისელმა მაყურებელმა იხილა მცირე თეატრის აქტიორების მაღალი ხელოვნება, იგი მოხიბლა მათი სიტყვის კულტურამ და დახვეწილმა რუსულმა მეტყველებამ, ჭეშმარიტმა პროფესიონალიზმმა.

ქართველი მაყურებელი მცირე თეატრს უსურვებს ახალ შემოქმედებით აღმავლობას ჩვენი საბჭოთა ხელოვნების საკეთილდღეოდ.

ეთერ გუგუშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

სცენები მცირე თეატრის სპექტაკლებიდან.







ეროვნული ბიბლიოთეკა

## მე მხოლოდ შენით ვხედავ ყველაფერს

დიად პარტიას

შენ ამიქუხე ძარღვებში სისხლი,
შენა ხარ ჩემი აზრის მელამპრე.
ყველაფერს შენი ძახილით ვისმენ...
მე მხოლოდ შენით ვხედავ ყველაფერს.

მე მეძახიან მთები მაღალი
და ხელებს იწვდის ჩემსკენ ყველა ხე,
შენ მავაჟკაცებ, მზრდი და მახარებ...
მე მხოლოდ შენით ვხედავ ყველაფერს.

მე მიტაცებენ ცათა კიდენი
და ცათა ფერით ვეტრფი ყველა ფერს.
გზაზე ვარსკვლავნი ღიმილს მიფენენ...
მე მხოლოდ შენით ვხედავ ყველაფერს.

აი, შენ თურმე რა შეგძლებია!
მიჰქრი ქარივით, განა ნელა ფრენ!
ვაშა შენს დროშას, მაღალმხრებიანს...
მე მხოლოდ შენით ვხედავ ყველაფერს.

## მე ერთხელ შევხვდი

მე ერთხელ შევხვდი გაფრენილ ირემს —
კლდიდან მოვარდნილ გაფრენილ ტალღას
და კლდეზე, როგორც არაგვის ყვირილს,
ირმის ნაფეხურს ავყევი მაღლა.

ირემო, მთასა მყვირალო, გიხმობ
გეძახი, გეძებ, გეძახი, გეძებ.
ლამაზი ფიქრი მომტაცე სიყრმის,
გდიე ფეხდაფეხ რამდენიც შევძელ.

ფიქრი შენს ლამაზ ყელს დავადარე,
ნაბიჯი — ნახტომს დაუდარებელს...
ო, როგორ მინდა, მაგრამ სად არი,
ირმის მუხლები დამატარებდნენ!

## ამ ქვეყანაზე

კაცი ათასჯერ არ იბადება —
ერთხელ ჩნდება და ერთხელ თავდება.
სიცოცხლე ერთხელ შეგიყვარდება
და სადღაც ერთხელ გაგიავდება.

სიკვდილ-სიცოცხლე არის ჭიდილი,
არის ბრძოლა და თავგამეტება.
ზოგს შუა გზაზე ხიდი სჭირდება
გზის ორივ მხარის შემაერთებლად.

ზოგი ამ გზაზე ისე მიჰქივის,
ვაშა, დიდება ამ გაკივლებას...
ზოგი გაქრება ცაში ფიქრივით
და ცაშიც ყოფნა ეთაკილება.

კაცი ათასჯერ არ იბადება —
ერთხელ ჩნდება და ერთხელ თავდება.
სიცოცხლე ერთხელ შეგიყვარდება
და სადღაც ერთხელ გაგიავდება.

მაგრამ ჩვენ უნდა ვიყოთ ყოველთვის
ცაზე დიდი და მზეზე მაღალი —
ამ ქვეყანაზე რადგან მოვედით
და დედამიწას რადგან დავხარით.

# როცა გზა სასამართლოსაკენ მიდის

## გაცრუებული იმედები

სახეგაბრწყინებულებმა აირბინეს მმაჩის კიბე. უკან მხიარული ღიმილითა და ყვავილების თაიგულებით მიჰყვნენ მეგობრები, ამხანაგები, ნათესავები. ლეილას თეთრი საქორწილო კაბა ეცვა, ანზორს — შავი კოსტუმი. როგორც კი მათ ხელი მოაწერეს დიდ საოჯახო წიგნში, ატყდა ჟრიამული, ხვევნა-კოცნა. ორივე ღელავდა, ლოყები წამოწითლებოდათ, ღელავდნენ მეგობრებიც და ცდილობდნენ ხუმრობასა და სიცილში დაემალათ ეს.

ან როგორ არ აღელდებოდნენ, როცა ხედავდნენ, თუ რა ერთგული, მოსიყვარულე თვალებით შესცქეროდა ერთმანეთს ეს ორი ახალგაზრდა ადამიანი, რა სიხარულითა და იმედით იდგნენ ერთმანეთის გვერდით — წინ ხომ მთელი ცხოვრება იყო და ეს ცხოვრება ასე ერთად, ხელიხელჩაკიდებულებს უნდა გაევლოთ!

მალე ახალგაზრდებმა ბინა მიიღეს. ლეილა მაშინ სამშობიარო სახლში იწვა და იქიდან თავის პატარა ბიჭუნათი პირდაპირ ახალ ბინაში მივიდა. მივიდა და... იმ დღიდან გაჩნდა მათ სიყვარულში რაღაც უცნაური, გარეშე თვალისთვის ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ბზარი, რომელიც სულ უფრო ფართოვდებოდა, ღრმავდებოდა და საბედისწერო ხასიათს იღებდა.

ლეილა თავს ვერ ართმევდა იმ მოვალეობებს, რომლებიც ოჯახმა დააკისრა მას. ბავშვს მოვლა და ზოგჯერ ღამის თევა სჭირდებოდა, სახლს — დიასახლისის ხელი, ქმარს — ყურადღება. აქამდე ლეილა დედასთან ცხოვრობდა და პატარაობიდანვე შეჩვეული იყო, რომ მასზე ზრუნავდნენ, ახლა კი თვითონ უნდა გამხდარიყო მზრუნველი. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა; ახალგაზრდა ქალს არ სურდა ხელი აეღო ბევრ თავის ჩვევაზე, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ კისერზე დაწოლილ საოჯახო საქმეებს. ლეილას უყვარდა ცეკვა, გართობა, დილით გვიანობამდე ნებივრობა და წიგნის კითხვა. ახლა კი ამის საშუალება აღარ ჰქონდა.

— უკვე მესამე დღეა ეს პერანგი გასარეცხი გდია აქ! — ამბობდა მოღუშული ანზორი.

— რა ვქნა მერე, მოვა დედაშენი და გაგირეცხავს! — ცივად უპასუხებდა ლეილა.

— დედაჩემს თავის საქმეც ეყოფა! — ბრაზობდა ანზორი, — ეს შენი ოჯახია და შენ უნდა მოუარო!

მაგრამ ანზორს რატომღაც ავიწყდებოდა, რომ „ეს მისი ოჯახიც იყო“ და რომ თვითონაც მოვალე იყო „მოევლო“ მისთვის. ახალგაზრდა ქმარი არ ფიქრობდა ამაზე.

ასე ღრმავდა ნელ-ნელა ბზარი. პირველი უკმაყოფილება კამათში გადაიზარდა, კამათი — ჩხუბში. და აი, ლეილა მ—ძე და ანზორ რ—ლი, რომელთა თანაცხოვრებაც ასე ბედნიერად დაიწყო სულ რაღაც ერთი წლის წინ, სახალხო სასამართლოს წინაშე წარსდგნენ. ორივე მოითხოვდა განქორწინებას.

## „ბავშვია, ნეტავი თქვენ!“

მოდით გავარკვიოთ ვინ არის დამნაშავე? რა თქმა უნდა, ორივე. მაგრამ ყველაზე უფრო მეტი დანაშაული მათი ახალგაზრდა ოჯახის დაშლაში ისევ მშობლებსა და სკოლას მიუძღვის, მიუძღვის იმათ, ვისაც ევალებოდა ამ ორი ახალგაზრდის აღზრდა. ჩვენს შვილებს რომ ვზრდით, ამით ვზრდით ჩვენს შვილიშვილებსაც, ჩვენს შთამომავლობას, მომავალს.

ლეილასა და ანზორის მშობლებმა თავიდანვე უზრუნველ ცხოვრებას მიაჩვიეს თავიანთი შვილები, გაანებივრეს ისინი. ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი ცეკვა-გართობას იყო გადაყოლილი, და გადაჭარბებით რომ არა ვთქვათ, წარმოდგენა არ ჰქონდა როგორ უნდა დააკეროს ხალათზე ღილი. „ბავშვია, ნეტავი თქვენ, მერეც მოესწრება რეცხვასა და კერვასო“, — ამბობდა ხოლმე დედა. არც ანზორის მშობლები ატანდნენ ძალას თავიანთ ვაჟიშვილს. თვრამეტი წლის ყმაწვილი კაცი ჯერ ისევ ხელით შესანახი ჰყავდათ. პური რა არის, პურის მოსატანადაც დედა გარბოდა ხოლმე“ — „შენ დაღლილი იქნები, შვილო, მე გადავირბენო“. ასე აღიზარდნენ ეგოისტები, ადამიანები, მოკლებულნი ყოველგვარი პასუხისმგებლობის გრძნობას.

ჩვენმა ახალგაზრდობამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ მას შეუძლია ჩინებულად გაართვას თავი რომელიც გნებავთ სამუშაოს, რომ შეუძლია და სურს კიდეც თავს იდოს საკმაოდ საპასუხისმგებლო ამოცანების გადაწყვეტა. მაშ რატომღა უნდა წავართვათ მას ქორწინებისა და ოჯახისათვის პასუხისმგებლობის უფლება და მოვალეობის გრძნობა? როგორც ცნობილია, ახალგაზრდა ოჯახების უდიდესი უმრავლესობა ბედნიერად ცხოვრობს. მაშასადამე, ასაკი აქ არაფერ შუაშია. საქმე ის არის, რომ ყოველ ქორწინებაში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს ახალგაზრდა ცოლ-ქმარის ერთმანეთთან შეგუებისა და შეთვისების უნარი. ქორწინებამდე თვითეული ახალგაზრდა ყოველ თავის მოქმედებაში მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობს. ხანმოკლე პაემანების დროს ისინი მხოლოდ შეხვედრის ბედნიერ წუთებს იყოფენ. ქორწინების შემდეგ კი ისინი ერთად იწყებენ ცხოვრებას და იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ ერთმანეთის ხასიათს, ზნე-ჩვეულებებს, მიაღწიონ ინტერესთა ჰარმონიულ შეხამებასა და ერთიანობას. ზოგ ახალგაზრდას ეს იოლად როდი გამოსდის, მით უმეტეს, რომ ბავშვის დაბადება ზრდის მშობლების პასუხისმგებლობას და ამცირებს იმ დროს, რომელიც საჭიროა ახალგაზრდა ცოლ-ქმარის ერთმანეთთან შეგუებისათვის; ამის გამო ზოგჯერ წარმოიქმნება წინააღმდეგობანი, რომლებიც სულ უფრო ღრმავდება და, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად აშორებს ერთმანეთს ახალგაზრდა მშობლებს. სწორედ ამ დროს არის, რომ ისინი განქორწინების გარდა ვეღარ პოულობენ სხვა გამოსავალს. მათში ადრე აღზრდილმა ეგოიზმმა და უპასუხისმგებლობის გრძნობამ სწორედ აქ იჩინა თავი, აქ გამოიღო თავისი საბედისწერო ნაყოფი.

ამაში, როგორც ზემოთ ვთქვით, ბრალი მიუძღვის სკოლასაც, რომელსაც ადამიანის აღზრდის მთავარი სიმძიმე აწევს. აქ უნდა შეეჩვიოს ახალგაზრდა კოლექტივისადმი, მისი ცალკეული წევრისადმი პატივისცემასა და პასუხისმგებლობას. ადამიანისადმი, ახლობელისადმი, მეგობრისადმი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობამ უნდა გამსჭვალოს მთელი სასკოლო ცხოვრება და განსაკუთრებით ის დისციპლინები, რომლებიც მოწოდებულნი არიან ამისათვის. ვთქვათ, ალგებრის გაკვეთილზე ამაზე ვერ ილაპარაკებ, ეს გასაგებია, მაგრამ რას გვასწავლის მხატვრული ლიტერატურა დასაბამიდან დღემდე, თუ არა იმას, რომ პატივისცემით უნდა მოეპყრო ქალს, დედას, სატრფოს, ცოლს, — ცხოვრების თანამეგობარს; განა ამ მაღალ მორალზე არ მეტყველებს თუნდაც პირველივე ქართული მოთხრობა, დაწერილი მეხუთე საუკუნეში — „წამება წმინდისა შუშანიკისა“; აღარ ჩამოვთვლით კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის უბრწყინვალეს ძეგლებს, რომლებიც სწორედ მაღალი მორალის, მაღალი საზოგადოებრივი შეგნების, შინაგანი კეთილშობილების სულით არიან გამსჭვალული, ეს არის პროპაგანდის ყველაზე უძლიერესი იარაღი, რომელიც მთლიანად უნდა გამოვიყენოთ ახალგაზრდა ადამიანის აღსაზრდელად.

## მოდით, დავფიქრდეთ!

ჩვენს წინ ახალგაზრდა ქალი ზის, სახე შეფაკლია. ღელავს, ტირილი უნდა, მაგრამ თავს იკავებს, მხოლოდ დროდადრო ნაწყენი ბავშვივით ენამება თვალები. თვითონაც ჯერ სულ ბავშვივით არის. მარტო პირის კუთხეებთან ნაადრევად გაჩენილი ნაოჭები მოწმობენ გადატანილ დარდსა და გულისტკივილს.

იგი მაია გ—ძეა. გათხოვილია. მისი ქმარი ლევან ბ—რი ახალგაზრდა ინჟინერია. ცოლ-ქმარს უყვართ ერთმანეთი, უყვართ მთელი გატაცებით. მაიას თქმით, ლევანი მხიარული, კეთილი და მტკიცე ხასიათის ადამიანია. იგი ბედნიერია მასთან ცხოვრებით, მაგრამ ამ ბედნიერებას უწამლავს ერთი გარემოება, რის გამოც იძულებულია რჩევისათვის ჩვენს რედაქციას მომართოს.

საქმე ის არის, რომ ლევანს შეხვედრამდე უკვე ჰყოლია ცოლი, მაგრამ ქალის უზნეობით იძულებული გამხდარა გასცილებოდა მას. ლევანს არ დაუმალავს ეს ამბავი მაიასათვის. პირიქით, ვაჟს უნდოდა მისი მშობლებისთვისაც ეამბნა ყველაფერი, მაგრამ მაიამ დაუშალა — ეს საქმე მარტო მე მეხებაო. მათი შეუღლებით გახარებული იყო ყველა. მაიას მშობლებმა სიყვარულით მიიღეს ლევანი. ახალგაზრდები ბედნიერნი იყვნენ. ლევანი საუცხოო მეუღლე გამოდგა. იგი ცდილობდა ყველაფერში დახმარებოდა ცოლს; მაიასაც, რომ იტყვიან, თვალში რომ ჩავარდნოდა იგი, ხელს არ ამოისვამდა. მაგრამ აი, მშობლებმა გაიგეს, რომ ლევანს ადრე ცოლი ჰყავდა, გაიგეს და იმ დღიდან ახალგაზრდა ცოლ-ქმარის ბედნიერებასაც ჩრდილი მოეფინა. მაიას დედ-მამამ გადაწყვიტა დაეშორებინათ ისინი ერთმანეთს. რა არ გააკეთეს, რა ხერხს არ მიმართეს ამისათვის, მაგრამ მაიას რწმენა და სიყვარული ლევანისადმი ვერ შეარყიეს. მაშინ გააფთრებული მშობლები მისდგნენ და დაიწყეს სიძის ლანძღვა-გინება, ლანძღავდნენ ყველგან და ყველასთან და სრულებით არ ფიქრობდნენ იმაზე, რომ ამით ლაფში სვრიდნენ თავიანთ ქალიშვილსაც, სიცოცხლეს უმწარებდნენ მას, და ამას აკეთებდნენ ადამიანები, რომელთაგან ერთი პედაგოგია, ხოლო მეორე — ექიმი.

— ყველაზე გულსაკლავი ის არის, — ამბობდა მაია, — რომ ასეთი მოქმედებისათვის თვითონ გაამტყუნებდნენ სხვას. ახლა კი რა დაემართათ თვითონ, ვერ წარმომიდგენია. ნუთუ იმას მაინც არ ფიქრობენ, რომ თუ ლევანს იმისათვის უნდა გავშორდე, რომ ის ოდესღაც ცოლიანი იყო, მაშ მე რატომღა უნდა მქონდეს მეორედ გათხოვების უფლება, მათ ხომ აზრადაც არ მოსდით ჩემი სამუდამოდ მარტოდ დარჩენა უქმარშვილოდ და უოჯახოდ? სად არის აქ ლოგიკა?

რა უნდა გვეპასუხა მაიასთვის? მას ან უნდა მართლა მიეტოვებია ქმარი, ან მშობლებთან გაეწყვიტა ურთიერთობა. სიყვარულმა და სამართლიანობის გრძნობამ თავისი გაიტანა და ახალგაზრდა ქალმა ეს უკანასკნელი აირჩია. მაგრამ რა ძვირად დაუჯდა ამ ნაბიჯის გადადგმა! მშობლების ასეთმა უგნურმა საქციელმა ზეზეურად ჩამოადნო ახალგაზრდა ქალი, გულჩათხრობილი და ნერვიული გახადა. რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან მაიას მშობლები მიხვდებიან, რაც გააკეთეს, ალბათ სანანებელიც გაუხდებათ ყველაფერი, მაგრამ მაიასა და ლევანის მოწამლულ ბედნიერებას უშველიან?

სამწუხაროდ, ისინი გამონაკლისი როდი არიან.

რაც არ უნდა სავალალო იყოს ეს, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი მშობლები, რომელთა მეშჩანური სულისკვეთება და ეგოიზმი ხშირად მათი შვილების უბედურებისა და ცხოვრებაზე გულგატეხილობის მიზეზი ხდება. რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს მშობლებს უფლება არ ჰქონდეთ იზრუნონ თავიანთი შვილების მომავალზე, მათ ბედნიერებაზე. პირიქით, მშობლებს უფლებაც აქვთ და ვალდებულნიც არიან დაინტერესდნენ თავიანთი შვილების ცხოვრებით და თუ საჭირო გახდა ჩაერიონ მასში, გონივრული და ფაქიზი ხელით წარმართონ იგი. მაგრამ ყოველივე ეს არ უნდა სცილდებოდეს განსაზღვრულ ჩარჩოებს და, რაღა თქმა უნდა, არ უნდა ატარებდეს იძულებითსა და რეპრესულ ხასიათს. მათ არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ მათი სუბიექტური გემოვნება და სიმპათია-ანტიპათიები სავალდებულო არ არის მათი შვილებისათვის, და თუ ისინი ბედნიერნი არიან თავიანთი არჩეული გზით, თავიანთი ახალი ოჯახით, თავს არ მოახვიონ მათ საკუთარი ნება და სურვილები. მაგრამ, როგორც ჩანს, მშობლის ეგოიზმი თუ თავმოყვარეობა (რაც გნებავთ, ის დავარქვათ ამ გრძნობას), რომელიც ხშირად შვილისადმი უსაზღვრო სიყვარულის ნიღაბს არის ამოფარებული, ზოგჯერ ვერ ერევა საკუთარ თავს და მაშინ იგი ნამდვილ უბედურებად იქცევა ახალგაზრდა ადამიანისათვის.

ძნელია ერთ წერილში ახალგაზრდათა ქორწინების ყველა პრობლემის განხილვა. ჩვენ აქ შევეხეთ მხოლოდ ნაწილს, მაგრამ ისიც, რაზედაც აქ ვილაპარაკეთ, დროზე მოსაგვარებელი საქმეა და იქნებ ჩვენმა მკითხველებმაც მოგვაწოდონ თავიანთი აზრი ამის შესახებ

მოდით, დავფიქრდეთ!

ლ. სეხნიაშვილი



# საბჭოთა კინოს ლეგენდა

**1923** წელს ქართულ ეკრანზე პირველად გამოჩნდა ახალგაზრდა მსახიობი, მანამდე ყველასათვის უცნობი. მაგრამ მხოლოდ ერთი დღე იყო საჭირო, და მის სახელს მთელი ჩვენი ქვეყანა აღტაცებით წარმოთქვამდა, ხოლო სულ მალე საქართველოს გადაღმაც იმავე გრძნობით იმეორებდნენ. ასეთი გამარჯვება და საერთო აღიარება მანამდე არსად და არც ერთ მსახიობს არ ღირსებია.

ეს იყო ნატო ვაჩნაძე.

ის წარმოდგა ჩვენს წინაშე როგორც წარმტაცი ჩვენება, როგორც მოულოდნელი სიხარული. შევყურებდით მას, ეკრანზე ამოძრავებულს, და მონუსხული ვიყავით მისი უმანკო მშვენიერებით და სიწმინდით. ყველა ფილმში, შინაარსის მიხედვით, მისი ბედი ტრაგიკული იყო, როლის შემსრულებელთან ერთად მაყურებლებიც მძიმე წუთებს განვიცდიდით; მაგრამ, მიუხედავად ამისა, კინოთეატრიდან მივდიოდით აღტაცებულნი და თანაც სულიერად ამაღლებულნი. ამგვარი ძლიერი ზეგავლენა მაყურებელზე, მასაზე, ნატო ვაჩნაძემდე ძნელად თუ ვინმეს მოუხდენია ეკრანიდან. ნატო როგორღაც უფრო მეტი იყო, ვიდრე დიდი ტალანტის მქონე სხვა ვინმე მსახიობი. მისი ზეგავლენის ძალა და საიდუმლოება სულ სხვა ხასიათის იყო,— თითქოს თვით ბუნების სიბრძნემ იზრუნა, რომ თავისი სიკეთე, სიწმინდე და მომხიბვლელობა გამოეჩინა და ამის ობიექტად ნატო აარჩია.

ნატოს ბიოგრაფიის დეტალები ერთი მხრივ უჩვეულოა, თანაც საინტერესო: მამა—ქართველი თავადიშვილი, დედა—საქართველოში გადმოსახლებული პოლონელი პატრიოტის შვილი, დიდედა—იტალიელი ქალი ვაზოლი, ერთხანს თბილისში მოღვაწე ცნობილი მომღერალი, პაპა—ავსტრიელი შენინგი, დირიჟორი და კომპოზიტორი. თითქოს რამდენიმე ერის წარმომადგენლის დანათესავება და მათი კეთილი თვისებების შეერთება იყო საჭირო, რომ ბოლოს ნატო გაჩენილიყო. სახით კი ნატო ძალიან ჰგავდა თავის მამას გიორგი ანდრონიკაშვილს.

ადრიან ბავშვობაში ნატო არ ყოფილა ცხოვრებით განებივრებული. მან ცხოვრების ისეთი მკაცრი სკოლა გაიარა, იმდენი რამ განიცადა, რომ ბევრი სხვა ვერ გაუძლებდა იმ გასაჭირს და გატყდებოდა. სულ პატარა იყო, როცა მამამისი, ვაჟკაცი ოფიცერი, დაღესტნის ერთ ვიწრო ხევში მზაკვრულად მოკლული თავის დროზე განთქმულ ზელიმხანის მიერ, თბილისში ჩამოასვენეს ნაბადში გახვეული. უპატრონოდ დარჩენილი ოჯახი, ცოლი და ოთხი შვილი, კახეთის ერთ სოფელში გადასახლდა და აქ თავს იმით ირჩენდა, რომ თავისი ხელით ამუშავებდა მიწას. ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ნატო იძულებული გახდა თბილისში წამოსულიყო და ასანთის კოლოფების სახელოსნოში უბრალო მუშად ემსახურნა, რომ ოჯახს რაიმეთი დახმარებოდა. მძიმე პირობებში უხდებოდა აქ მუშაობა, მაგრამ გასაჭირმა არა თუ ვერ შეძლო სულიერად მისი დაძაბუნება, პირიქით, ერთგვარად სასარგებლოც გამოდგა: ნატომ აქ ახლო გაიცნო ხალხი, მშრომელი ადამიანის სულიერი სამყარო, აქ აღეძრა უბრალო ადამიანისადმი გულწრფელი პატივისცემა და აქედან გამოჰყვა ის ხაოცარი უბრალოება, რომელიც მას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ახასიათებდა. ეს უბრალოება ნატოს დამახასიათებელი და ბუნებრივი იყო მაშინაც კი, როცა მისი სახელი მთელ საბჭოთა კავშირში და უცხოეთშიც კი ჰქუხდა.

თავისი ცხოვრების დღეებზე ნატომ შთამბეჭდავად მოგვითხრო მემუარულ ნაშრომში „შეხვედრები და მოგონებანი". ეს წიგნი, რომელიც ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, ოციანი, ოცდაათიანი და ორმოციანი წლების მანძილზე ჩვენი კულტურის განვითარების განსაზღვრულ სურათს გვიხატავს.

ნატო აპირებდა განევრცო ეს წიგნი. მას მართლაც ბევრი რამ ჰქონდა კიდევ სათქმელი. თავის ხანმოკლე სიცოცხლეში ის მრავალ შესანიშნავ და მსოფლიოში განთქმულ პიროვნებას შეხვედრია, ზოგიერთ მათგანს ძალიან ახლო იცნობდა და მეგობრობდა.

ნატო განათლებული ქალი იყო და ლიტერატურაშიც კარგად გარკვეული. ერთხანს ის დავითაშვილის ქუჩის ერთ მიყრუებულ ჩიხში ცხოვრობდა; ღარიბულად იყო მორთული მისი ოთახები, მაგრამ არა მგონია რომელიმე მდიდრულად გაწყობილ სალონს ანაცვლებდნენ მას ნატოს მეგობრები. იქ თავს იყრიდნენ ხოლმე ქართველი, რუსი და ჩვენში სტუმრად ჩამოსული უცხოელი მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი და არასდროს არავის უგრძნია, რომ ოთახებში სიღარიბე იყო. სიმდიდრეს და სამკაულს აქ ადამიანები წარმოადგენდნენ. არა ზიზილოები და მათი ყალბი ბრჭყვიალი, რისი მონებიც ხშირად არიან მოქალაქენი, არამედ ადამიანი, მისი სულიერი სამყარო, ინტელექტი ვსხივლავდა და შთაგონებას გვაძლევდა ნატოს გარშემო შემოკრებილთ.

ნატოს უამრავი წერილი მოსდიოდა. ეს წერილები დიდად საინტერესოა. ნაცნობები და უფრო ხშირად უცნობებიც მრავალ თავის საიდუმლოს ანდობდნენ, თავის დალხინებას და მწუხარებას უზიარებდნენ. ეს იყო არაჩვეულებრივი გატაცება კინოვარსკვლავით, ნატოს სახით ისინი არა მხოლოდ მომხიბლავი გარეგნობის მსახიობს ხედავდნენ, არამედ მიღებული ჰყავდათ სულიერ მეგობრად. ეს წერილები ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რა კეთილი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანზე ჭეშმარიტ ხელოვნებას.

თბილისის მოქალაქეებს ხშირად უნახავთ ქუჩაში მიმავალი ნატო, მაგრამ არავინ შეჩვეულა მის დანახვას. ყოველთვის ისე შეაჩერებდნენ მასზე თვალს, თითქოს პირველად შეხედესო. შორს იყო განთქმული მისი სახელი, მილიონობით ადამიანი მოსავდა მას თავისი სიყვარულით; ასეთ პირობებში არა ერთი და ორი გაამაყებულა, ნატო კი ბოლომდე ისეთივე მოკრძალებული დარჩა, როგორიც იყო იმ დღეს, როცა ჯერ კიდევ ცხრამეტი წლისამ, სრულიად უცნობმა, პირველად ფეხი შედგა თბილისის სახელმწიფო კინოწარმოების შენობაში.

დღეს ნატო სამოცი წლის იქნებოდა. თორმეტი წლის წინათ, სამეგრელოს ერთი ულამაზესი სოფლის—ობუჯის თავზე, სადაც ნატოს ცხოვრების უახლოესი მეგობარი და მასთან ულლის გამწევი ნიკოლოზ შენგელაია იყო დაბადებული, ის თითქოს მოიტაცა ეთერმა და გადნა ცის უსაზღვროებაში.

განუმეორებელი და დიდი სიხარულის მომტანი იყო ნატო სიცოცხლეში; ადამიანის მაღალი მორალის, სულიერი სილამაზის და სიფაქიზის საუკეთესო გამოხატულება იყო ის და მჯერა, რომ დრო სათუთად შეინახავს ამ მომხიბლავი, შესანიშნავი ქართველი ქალის ყველასთვის საყვარელ სახელს.

სერგო კლდიაშვილი

## მცხეთაში

**ლეილა ნანიტაშვილი**

თბილისიდან წამოვედით ლხენით,
უკან დარჩა დაფიფქული მიწა,
მაყრიონი გვაცილებდა მღერით,
ფერდობებზე რუხი ნისლი იწვა.

მოდიოდნენ უხვად თოვლის ფანტელები,
თითქოს თოვლიც მოგვყვებოდა მაყრად,
და ხეები, მოკრძალებით გამვლელები,
გადაპენტილ ტოტებს ხრიდნენ დაბლა.

სტუმრებს ღიმით შეგვეგება ჯვარი,
კანდელივით რომ ეკიდა მაღლა;
ვარსკვლავების დაგვაყარა ჯარი, —
და შარბათი შეგვაგება მტკვარმა.

ღამის სტუმრებს შევეგება ჯვარი
და ოცნება ფრთების შესხმას ლამობს,
რატომ გინდა დამიტოვო ჯავრი,
მცხეთა ისევ გველოდება... წამო!..









# თ. მირზაშვილი





ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

მხატვარი დ. ნოდია

— ყოჩაღ, ჯაო! — დაუძახა ნადიბაიძემ, — ეგრე, კაცო! ერთხელ კიდევ გაბრაზდი და ენა სულ გაგისწორდება!

— ჩვენ საქმე რკინასთან გვაქვს, მეტი ყურადღება გვჭირდება! — წამოეშველა ხალხი გოჩიტაშვილს და ისეთი ღრიანცელი ასტეხეს, გოგოლამ ყურებზე ხელი მიიფარა და არველოდის გაუცინა. ბიჭმაც თვალი ჩაუკრა, საქმე კარგად მიდისო.

— სიტყვა გამიგრძელდა, მეგობრებო, მაგრამ მერწმუნეთ, რაც მაწუხებს, ის მალაპარაკებს! — სთქვა არჩილმა და ის ტრიბუნა რაღაც ისე უეცრად, მოულოდნელად დასტოვა, რომ ხალხი ერთხანს ჩუმად მისჩერებოდა პრეზიდიუმის მაგიდისაკენ მიმავალ ყანჩაშვილს.

მერე კი მოსწყდა ტაში... ეზოში ბალღებმა დახლი-ბურთის თამაშს თავი მიანებეს და ფანჯრებს მოაწყდნენ, ასეთი რა მოხდაო.

სანამ ტრიბუნას დატოვებდა, არჩილმა ერთხელ კიდევ მოსძებნა გოგოლა და შორიდან ისე გაუღიმა, თითქოს მასთან რაღაცაში პირშეკრული იყო.

**რას ფიქრობდა სიმონ ჩოხელი**

„ცუდ კაცს კარგი შვილი ჰყოლია“!

„პირდაპირი, პირუთვნელი, საქმეში ჩახედული“, ჩაიწერა უბის წიგნაკში რაიკომის მდივანმა.

სიმონი იმითაც მოიხიბლა, რომ ეს ახალგაზრდა კაცი მეტად მომთმენი და თავდაჭერილი გამოდგა. ჩოხელს ეგონა, წელან მეტრეველთან პაექრობის დროს, არჩილ ყანჩაშვილს შიშმა თუ სიფრთხილემ ლაგამი ამოსდო და უკან დაახევინაო. მერე უეცრად თვალი მოატანა არჩილის ტუჩპირზე მიმალულ ღიმილს. არა, ეს არ იყო მშიშარა კაცის ღიმილი... და იმ წამიდან სიმონი გაფაციცებული ადევნებდა თვალყურს ორთა ბრძოლას.

„აზრი უნდა შეიცვალო, ჩემო სიმონ!“ — უთხრა მან თავის თავს: — „ასეთ კაცს შეიძლება დაენდო!“

**რას ფიქრობდა გოგოლა უგრეხელიძე**

„ეს ჩვენი აგრონომი არც ისე ცუდი კაცი ყოფილა, როგორც დღემდე მეგონა. გაბედული, პირში მთქმელი, ჭკვიანი... და თანაც როგორ უხდება თმაში ის თეთრი კულული!

**რას ფიქრობდა ავტორი**

„სწორედ იმ დღეს გადადგა გოგოლა უგრეხელიძემ პირველი ნაბიჯი უფსკრულისაკენ...

* * *

არჩილის სიტყვამ ყველაფერი პირუკუ შეატრიალა. ვინც წელან მეტრეველს ტაშს უკრავდა და ნინიას დასჯას მოითხოვდა, ახლა ყველანი მისი ქომაგები გახდნენ. დარბაზი აირია. ზოგი სიტყვას ითხოვდა, ზოგი ისევ ტაშს უკრავდა, რაღაცას გაიძახოდა.

რაინაული ზარს მისწვდა.

ჩოხელმა შეაჩერა: — დაიცა, თადია, დაიცა! ყვირილს კაცი არ მოუკლავს!

წამოდგა, დარბაზს თვალი გადაავლო და ერთი ბიჭი ამოარჩია. იგი სკამზე იდგა და უსაშველოდ ყვიროდა. ყელ-კისერზე ძარღვები ისე დაბერვოდა, თითქოს ახლეტას ლამობენო.

ჩოხელმა ხელი დაუქნია, აქ მოდიო.

ბიჭმა ჯერ მიიხედ-მოიხედა, მერე მკერდზე თითი მიიდო და ჩოხელს მიაჩერდა. „შენ, შენ!“ — დაუდასტურა ჩოხელმა. ბიჭმა მხრები აიჩეჩა, სკამიდან ზანტად ჩამოვიდა და ასევე ზანტად სცენისაკენ გაემართა. სცენაზე ასასვლელ კიბეს რომ მიუახლოვდა, წუთიერად შესდგა და ხელი ისევ მკერდზე მიიდო. სწორედ შენ გეძახითო, უთხრა ჩოხელმა და ტრიბუნისაკენ მიუთითა.

ბიჭი სცენაზე ავიდა და პრეზიდიუმის მაგიდის წინ ისე ფრთხილად ჩაიარა, ეზოში დაბმულ ძაღლს რომ ჩაუვლიან ხოლმე, ვაი თუ მომწვდესო.

ჩოხელმა ჰკითხა:

— რა გვარი ხარ, ბიჭო.

— ქავთარაძე, — უგულოდ მიუგო ბიჭმა.

— სახელი?

— ბერდია.

— აბა გვითხარი, ბერდიავ, რა გინდა!

— მე... არაფერიც არ მინდა!

— მაშ იქ რა გაყვირებდა!

— განა მარტო მე ვყვიროდი?!

— შენ შენი გვითხარი, შე კაი-კაცო! სხვები თავისას იტყვიან!

— რა უნდა ვთქვა! მე არაფერი არ ვიცი...

„ეგ ბიჭი ისე მოქუშული იყურება, ზედვე ეტყობა, სათქმელიც ბევრი აქვს და საყვირალიც!“ — გაიფიქრა ჩოხელმა და თადიას გადახედა.

— ვერ გამიგია, ერიდება თუ ეშინია! — მიუგო თადიამ.

— შეიძლება წავიდე? — იკითხა ბერდიამ

ჩოხელმა თავი დაუქნია, წადიო. მერე ხმამაღლა დაადევნა: — მე მეგონა, შენ რაღაც გაწუხებდა, ჩემო ძმაო! შენ კი აქ თურმე კრების ასარევად მოსულხარ!

ბერდია სწრაფად მოტრიალდა.

— მე... მე! — ენა დაება, თითქოს უეცარმა ტკივილმა სული შეუკრა: — მე მოვედი ასარევად?

— როგორც სჩანს. — წარბშეუხრელად მიუგო ჩოხელმა. მან იცოდა, რასაც აკეთებდა.

— ხალხი მიცნობს, რაცა ვარ..

ბერდია კანკალებდა, ეტყობოდა, ჯავრი ყელამდე ჰქონდა მოყრილი. ჩოხელი მაინც დაადგა პირზე.

— ჩემი თვალით დავინახე, ბიჭო, ზგურიქ რა ამბავში იყავი!

ბერდიამ ღრმად ამოისუნთქა, არეული პირისახე ოდნავ დაულაგდა, ფერიც დაუბრუნდა.

მკაფიოდ სთქვა:

— ეს თუ დაინახე, ამხანაგო მდივანო, ის რატომ არ დაინახე, დედაჩემი პურის სასესხებლად მეზობლებში რომ დადის!

ლაპარაკი რომ დაიწყო, ხალხი მაშინვე მიჩუმდა. ყველანი მიხვდნენ, თავმოყვარე ბიჭი ჩოხელის ანკესზე წამოეგო და ახლა მოქნეულს აღარ მოზომავდა.

— მე კი ემტეესიდან ჯერ კიდევ შარშანდელი ხორბალი არ მიმიღია...

ჩოხელი მეტრეველს მიუბრუნდა:

— რამდენი ერგება!

— სულ წაიღო, ამხანაგო სიმონ! ერთი მარცვალი არა ემართებს მაგისა!

ჩოხელმა წარბები შეჰყარა:

— შენ რაო, შარზე ხარ, ბიჭო?!

— არა გმართებს? — ბერდია წელში გაიმართა და რაღაც სხვანაირად ჩაიცინა: — მაშ ის თვრამეტი ჰექტარი სადღა წავიდა?

მიმხვედრი კაცი იმ სიცილს მეტ ყურადღებას მიაქცევდა, ჩაუფიქრდებოდა. მეტრეველმა კი აინუნშიც არ ჩააგდო, ბერდია ქავთარაძეს სიტყვა პირზე შეატეხა:

— რაც გერგებოდა, ყველაფერი გაგისწორე!

— პანტიშარაზე... თვრამეტი ჰექტარი! ისიც გამისწორე?!

— მინდორი აგრევია, ბიჭო! პანტიშარაზე კომბაინს რა უნდოდა! იქ პური ჩაიწვა და ქალები დამშეულ ყანას ნამგლითა მკიდნენ.

— ქალები ნაურზე მკიდნენ, ტარიელ! — დაუძახა დუბოვმა.

— ნაურზე. — მაშინვე დაუდასტურა ბერდიამ.

— ასე არ შეიძლება, ამხანაგო სიმონ, — სთქვა მეტრეველმა.

— რა არ შეიძლება.

— მე მასამართლებთ თუ ნინია მოზაიძეს, ვერ გამიგია!

— გული ნუ მოგდის, კაცო! ადექი და ხალხს პირდაპირ უთხარი, ეს ბიჭი მართალს ამბობს თუ არა!

— ესენი სულ ასე იძახიან, დამაკლეს... ცოტა მომცესო! — წაიბურდღუნა მეტრეველმა.

— ეგ რა პასუხია, ტარიელ! — გაიკვირვა ჩოხელმა. მერე ისევ მეტრეველს დააკვირდა. „ნუ თუ სტყუის ბერდიასთან“!

— შეიძლება ერთი სიტყვა.

ქალის ხმა იყო, ჩოხელმა თავი მოაბრუნა. ის ქალი დარბაზში უცბად ვერ იპოვნა და თადიას გადახედა.

— აგერ იმ ფანჯარასთან... უგრეხელიძის ქალი უნდა იყოს. — წასჩურჩულა თადიამ.

— გოგოლა! — ჩოხელს გაუხარდა მისი დანახვა და მაშინვე გაახსენდა ელისოს სიტყვები:

ლამაზ ქალს რამდენი ჭკუა სჭირდება. რომ ხანდახან თავისი სილამაზე დაივიწყოს და ქარაფშუტა ქალის სახელი არ დაიგდოს.

* დასასრული. იხ. „დროშა“ № 4, 5, 7.

„სწორედ ასეთია გოგოლა! ძალიან ლამაზი და ძალიან ჭკვიანი!“ — გაიფიქრა ჩოხელმა და ერთი რამ კიდევ მოაგონდა.

ერთხელ ალაზნიდან ფერმაში გამოვიარე. ეზოში არავინ იყო და პირდაპირ ბოსელში შევედი. ვეება შავი კამეჩები ჩალას ახრამუნებდნენ. ბაგის კარს პატარა ზაქი მისდგომოდა და ნელი ხმით ყოყინებდა. უეცრად სლუკუნი გავიგონე. გვერდზე მივიხედე, კუთხეში დაყრილ ჩალაზე გოგოლა დამხობილიყო და ჩუმი ცრემლით იხრჩობოდა. მივედი, წამოვაყენე... ტირილისაგან დასივებულ თვალებში მუჭი ამოისვა და დაბნეულად გამიღიმა. ჯერ ვიფიქრე, ვინმემ თუ აწყენინა-მეთქი, მერე ხელში სამკუთხად გაკეცილი წერილი რომ დავუნახე, მაშინვე მივხვდი, ასე მალულად რატომ სტიროდა...

ხელი მოვხვიე და ვუთხარი:

— ნუ სტირი, გოგოლა! დაბრუნდება, უეჭველად დაბრუნდება! ვისაც შენისთანა გოგო უცდის, იგი არ შეიძლება არ დაბრუნდეს!

მან ისევ დაბნეულად გამიღიმა, ერთი კიდევ ამოისლუკუნა და გაიქცა.

კრება რომ დამთავრდა, გოგოლამ გვერდზე გამიყვანა და ყურში ჩამჩურჩულა, რა კარგი კაცი ხარ, ბიძია სიმონ, რომ იცოდეო...

„შენ ხარ კარგი, ჩემო გოგოლა და ამიტომ ყველანი კარგებად გეჩვენებით-მეთქი!“ — გავიფიქრე მე...

— მობრძანდი, გოგოლა! — დაუძახა ჩოხელმა.

— აქედან ვიტყვი, თუ შეიძლება.

— სთქვი.

— შარშან ნაურზე მეც ვიყავი. ალაგ-ალაგ ყანას ხელითა ვგლეჯდით, იქ ნამგალმაც ვერ იმუშავა! — სთქვა გოგოლამ.

ჩოხელი მეტრეველს მიუბრუნდა.

— გაიგონე?

— შეიძლება ასეც იყო, ამხანაგო სიმონ. ზეპირად არ მახსოვს. ხვალ წიგნებს გავსინჯავ და ყველაფერს მოგახსენებ.

— მოდი, ამ საქმეს სახვალიოდ ნუ გადავდებთ, — სთქვა ჩოხელმა: — ვარდიკო აქ არის?

— აქა ვარ, ბატონო სიმონ!

— ეზოში ჩემი მანქანა სდგას. ჩაჯექი და შენი დავთარი ახლავე აქ მომიტანე.

— მე თვითონ წავალ, ამხანაგო სიმონ, — სთქვა მეტრეველმა.

— შენ რად უნდა შეწუხდე, კაცო! ვარდიკო ვერ მოიტანს?

— როგორ ვერ მოიტანს.

— გამიშვი, ბიჭო! — დაუტია ვარდიკომ ვიღაც ოინბაზ ბიჭს და კარებს მიაშურა.

„როდის იყო ჩოხელი ასეთი აჩქარებული... დაჩემებული!“ — ფიქრობდა თადია რაინაული და სიყრმის მეგობარს თვალს არ აშორებდა: „იქნებ ღალანდა რამე“...

— მანამდე გამოდი, ზაქარიავ, შენი მუხლები წაგვიკითხე, — უთხრა ჩოხელმა „გლეხის იმედის“ თავმჯდომარეს: — ცოტა ფრთხილად კი იყავი... ისეთი არაფერი ჩასწეროთ, რასაც ვერ მოერევით. „კოლხეთის ცისკარს“ ნუ ეხუმრებით! მექი ვაშაკიძის კაბინეტში რომ შეხვიდე, მუზეუმი გეგონება! დროშები გინდა, სიგელები გინდა, თასები გინდა... რას არ დაინახავს კაცი! ბროლის კოშკიც კი უდგას მაგიდაზე...

— ბროლის კოშკიც გვინახავს!

ზაქარია წამოდგა, რვეული გაშალა და კითხვა დაიწყო. დარბაზში მაშინვე ბუტბუტი ატყდა. ზოგიერთები წამოდგნენ და პაპიროსის მოსაწევად ეზოში გავიდნენ. ეტყობოდა, ახლა, ამ ცეცხლკიდებაში, ზაქარიას ყურს არავინ დაუგდებდა. ამიტომ ზაქარიასაც თავი არ მოუკლავს, ხელშეკრულება, როგორც იყო, ჩაიბუტბუტა და რვეული თავმჯდომარეს წინ დაუდო.

ამ დროს კულისიდან ვიღაცამ თავი გამოჰყო და ჩოხელს ანიშნა, ტელეფონზე გთხოვენო.

ჩოხელი გავიდა. წუთი არ გასულა, უკანვე დაბრუნდა. რაინაულის გარდა, კაცმა ვერ შეატყო, რომ იგი ელდანაცემი იყო.

ჩოხელი მაგიდის კიდესთან გაჩერდა.

— ჩვენი საუბარი უნდა გადავდოთ... მე უნდა წავიდე, ისეთი საქმე გამომიჩნდა! — ხმამაღლა სთქვა მან.

— რა მოხდა, სიმონ! — ჰკითხა თადიამ.

— მილიციიდან დამირეკეს, ჩემი მანქანა საკირესთან გადაბრუნებულა! ძეწნას ბიჭი და ვარდიკო საავადმყოფოში წაუყვანიათ! — ხმადაბლა მიუგო ჩოხელმა და უეცრად მეტრეველს მიუბრუნდა:

— ენამ ხომ არ მიყივლა, კაცო! იმ გოგომ მართლა ვერ მოიტანა შენი დავთარი!

და ახლაც მხოლოდ რაინაულმა შეატყო — ჩოხელს გუმანმა რაღაც ისეთი ჩასძახა, კაცი გულის სიღრმემდე შეძრული იყო.



# ღიმილი

**გიორგი გიგაური**

ღიმილით მოველ დედამიწაზე,
თბილად მიმიღო მკერდმა მთებისამ,
მე დედამიწის ძალა ვიწამე
მაისის თვეში,
გათენებისას.

მე გამიწია მიწამ დედობა,
სისხლად ადუღდა მისი სიკეთე,
თუ რამ შევცოდე,
ვითხოვ შენდობას,
სავალ გზას ნულარ გადამიკეტავს.

მე ახლა ფიქრით სივრცეებს ვსერავ
და მივაბიჯებ კოსმოსის გზებზე,
მინდა მიხმობდეს სიმაღლე ყველა,
მინდა დავძლიო,
რასაც კი შევძლებ.

მინდა აჩქეფდეს ცხოვრება მდორე
და აჩანჩქერდეს ლექსი შემტევი,
ოცნების გზებო,
მიმშველეთ თორემ
მთების ალყაში ველარ ვეტევი...

მე უსიმღეროდ როგორ მოვცდები,
როცა მომავლის გზებმა მიწამეს,
იკეცებიან ფრთები ოცნების
და ფეხი მიდგას დედამიწაზე.

დედამიწაზე ვაბიჯებ მტკიცედ,
აქ იბადება სივრცე ყოველი,
მე ჩემს სიცოცხლეს ამ მიწას მივცემ
და ისე წავალ,
როგორც მოველი.

ქვეყნის სამრეკლოს ზარების ზრიალს
ხმას შევუერთებ უტეხ ფიცისას...
და ჩამიკონებს გულმკერდი ღია
მდუმარე დედის — დედამიწისა.



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ კლუბში, ამას წინათ, ერთი საინტერესო საღამო მოეწყო — სტამბისა და გამომცემლობის მუშაკები გულთბილად ლაპარაკობდნენ თავიანთ ახლო მეგობარზე — გიორგი იაშვილზე, რომელიც ორმოცი წელია ემსახურება ქართული წიგნის გამოცემის საპატიო საქმეს.



# 40 წელი წიგნში

გიორგი იაშვილი ამჟამად სამოცი წლისაა; ჩუმი, თავმდაბალი კაცია გიორგი, მუდამ გამრჯელი და დაუღალავი — ვინ მოსთვლის რამდენ წიგნს, ჟურნალსა თუ გაზეთს გაუვლია მის ხელში, ვიდრე მკითხველამდე მიაღწევდა, ვინ მოსთვლის რამდენი მკითხველი გაუხარებია მისი რედაქტორობით გამოცემულ წიგნს? რამდენი თეთრი ღამე გაუთენებია მას სტამბაში; ის იყო კორექტორიც, გამომშვებიც, ტექნიკური რედაქტორიც, საწარმოო განყოფილების გამგეც და შემდეგ რედაქტორიც!

ორმოცი წლის წინათ, 1924 წელს მან პირველად ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში დაიწყო მუშაობა, ჯერ როგორც კორექტორმა და შემდეგ კი როგორც რედაქციის მდივანმა.

ორმოცი წელი გაატარა გიორგიმ ლინოტიპების, საბეჭდი მანქანების გვერდით, ორმოცი წელი ემსახურა იგი წიგნის გამოცემის საქმეს; და აი, ამ უმწიკვლო და კეთილშობილური ღვაწლისათვის გადაუხადეს მას მადლობა მისმა ახლო მეგობრებმა, პრესის მუშაკებმა, მკითხველებმა და ყველამ, ვინც იცნობს ამ დაუღალავ მუშაკს.



ტურისტები ახალ ტრასაზე.

# ლირიკა

გიორგი კალანდაძე



## სიმღერა

ჩემთან ხარ,
            ჩემად მიცვნიხარ,
ჩემი სიმღერის კილოდ,
ხან ჩემი ბაღის ნისლი ხარ,
ხან მზის შუქივით შლილობ.

დავწყვიტე იჭვის ძაფები,
შენი ნათელით ვხარობ,
შენს ბაგეს დავეწაფები,
ვით უკვდავების წყაროს.

ზღვას ღელვა შეემატება,
ტრთოლვა უსაზღვრო სივრცეს,
ფრთებს მასხამს შენი ხატება
და ხანავარდოდ მიწვევს.

ფრენაში ვერვინ გამასწროს,
ვარსკვლავთ მეზობლად ვსახლობ,
მე არ მოვკვდები არასდროს,
რადგან შენ გხედავ ახლოს.



## სურათი

ველი, დღისით გადახნული,
ლურჯ სერების კალთებს უცქერს,
სერზე სხივი ყარამფილის
გაფითრდა და მოკვდა უცებ.

ველი გდია ფრთებდაჩეხილ
ყორანივით შავი, მშვიდი,
როგორც ქურდი გამოცდილი,
ეპარება ხნულებს ბინდი.

ცა ლაინის პერანგს იცვამს,
ვარსკვლავებით დაძანძული,
სადაც ირმის ნახტომი ჩანს,
სარკის თალზე გადაწნული.

ბადრი მთვარე ბასრი სხივით
ჯერ ლაინის პერანგს გახევს,
მერე ოქროს ბატკანივით
ზეცის მოლზე იბალახებს.



* *

გაზაფხულმა გაიარა,
არა გამიგია — რა,
ახლა მტანჯავს სხვა იარა,
არა იგი იარა.

სიხარულის ცრემლს რომ მგვრიდა
სურნელება ვარდების,
მთად და ბარად რომ დავქროდით
ლაღად მონავარდენი.

დილით ადრე რომ მხვდებოდი
სახე ფერნამკრთალები,
ტრფობის ცეცხლს რომ მიკიდებდა
ეშხი შენი თვალების...

ახლა თავზე დამათოვა,
გული სიბრძნეს იფერებს,
შენ შორსა ხარ,
        მე მარტო ვარ,
ახლოვდება სიბერე.

# პირველად საბჭოთა კავშირში

ოთხიოდე თვის წინ სოხუმში შეიქმნა ახალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი; მისი შესწავლის საგანი მეტად ორიგინალურია. ეს არის ტურიზმი და მის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ინსტიტუტის შემოქმედებით საქმიანობას წარმართავს სწავლულთა საბჭო, რომელშიც შედიან ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, გეოლოგები, არქიტექტორები, ალპინისტები და სხვა პროფესიის ადამიანები. აგრეთვე ტურიზმის მოსკოველი, ლენინგრადელი, თბილისელი, სოჭელი ენთუზიასტები და მცოდნენი.

თავის არსებობის მოკლე ხნის მანძილზე ინსტიტუტმა უკვე ბევრი რამ საინტერესო გააკეთა. მისმა ექსპედიციებმა გამოამჟღავნეს ახალი ტრასები და დღემდე უცნობი საინტერესო ობიექტები.

ახალ სამეცნიერო დაწესებულებას აქვს გაბედული და მიმზიდველი ჩანაფიქრები. ზოგი რამ ამ ჩანაფიქრებიდან პრაქტიკულად უკვე ხორციელდება. უკვე გამოყოფილია სახსრები ე. წ. აბრსკილის გამოქვაბულის კეთილმოწყობისათვის. ეს გამოქვაბული მდებარეობს ოჩამჩირის რაიონში, სადაც მისკენ ფართო საავტომობილო გზას გაიყვანენ. აქ აიგება რესტორნები, ავტოპროფილაქტორიები, კაფეები და სხვ.

ინსტიტუტის ინიციატივით უმოკლეს დროში მდინარე მაჭარაზე გაკეთდება 10 ჰექტარი ფართობის ხელოვნური ტბა, სადაც მოეწყობა ნავების სადგომი და ხიდები თევზის საჭერად. დაწყებულია სხვა ტურისტული ობიექტების მშენებლობაც.

საქართველოს რესპუბლიკაში ტურიზმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გახსნა ერთხელ კიდევ გვიჩვენებს მრავალი უცხოელი და შინაური სტუმრის დიდ ინტერესს ჩვენი ლამაზი ქვეყნის მიმართ და ჩვენი ხალხის უანგარო სტუმართმოყვარეობას.

ნ. ჯაფარიძე



# ლილი

**ოთარ დემეტრაშვილი**

ნამდვილი ამბავი

— თქვენი გვარი და სამუშაო ადგილი!

— ტაქსო-მოტორების გარაჟში ვმუშაობ შოფერად... გაიოზ ჯაყელი გახლავართ... ჩემს ცოლს კი ლილი ჰქვია... ლილი ჯაყელი...

სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილის წინ ორმოცდაათ წელს მიტანებული, მკვრივად ჩასხმული მამაკაცი იჯდა. მის მოგრძო, ბრინჯაოსფრად გარუჯულ სახეს კიდევ უფრო მეტ ეშხს და ვაჟკაცურ იერს ჰმატებდა შუბლზე ხვეულად ჩამოშლილი ჭაღარა თმა.

შოფერი ღელავდა. მისი გაბზარული ხავერდოვანი ხმა და დაძაბული გამოხედვა ნათლად ამჟღავნებდა, რომ ეს კაცი რაღაც დიდი, მოსალოდნელი უბედურების შიშით იყო შეპყრობილი.

— რატომ ნერვიულობთ? — პოდპოლკოვნიკმა მაგიდაზე მოფანტულ ქაღალდებს გაშლილი გაზეთი წააფარა — რატომ გგონიათ, რომ თქვენი მეუღლე მაინცდამაინც უგზო-უკვლოდ დაიკარგა?.. ხომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რაღაც მიზეზის გამო იგი იძულებული გახდა ნათესავთან გაეთენებინა ღამე?.. ვიდრე ჩემთან მოხვიდოდით, — ისევ მშვიდი, დაბალი ხმით განაგრძობდა ლევან ხარბედია, — უმჯობესი იქნებოდა, ჯერ მილიციის განყოფილებებსა და საავადმყოფოებში დაგერეკათ... ხომ შეიძლება, ისიც იფიქროს კაცმა, რომ თქვენს მეუღლეს ქუჩაში უეცრად ბრმანაწლავი ასტკივდა, საავადმყოფოში წაიყვანეს და დროულად ვეღარ მოახერხა ოჯახთან დაკავშირება?

— შეიძლება, ყველაფერი შეიძლება!... — შოფრის ხმაში აქამდე რაღაც უცხო, მოთმინებიდან გამოსული ადამიანის ნერვიული ტონი გაერია, — ყველაფერი შეიძლება-მეთქი! მაგრამ ვიდრე თქვენთან მოსვლას გადავწყვეტდი, ტელეფონით უკვე მთელი ქალაქი შევაწრიალე...

— საიდან რეკავდით?

— ჩემს მეზობლად ექიმი ცხოვრობს, იმისი ბინიდან.

— გააგრძელეთ მოყოლა!..

— რაღა უნდა გავაგრძელო?.. ღამის ოთხი საათი იქნებოდა, როცა სამუშაოდან სახლში დავბრუნდი და ჩემი ცოლის დაკარგვის ამბავი გავიგე... იმის მერე, გათენებამდე ჯერ ტელეფონზე ვიყავი ჩამოკიდებული, გათენების შემდეგ კი მანქანით ყველა ნათესავისა და ნაცნობის ოჯახი ჩამოვიარე... ქალი ფეხმძიმედ არის, სად უნდა დარჩენილიყო ამდენ ხანს?

— მერე?

— მერე ის, რომ ჩემი ცოლის მნახველ კაცსაც კი ვერსად მივაგენი...

შოფერი შეტოკდა, პიჯაკის ჯიბიდან მეუღლის პატარა, კიდეებშემოცვეთილი სურათი ამოიღო და ფეხზე წამომდგარ პოდპოლკოვნიკს გაუწოდა.

სარკმელთან მიმდგარი ლევან ხარბედია გაოცებული დასცქეროდა ხელისგულზე დადებულ სურათს, საიდანაც ოცდაშვიდი-ოცდარვა წლის ბიჭურად თმაგაკრეჭილი ქალი უღიმოდა მას.

ეს სწორნაკვთებიანი, ლამაზ-ლამაზი ქალი, ეჭვი არ იყო, რომ მთელი არსებით უყვარდა ამ ჭაღარა, ორმოცდაათ წელს მიტანებულ კაცს. ის რაღაც უსაზღვრო სინაზით ლაპარაკობდა თავის ახალგაზრდა ცოლზე, ცდილობდა მისი ცხოვრების ათასგვარი უმნიშვნელო წვრილმანი გაეხსენებინა.

ლევან ხარბედიამ ჯერ კიდევ არ იცოდა, ქმრის ასეთ სიყვარულს როგორი გრძნობით პასუხობდა ქალი, ერთი რამ კი თითქმის უკვე ნათელი და გასაგები იყო მისთვის: შოფრის პიჯაკის ჩარღვეული სარჩული და ჭრელ ხალათზე აწყვეტილი ღილები პოდპოლკოვნიკს საფუძველს აძლევდა ეფიქრა, რომ ლილი ჯაყელი მაინცადამაინც მზრუნველი დიასახლისი არ უნდა ყოფილიყო...

— დამიტოვეთ სურათი! — სავარძელში მოხ-

## ლილი უგზო-უკვლოდ დაიკარგა

მდივანმა ქალმა ფრთხილად შეაღო კაბინეტის კარი.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ვიღაც მოქალაქე დაჟინებით თხოულობს თქვენთან შემოსვლას...

მაგიდასთან დახრილი მელოტი კაცი სწრაფად გასწორდა წელში, ტყავაკრულ კართან გაჩერებულ მდივანს გადახედა და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

— ვერავის მივიღებ!.. დილითვე გაგაფრთხილეთ, რომ პირველ საათამდე საჩქარო საქმეზე ვმუშაობ...

— დიახ, გამაფრთხილეთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო... მაგრამ მაინც ვერაფერი შევასმინე ამ გაკერპებულ კაცს...

მდივანი შეჩერდა. ზურგს უკან ლრიჭოდ დახურული კარი მიხურა და ხმამაღლა განაგრძო:

— თხუთმეტი წუთი იქნება, რაც მოსაცდელ ოთახში წინ და უკან დადის და, ლამის არის, ნეშართვის გარეშე შემოვარდეს თქვენთან...

— რას ამბობს, რა საქმეზე მოვედიო?

— აბა რა ვიცი, — მხრები აიჩეჩა მდივანმა, — ერთთავად იმას გაიძახის, რომ ჩემს შესახებ ახლავე მოახსენეთ უფროსს, კაბინეტში შევალ და პირადად ვეტყვი ყველაფერსო...

პოდპოლკოვნიკი ჩაფიქრდა. რამდენიმე წამი მდუმარედ გასცქეროდა შემოდგომის წვიმიან ზეცას, მერე მდივანს თანხმობის ნიშნად დაუქნია თავი:

— სთხოვეთ შემოვიდეს!

...სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილის პოდპოლკოვნიკ ლევან ხარბედიას კაბინეტში მაღალ-მაღალი, შუახნის კაცი შევიდა.

— დაბრძანდით! — ქაღალდებში თავჩარგულმა პოდპოლკოვნიკმა ცერად ახედა ოთახში უხერხულად გაჩერებულ უცნობს და კედელთან მიდგმულ სავარძელზე მიუთითა:

— დაბრძანდით და მომიყევით ყველაფერი.

უცნობი ჩამოჯდა. მსხვილი, დაკოჟრილი ხელები ერთმანეთთან მიტყუპებულ მუხლებზე დაილაგა და დაბნეულად წამოიწყო:

— უბედურება შემემთხვა, პატივცემულო უფროსო!.. დიდი უბედურება!..

— მაინც რა მოხდა?

ახლად მოსულმა სული მოითქვა, ხელში შერჩენილ პაპიროსს ასანთი წაუკიდა და ისევ დაბნეულად განაგრძო:

— წუხელ ჩემი ცოლი... უგზო-უკვლოდ დაიკარგა...

— როგორ თუ დაიკარგა?

— დაიკარგა!.. მეზობლებმა მითხრეს, რომ დაახლოებით საღამოს რვა საათი იქნებოდა, როცა სახლიდან წავიდა და იმის შემდეგ კაციშვილმა აღარ იცის იმის ასავალ-დასავალი...

პოდპოლკოვნიკმა წვრილი, ჭროღა თვალები დაჟინებით მიაშტერა უცნობს.

რილ შოფერს ლევან ხარბედიამ მოულოდნელად გაუწოდა მძიმე, დაძარღვული მარჯვენა, — დამიტოვეთ სურათი და იმედი იქონიეთ, რომ ამ კაბინეტში კიდევ მოგვიხდება ერთმანეთთან შეხვედრა...

გაიოზ ჯაყელის გაოცებულ მზერას პოდპოლკოვნიკმა ღიმჩამდგარი თვალები შეაგება და მშვიდად დაამთავრა სათქმელი:

— დიახ, დიახ, კიდევ მოგვიხდება ერთმანეთთან შეხვედრა!.. თქვენ და თქვენი მეუღლე რამდენიმე დღის შემდეგ, ალბათ, ერთად მობრძანდებით ჩემთან და აი ამ პატარა, კიდეებშემოცვეთილი სურათის უკან დაბრუნებას მომთხოვთ...

## გვერდი 379

კაბინეტში ტელეფონის ზარის წკრიალი გაისმა.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ეს-ეს არის მაცნობეს, რომ თბილისის ზღვაში ვიღაც დამხრჩვალი ქალი იპოვეს...

ლევან ხარბედიამ ხელიდან ხელში მოინაცვლა ტელეფონის ყურმილი და ყრუ ხმით გაეპასუხა მორიგეს:

— უფრო ზუსტად ამიხსენით, რომელ ადგილას იპოვეს ქალის გვამი?

— თბილისის ზღვაში, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო... თბილისის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში...

— გაქვთ თუ არა სხვა დამატებითი ცნობები?

— მეტი არაფერი!

ლევან ხარბედიას ტელეფონის ყურმილი ადგილზე უნდა დაედო, როცა უცებ რაღაც გაახსენდა და ხმამაღლა ჩასძახა მორიგეს:

— იქნებ მითხრათ, დაახლოებით რა ხნის იქნება დამხრჩვალი ქალი?

— ვერაფერს გეტყვით, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო... თუ საჭიროდ მიგაჩნიათ, ახლავე დავაზუსტებ და ტელეფონით გაცნობებთ...

— არ არის საჭირო... ოპერაციას მე თვითონ ვუხელმძღვანელებ და პირადად ვნახავ, რაც მაინტერესებს.

...რამდენიმე წუთის შემდეგ ლევან ხარბედია სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების ეზოში ჩავიდა.

მანქანაში უკვე ისხდნენ სამეცნიერო-საკვლევი ტექნიკური განყოფილების კრიმინალისტი, სამედიცინო ექსპერტი და განყოფილების ოპერატიული მუშაკი, რომელიც ძლივს აკავებდა ფეხებთან ჩაცუცქებულ ვეებერთელა გერმანულ ნაგაზს.

— დაუკავშირდით თუ არა მილიციის განყოფილების გამომძიებელს? — ოპერატიული მუშაკისათვის არც კი შეუხედავს, ისე იკითხა პოდპოლკოვნიკმა და შოფრის გვერდით სავარძელზე ჩამოჯდა.

— დიახ, დავუკავშირდი!.. ტელეფონით შევთანხმდით, რომ ახლავე წამოვა დანიშნულ ადგილზე.

ფიქრებში წასული ლევან ხარბედია მანქანის ფანჯრიდან გასცქეროდა თბილისის ქუჩებს, მერე ღრმა, გულიანი ნაფაზებით გააბოლა პაპიროსი და უკან მსხდომებს მიუბრუნდა:

— ჩვენმა ნაგაზმა შეიძლება დღეს ვერაფერი სამსახური გაგვიწიოს...

— რატომ ფიქრობთ ასე, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო?

— რატომ ვფიქრობ? — კითხვა გაიმეორა ლევან ხარბედიამ, — იმიტომ ვფიქრობ, რომ აუცილებელი არ არის წყალში ნაპოვნი ქალი მაინცდამაინც დღევანდელი დამხრჩვალი იყოს...

ოპერატიული მუშაკი მაშინვე მიუხვდა უფროსს.

— მართალს ბრძანებთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო... ერთი კვირა იქნება რაც გამუდმებით წვიმს და მხოლოდ დილას აქეთ გამოიდარა... თუ წყალში ნაპოვნი ქალი ვინმემ დაახრჩო, თავისთავად ცხადია, რომ წვიმა მთლიანად წაშლიდა დამნაშავის კვალს...

— რა თქმა უნდა, ამხანაგო კაპიტანო, რა თქმა უნდა...

სამძებრო განყოფილების მანქანა ქალაქის გარეუბანს გასცდა, ხელმარცხნივ გადაუხვია და თუხთუხით შეუყვა ზღვისაკენ მიმავალ ფერდობს.

* * *

გვამი თბილისის ზღვიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით ესვენა.

მიწაზე გაფენილ გაზეთებზე გაშოტილი იდო საშუალოზე ოდნავ მაღალი, კოხტად მოსული ახალგაზრდა ქალი, რომლის სახეს რაღაც მკრქალი, ცვილის უსიამო ფერი დასდებოდა.

ქალს მოდურად შეკერილი, დიდჯიბეებიანი შალის კაბა ეცვა; ერთად მიტყუპებულ ჩამოქნილ ფეხებზე კი მხოლოდ ცალი, ქუსლმოტეხილი ფეხსაცმელი შერჩენოდა.

— რას გვეტყვით, ექიმო? — გულხელდაკრეფილმა პოდპოლკოვნიკმა სწრაფად მოავლო თვალი მის გარშემო შეკრებილ თანამგზავრებს და გვამთან დახრილ ქერათმიან ახალგაზრდა კაცზე შეაჩერა მზერა.

— თუ გვამური ლაქებითა და კიდურების ნათელი ფერის მიხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ ამ გვამმა წყალში სულ ცოტა, ორმოცი-ორმოცდაათი საათი მაინც გაატარა...

ექიმმა სათვალე მოიხსნა, ოდნავ მოჭუტული თვალებით აჰედა მის პირდაპირ ჩამომდგარ ლევან ხარბედიას და ფიქრიანად გააგრძელა:

— მთავარი და გადამწყვეტი მაინც სულ სხვა გახლავთ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო... მთავარი ის არის, რომ ამ ქალმა, როგორც ეტყობა, თვითონ კი არ დაიხრჩო თავი, არამედ ვიღაცამ მოკლა და შემდეგ გადააგდო წყალში...

— გაქვთ თუ არა მტკიცე საფუძველი, რომ ასეთი ვარაუდი იქონიოთ?

— რა თქმა უნდა, მაქვს...

ექიმი დაიხარა, გულზე ნიკაპით დაბჯენილი თავი აუწია გვამს და მთლიანად გააშიშვლა მისი ყელი.

მკერდგადაღეღილ ქალს ახლა უკვე ნათლად გამოუჩნდა ყელში მძლავრად წაჭერილი თითების ჩალურჯებული ნაკვალევი. ეს ნაკვალევი ქალის ყელისა და კისრის ორთავე მხარეს მიჰყვებოდა და ბეჭის დასაწყისთან კანში ღრმად ჩასული ფრჩხილის ნახევარმთვარისებური ნაჭდევით მთავრდებოდა.

— გაძლევთ თუ არა, ექიმო, ყოველივე ეს იმის საფუძველს, რომ დაბეჯითებით გვითხრათ, ქალი ვიღაცამ დაახრჩო და შემდეგ გადააგდო წყალში?

— ძნელი სათქმელია! — ექიმმა დაეჭვებით გაიქნია თავი, — მე უკვე გითხარით, რომ ქალი მკვდარი გადააგდეს წყალში, მაგრამ მისი სიკვდილი შეიძლება შიშით გულის გახეთქვამაც გამოიწვია... შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ქალი ჯერ მოსწამლა ვიღაცამ, შემდეგ კი, რაღაც მოსაზრებით, დახრჩობის ინსცენირების გათამაშება გადასწყვიტა... საბოლოო და ამომწურავი დასკვნის მოცემა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, როცა ქალს პროზექტურაში გადავასვენებთ და გვამს გავკვეთავთ...

* * *

ლევან ხარბედია ქალის ჩალურჯებულ კისერს დასცქეროდა, როცა გამომძიებელმა მოულოდნელად მკლავზე შეავლო ხელი.

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ეჭვი არ არის, რომ ქალი ვიღაცას გაუძარცვავს!..

წყლისაგან შეშუპებულ, ოდნავ მოდრეკილ მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე გვამს ნათლად ეტყობოდა რაღაც თეთრი ზოლი, ასეთი ზოლი ქალის მარცხენა ხელის მაჯასაც გასდევდა და რკალად ეხვეოდა გარშემო.

ჯერ კიდევ ადრე იყო იმისი თქმა, რომ ქალი გაძარცვის მიზნით იყო მოკლული, მაგრამ საათისა და ბეჭდის ეს დამღასავით დარჩენილი თეთრი ზოლები ნათლად მოწმობდა, რომ იგი მართლაც გაეძარცვა ბოროტმოქმედს...

ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობდა ისიც, რომ ქალი კაბისამარა იყო, ორი დღის წინ კი, როცა იგი წყალში გადააგდეს, წვიმიანი ამინდი იდგა და საგაზაფხულო პალტო თუ არა, ჟაკეტი მაინც უნდა სცმოდა მას.

...ორი საათი გაგრძელდა გვამის გულმოდგინე შესწავლა. ახალგაზრდა ქალის გვამთან დახრილი ხუთი ადამიანი ორი საათი დაუინებით სინჯავდა და ამოწმებდა თვითეულ დეტალს, მაგრამ ძიებისათვის საინტერესო სხვა რაიმე მასალის პოვნა ველარ მოხერხდა.

ერთადერთი ნივთი, რასაც კრიმინალისტმა მიაკვლია, ეს იყო ქალის ჯიბეში ცხვირსახოცის ქვეშ ღრმად ჩადებული ლილი, რომელიც ქაღალდის რაღაც ნაგლეჯში იყო გახვეული.

ხის პატარა, მოკრიალებულ კოლოფში ერთმანეთის გვერდით ჩააწყეს მოგრძო ფორმის სადაფის ლილი და დაფლეთილი ქაღალდის ნაგლეჯი, რომლის ზედა მხარეს თავისუფლად შეგეძლოთ ამოგეკითხათ ციფრი — 379.

შინაგანი ხმა უკარნახებდა პოდპოლკოვნიკს, რომ სადაფის ამ პატარა ლილსა და რომელიღაც წიგნიდან ამოხეულ 379-ე გვერდის ნაგლეჯს შემდგომში რაღაც წვლილი უნდა შეეტანათ თბილისის ზღვასთან მომხდარი დანაშაულის გახსნაში.

— დავიწყოთ აქტის შედგენა! — პოდპოლკოვნიკმა მიწაში გასვრილი ხელები სწრაფად გაიწმინდა და მანქანის გვერდით გაჩერებულ გამომძიებელს მიუბრუნდა, — ამხანაგო კაპიტანო, შეგვიძლია დავწეროთ, რომ ათას ცხრაას სამოცდასამი წლის ათ ოქტომბერს თბილისის ზღვაში ნახული იქნა დამხრჩვალი მოქალაქის ლილი ჯაყელის გაძარცული გვამი...

გამომძიებლის გაოცებული გამოხედვა თითქოს არც კი შეუნიშნავს პოდპოლკოვნიკს, მელოტ თავზე გადაისვა ხელი და შემაღლებული ხმით ჩაილაპარაკა:

— დიახ, ეს ახალგაზრდა ქალი ტაქსის შოფრის ვინმე გაიოზ ჯაყელის ორი დღის წინათ დაკარგული მეუღლე ლილი ჯაყელი გახლავთ!..



*(გაგრძელება იქნება)*




# ლირიკული ლექსის ოსტატი

წერილი ერთი მცირე მოგონებით მინდა დავიწყო.

1926 წელი იყო. თბილისში ახლად ჩამოსული ვიყავი და ჩემი ნათესავის — კრწანისელი მებაღის ანდრია ძიძიგურის სახლში ვცხოვრობდი. ანდრიას დიდი ბაღი და ბოსტანი ჰქონდა. ერთხელ მან საზიდარი ქორფა კიტრითა და პომიდორით გაავსო, სახედარი შეაბა, კოფოზე დამსვა და მითხრა:

— ეს ბოსტნეული რიყეზე ბაყალ ისლამას მიუტანე...

გავრეკე ჩემი ბედაური რიყისაკენ. იმ ადგილს, რომ მივუახლოვდით, სადაც ახლა მეტეხის დიდი ხიდია აგებული (ძველად იქ პატარა ხიდი იყო, ვირის ხიდს ეძახდნენ), უცებ გზაზე ჩემსკენ მომავალი ოთხი კაცი დავინახე. მათ, ეტყობოდა, თვალი მოსტაცა ხასხასა კიტრებმა და წითლად მოელვარე პომიდორმა, გამაჩერეს და ხუმრობით მკითხეს:

— ბიჭო, სად მიგაქვს ეს მთელი ქვეყნის სიმდიდრე?

ვუპასუხე, სადაც მივდიოდი.

— ვისი შვილი ხარ? — მკითხა მაღალმა, წარმოსადეგმა ვაჟკაცმა.

— მარტვილის რაიონიდან გახლავართ, აქ, ორთაჭალაში ვცხოვრობ, ნადიკვრის ქუჩაზე, ჩემს ნათესავთან...

— მარტვილიდან? — იკითხა ერთმა მათგანმა — ჭყონდიდელის სოფლიდან ყოფილა.

— სწავლობ სადმე? — ისევ მკითხა მაღალმა, შავგვრემანმა კაცმა.

— დიახ, ბატონო, მეთოთხმეტე შრომის სკოლაში.

ტანმორჩილი, გრუზათმიანი კაცი აქამდე ჩუმად იყო და ახლა კი ხმადაბლა მითხრა:

— სკოლიდან ჩემს ბინაზე გამოიარე, — და მისამართი მომცა, — თეატრალური შესახვევი, ნომერი შვიდი, ვალერიან გაფრინდაშვილი.

მე-14 შრომის სკოლა პასკევიჩის ქუჩაზე იყო (ახლანდელი მახარაძის ქუჩა), არც ისე შორს თეატრალური შესახვევიდან. მეორე დღეს, სკოლაში რომ მივედი, ყოველივე ეს სკოლის დირექტორის მოადგილეს ვარლამ ხუროძეს (მწერალი მალაქიაშვილი) ვუამბე.

— ჰო, გაფრინდაშვილი ცნობილი პოეტია, — მითხრა მან და მასწავლა, თუ სად იყო თეატრალური შესახვევი, თანაც წერილიც გამატანა ვალერიანთან.

გაკვეთილების შემდეგ გავწიე ზემოთქმული მისამართით. პოეტი სახლში დამხვდა. ძალიან გულთბილად მიმიღო, ვკითხე ვინ იყვნენ-მეთქი თქვენი თანმხლებნი — ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და გიორგი ლეონიძეო, მიპასუხა. მათი სახელები უკვე კარგად ვიცოდი, ვკითხულობდი მათს ლექსებს, ხოლო თვითონ ვალერიანს ზეპირად ვუთხარი მისი ლექსი „სენტიმენტალური ტრიოლეტი“; შემდეგ ზეპირადვე წავუკითხე პაოლო იაშვილისა და გიორგი ლეონიძის ლექსები. მწერლის სახე რაღაც გასაოცარმა სიხარულმა მოიცვა. ჩუმი, მღელვარებით სავსე ხმით მკითხა: შენი ამხანაგებიც კითხულობენ? გიყვართ ეგ ლექსები?

ძალიან გაუხარდა, ისე მესაუბრებოდა, თითქოს მისი ტოლი ვყოფილიყავი. კითხულობდა ლექსებს და ღრმად განიცდიდა ყოველ სიტყვას, მის გარდა თითქოს ყველაფერი ავიწყდებოდა.

— აი ამ ჩემს ბინაში, — მითხრა მან, — ლადო მესხიშვილი ცხოვრობდა, ხომ იცი, ის ქართული თეატრის მშვენება იყო. თანაც ვაჟკაცური სილამაზის განსახიერება, — და იქვე კედელზე მესხიშვილის სურათს შეხედა. მისი ბინის კედლები ერთთავად მოხატული იყო, ფრესკებზე გამოსახული იყვნენ ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერი ბრიუსოვი, რემბო, ვერლენი და ვალერიან გაფრინდაშვილი. ვალერიანმა მითხრა, რომ ეს ფრესკები შესრულებული იყო პანტელეიმონ პეტრენკოს მიერ.

პირველი გაცნობის შემდეგ ხშირად დავდიოდი ვალერიანის სახლში.

ათიოდე წლის შემდეგ, როცა „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციაში ვმუშაობდი, ვალერიანი უფრო ახლოს გავიცანი. ის იმ ხანებში უკვე ავადმყოფობდა. 1939 წელს უნდა აღგვენიშნა მიხეილ ლერმონტოვის დაბადების 125 წლისთავი. ამ თარიღისათვის ლერმონტოვზე წერილის დაწერა ვთხოვე ვალერიან გაფრინდაშვილს; რამდენიმე დღის შემდეგ რედაქციაში შალვა დადიანი და ნატო ვაჩნაძე შემოვიდნენ. შალვა სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო და ვუთხარი, რომ ვალერიან გაფრინდაშვილს მინდა ლერმონტოვზე წერილი დავაწერიო-მეთქი; შალვამ მომიწონა არჩევანი; მან თქვა: ვალერიანი შესანიშნავი ლირიკოსია და ლერმონტოვის სულს ღრმად სწვდება, კარგ სტატიას დაწერსო. ნატომ დასძინა: „ამ დილით თამარ ჭავჭავაძემ დამირეკა და მითხრა, რომ ვალერიანი თურმე ავად გამხდარა (თამარ ჭავჭავაძე ვალერიანის ცოლისდა არის); შალვამ მაშინვე გადაწყვიტა გვენახა ავადმყოფი პოეტი; ვალერიანი მაშინ უკვე რუსთაველის პროსპექტზე ცხოვრობდა. გულის შეტევა ჰქონოდა, მაგრამ გაევლო. ჩვენი მისვლა ძლიერ გაუხარდა, შალვასა და ნატოს გადაეხვია, თამარ ჭავჭავაძეც იქ დაგვხვდა. გამოთხოვებისას ვალერიანს კვლავ შევახსენე წერილი ლერმონტოვის შესახებ, აღმითქვა, რომ დაწერდა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ბარათით მაცნობა, რომ ავადმყოფობის გამო წერილს ვერ მოამზადებდა. ბარათი აქამდე შენახული მაქვს.

ახლახან „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ გამოსცა ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების კრებული. წიგნმა მკითხველს ცოცხლად წარმოუდგინა ამ შესანიშნავი პოეტის მდიდარი შინაგანი სამყარო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველი პერიოდის ლექსები გამსჭვალული იყო დეკადენტური განწყობილებებით, მაგრამ პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მალე დასძლია ეს განწყობილებანი და თამამად დადგა მოწინავე რეალიზმის პოზიციაზე. ამ პატარა წერილში ძნელია სრულად დავახასიათოთ მწერლის მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, ვიტყვით მხოლოდ, რომ საბჭოთა ლიტერატურის ისტორია გვერდს ვერ აუვლის ამ სახელს; მის პოეზიაში შესანიშნავად გამოჩნდა ის გარდატეხა, რომელიც განიცადა ჩვენმა ლიტერატურამ ოციანსა და ოცდაათიან წლებს შორის, როცა რეალისტური პოეზია ფართოდ იკაფავდა გზას და იპყრობდა ახალ მწვერვალებს. ვალერიან გაფრინდაშვილი ამ ლიტერატურული პროცესების უშუალო, უაღრესად აქტიური მონაწილე იყო. იმ ხანებში იგი წერდა: „ჩემი გზა არის სოციალისტური რეალიზმის გზა. ჩემთვის, როგორც პოეტისათვის უდიდესი როლი ითამაშა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც გააჯანსაღა ჩემი მსოფლმხედველობა... ჩვენმა გმირულმა ეპოქამ, ჩვენმა უკვდავმა ბელადმა ლენინმა მოახდინა ჩემზე უდიდესი გავლენა და მე შეძლებისდაგვარად გამოვეხმაურე ჩვენი დღეების თემატიკას. სიმბოლიზმი უკვე განვლილი ეტაპია ჩემთვის“. მართლაც, პოეტი, მთელი ხმით უმღეროდა განახლებულ ცხოვრებას, ახალი ეპოქის კეთილშობილურ იდეებს.

ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზია გამსჭვალულია მაღალი, მოქალაქეობრივი შეგნებით. პოეტი გულწრფელად უმღეროდა ახალ ადამიანს, რომელიც აშენებდა თავისუფალ სამყაროს. მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი პოეტური სიტყვის როლი ახლის შენების პროცესში და ამიტომაც ამბობდა:

და მჯერა ჩემი სიმღერა წმინდა
სამშობლო მხარეს ემახსოვრება.

და მართლაც, მისი სიმღერა კვლავ ცოცხლად და ძლიერად ხმიანობს მკითხველის გულში; ვალერიან გაფრინდაშვილის სახელი მუდამ მოიხსენება სიტყვის იმ ოსტატთა შორის, რომლებიც ჰქმნიდნენ ახალს ქართულ საბჭოთა პოეზიას.

ალ. სიგუა



# მწერალი-მონადირე

„მე სწორედ ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, ისა ვარ“, ეს სიტყვები ზედგამოჭრილია სოსო იორამაშვილზე. ყოველი მისი წიგნის თემა — ნადირობაა. ამ წიგნების ფურცლებზე, ხან იქ, ხან აქ, ხტუნაობენ დაფეთებული კაკბები, გნოლები... კითხულობთ ამ მოთხრობებს და თქვენ ხედავთ რაოდენ კეთილშობილური სპორტია ნადირობა.

თავის ნაწარმოებებში მწერალი სასტიკად ჰკიცხავს იმ ადამიანებს, რომლებიც ამ სპორტს აუხამსებენ და ბრაკონიერობას იწყებენ. ნამდვილი მონადირე — იმავე დროს, ბუნების მზრუნველი და გულშემატკივარი მეგობარია: ის ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა საქართველოს ველმინდვრები, მთები და ტყეები ირმებით, ჯიხვებით, კურდღლებით და ხოხბებით აივსოს.

სწორედ ესაა დედააზრი იორამაშვილის მოთხრობისა „ნაკრძალის დირექტორი“, რომლის მთავარი გმირი ვანო, მართლაც კეთილშობილი და მიმზიდველი ადამიანია. მწერალი სიყვარულით ხატავს ამ სახეს და გრძნობთ, რაოდენ უყვარს მას ბუნების დამცველი ადამიანები; ბრაკონიერებს კი — ნუ დაანახვებთ! მათ გაანადგურეს მისი სოფლის — დირბის სანადირო ფაუნა. მოთხრობაში „ლორი მუხის ქვეშ“ მწერალი თავისი ბავშვობის წლებს უბრუნდება და იხსენებს, რომ დირბის ხანახები კურდღლითა და გნოლით იყო სავსე, ხოლო შაშვს, ჩხართვს, მტრედს ვინ დასთვლიდა. დღეს კი... მწერალმა ამას წინათ მშობლიურ სოფელს მიაკითხა და გული დაუსევდიანდა, როცა თანასოფლელებმა აუწყეს: კურდღლისა და გნოლის დანახვა გვენატრებაო. ხსენებულ მოთხრობაში მწერალმა სწორედ ის ადამიანები ამხილა, ვინც უსულგულოდ ეპყრობა ბუნებას — ხალხისა და ქვეყნის ფასდაუდებელ სიმდიდრეს.

სოსო იორამაშვილი ახალგაზრდა მონადირეებზეც ზრუნავს, — მათ ხშირად არიგებს, ასწავლის, წვრთნის, უნერგავს ბუნებისადმი სიყვარულს. ერთხელ მონადირეთა ჯგუფმა, რომელშიც სოსო იორამაშვილიც შედიოდა, მარნეულის რაიონში, მდინარე ხრამის ჭალებში მუსრი გაავლო ყვავებს, კაჭკაჭებს და ქორებს. იმ დღეს ვინ დათვლის, რამდენი ხოხობი, გნოლი და კაკაბი სიკვდილს გადაურჩა. თვალწინ, რამდენმა კურდღელმა გაირბინა მონადირეთა ახლოს, მაგრამ არც ერთ მათგანს თოფისთვის არ წაუვლია ხელი. ეს ნამდვილად პატიოსანი მონადირეები სიყვარულით აყოლებდნენ თვალს ბუნების ლაღ შვილებს და თითქოს მისძახოდნენ: „ნუ გეშინიათ, ჩვენ მხოლოდ მტაცებელ ფრინველნადირს ვანადგურებთო“.

* * *

ამ რამდენიმე ხნის წინ სოსო იორამაშვილი „ნაკადულში“ გამოიძახეს. გამომცემლობის დირექტორმა ხუტა ბერულავამ სოსოს ძალზე საინტერესო წინადადება მისცა — დაემზადებინა კრებული, რომელშიაც შეტანილი იქნებოდა ყველა საუკეთესო ნაწარმოები, რაც ნადირობის შესახებ დაწერილა ჩვენში. ამ სამუშაოს შესრულება არც ისე იოლი აღმოჩნდა. მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში აგროვებდა სოსო ნადირობაზე თქმულ და დაწერილ ლექსებს, მოთხრობებს, ბალადებს, ნარკვევებს... ამის შედეგად ქართულ ენაზე მკითხველმა საზოგადოებრიობამ მიიღო მშვენიერი კრებული — „მონადირის წიგნი“, რომელშიც, კლასიკოსების და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებებთან ერთად, წარმოდგენილია ხალხური შემოქმედების ნიმუშებიც.

სოსო იორამაშვილი ბავშვობიდან მოკიდებული სპორტს მისდევს, — ოცდათხუთმეტ წლამდე ჭიდაობდა, ხოლო როცა ჭიდაობისათვის „მოხუცდა“, სანადირო სპორტს დაეძალა.

საქართველოს მთავრობამ სპეციალური კანონი მიიღო ბუნების დაცვის შესახებ. და აი, ჩვენი ადამიანების ბრძოლამ და დაულალავმა საქმიანობამ ბუნების დაცვისათვის უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი. მხატვრულ სიტყვას ამ საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლია. ბუნების დაცვა — პატრიოტული საქმეა, და ამ საპატიო საქმეს სოსო იორამაშვილი ერთგულად ემსახურება.

შოთა თევდორაძე

# შუქურის ზედამხედველი

**კონსტანტინე პაუსტოვსკი**



მხატვარი თ. სამსონაძე

შუქურა უბედურებისაგან როცა გვიცავს, ძალიან გვიყვარს, მაგრამ შუქურას რომ გული აქვს, იმ გულში იშვიათად თუ ჩავიხედავთ ხოლმე.

შუქურას მარტო მორიგე გუშაგი არ აშორებს თვალს, ციმციმს ამოკითხვა და გაგება უნდა. ზღვა ერთია, შუქურა მრავალი და ყველანი სხვადასხვანაირად ციმციმებენ, რომ ერთიმეორისაგან გაარჩიოს კაცმა და თანაც ხომალდის ადგილსამყოფელიც გაიგოს.

არა ერთი და ორი წელი ენთო ბათუმის შუქურაც, მაგრამ ბევრმა როდი იცოდა, ვინ იყო ამ შუქურის ზედამხედველი სტავრაკი. შუქურა ქალაქიდან ძალიან ცუდად ჩანდა. მთელ შუქს ზღვასა ჰფენდა.

სტავრაკი თავისი საქმის მცოდნე კაცი იყო. მან პირველმა მოიტანა „მაიაკის" რედაქციაში წერილი (ახალ საშუქურე ნათურებზე წერდა).

რედაქციაში ცოტა ხანს შეყოვნდა. ბაბელზეც, ულიანსკიზეც და ჩემზეც არასასიამოვნო, მქირდავი კაცის შთაბეჭდილება მოახდინა.

დამჭკნარი, ყვითელი სახე ჯაგრითა ჰქონდა დაფარული, შეშუპებულ თვალებზე კი ეტყობოდა, რომ ბოლო ხანს ზლომად დაელია „რუხაძის არაყი".

აბრანძული იყო. ახველებდა, ცრემლი სდიოდა.

ბაბელი არ მოსწონდა, ცერად მიყურებსო. ერთხელ გესლიანად მითხრა:

— რა უნდა მაგ სათვალიანს, ეგრე რათ მიცქერის! არ მიყვარს, როცა თვალებში ჩამაცქერდებიან ხოლმე. ჩემს ამბავს ეგრე ადვილად ვერავინ გაიგებს. თუ გინდა სანაძლეო დავდოთ! რა იცი, იქნება ძველი ქურდი ვარ ან მკვლელი? ხომ შეიძლება სულაც უწყინარი პაპა ვიყო? ვაითუ პატარა გოგოებსა ვყიდი და ვყიდულობ? რამდენიც უნდა, იმტვრიოს თავი.

მეორედ კი ასეთი რამ მითხრა:

— ვისაც შუქურის ზედამხედველობა უნდა, თავისი წარსული უნდა დაივიწყოს. არადა, ფარნის ანთება დაავიწყდება.

— როდისმე ყოფილა შემთხვევა, როცა შუქურა არ აუნთიათ-მეთქი, — ვკითხე.

— როცა ზედამხედველი მომკვდარა, მხოლოდ მაშინ, — მიპასუხა სტავრაკიმ და გაიღიმა. — ან როცა უცაბედად გაგიჟებულა. თანაც თუ მარტოდმარტო იყო ჩემსავით და შემცვლელი აღარავინ ჰყავდა, აღარც ცოლი და აღარც ქალიშვილი.

— თქვენ რა, ოჯახი არა გყავთ? — ვკითხე და იმ წუთს მივხვდი, რომ ცოტა უხერხულად გამომივიდა.

უხეშად, ბრაზიანად მიპასუხა:

— მართალია, ახალგაზრდა კაცი ხარ, მაგრამ ის კი უნდა იცოდე, რომ სხვის საქმეში ცხვირი არ უნდა ჩაყო. აიღე ახლა სუფთა ქაღალდი და ჩაიწერე, რა არ უნდა იკითხო ლაპარაკში, რაც უნდა ცნობისმოყვარეობამ შეგიპყროს.

— უხეშობა რა საკადრისია, პატიოსანმა კაცმა უხეში სიტყვა არც უნდა იკადროს-მეთქი, ვუთხარი.

სტავრაკიმ ბუშლატის ჯიბიდან ოდეკოლონის შუშა ამოიღო, რამდენჯერმე მოსვა, მერე თვალები მოწკურა და დამრიგებლური კილოთი მითხრა:

— მაღალფარდოვნად ლაპარაკობთ. ცოტა არ იყოს, უფროსი კაცი ვარ და პატივისცემაც მეტი მეკუთვნის. პატიოსანმა კაცმა უხეში სიტყვა არც უნდა იკადროსო, რომ ამბობთ, რა იცით, იქნება არცა ვარ პატიოსანი. თქვენი თავი რა, პატიოსანი გგონიათ? საერთოდ, რა არის პატიოსნება? გაგვაბედნიერეთ, დაწერეთ სტატია პატიოსნებაზე გაგრა-ბათუმის სანაპიროს მეზღვაურებისათვის. იქნება მაშინ მაინც გავიგოთ.

სწორედ ამ დროს შემოვიდა ულიანსკიც.

— მოგესალმებით, რაინდო! — მიაძახა სტავრაკიმ. — იცით, რა უნდა გითხრათ, — ახლა მე მომიბრუნდა, — ეს ჭაბუკიც პატიოსნად მიგვაჩნია მხოლოდ იმიტომ, რომ წესიერად არც ვიცნობთ. პატიოსნება იგივე უცოდინარობაა.

— არ ახალია, ძველია, — მშვიდად თქვა ულიანსკიმ, მაგრამ შევამჩნიე, რომ ქვედა ტუჩი შეუთამაშდა. — მსმელი ხალხის ფილოსოფიაა.

სტავრაკიმ მაგიდიდან ცარიელი არყის ბოთლი აიღო, ხელში შეატრიალ-შემოატრიალა, ბოთლს ზედ წარწერა რომ ჰქონდა, ცოტა ხანს ის ათვალიერა, და უცებ ულიანსკის მოუღერა ჩასარტყმელად; კიტელის საყელოში ვწვდი, მაგრამ გამისხლტა, ღია ფანჯარას მივარდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ქუჩაში ისროლა ბოთლი. შორიახლო რომ სახლი იდგა, ბოთლი იმ სახლის სახურავს დაეცა და დაქუცმაცდა.

— მიზანი, იცოცხლე, ვაცი, — თქვა სტავრაკიმ. — ზუსტად ვურტყამ.

მერე სწრაფად შემოტრიალდა და გავიდა.

გიჟი ყოფილა-მეთქი, ჩავილაპარაკე.

— არა, გიჟი კი არა, დიდი ოხერი ჩანს, — მიპასუხა ულიანსკიმ. — თუ გინდა, სანაძლეოს დავდებ.

არც ეგრეა საქმე-მეთქი, ვთქვი, მაგრამ ულიანსკის აღარაფერი უპასუხნია.

წეღან ბერიკაცს კიტელის საყელოში რომ ვწვდი, ფხრაწანი მომესმა, — ალბათ ბღლაძუნს ვეღარ გაუძლო ძველმა კიტელმა. სირცხვილის გრძნობამ შემიპყრო — ვინ იცის, ის ერთი ძველი კიტელი ჰქონდა იმ უბედურს და ისიც შემოვახიე-მეთქი. მზად ვიყავი გამოვკიდებოდი, დავწეოდი და ბოდიში მომეხადა.

ორიოდე დღის შემდეგ ჩაქვიდან კატარღით მოვდიოდი ბათუმში. საღამო ხანი იყო. მწუხრში ჩაძირული ზღვა, როგორც ყოველთვის, ახლაც ზღვარდაუდებელ სიბნელეში იკარგებოდა, და ხან მომეჩვენებოდა ხოლმე, რომ კატარღა უფსკრულის პირას შეშინებულივით ფართხალებდა. შუქურა წყლის უდაბნოში ადამიანის უკანასკნელი თავშესაფარივით ენთო.

შუქურის ერთ-ერთ სარკმელში სუსტი შუქი ჩანდა. იმ სარკმლის თავზე კი, თითქოს ღამის სტიქიას შესჭიდებიაო, თვითონ შუქურა ბდღვრიალებდა.

სტავრაკი მომაგონდა, ნეტავი რაზე ფიქრობს-მეთქი ახლა ის საცოდავი. ვინ იცის, იქნებ თავისი სიჭაბუკე გაიხსენა? ან მოწყვეტილი ყვავილივით დამჭკნარ თავის წარსულს იგონებს? იქნება სულაც მეასედ კითხულობს რომელიმე წიგნს და იმ წიგნში ამაოდ ეძებს თავისი უიღბლო ცხოვრების წამალს?

გული მომიკლა ბერიკაცზე ფიქრმა, ძალზე შემეცოდა, მაგრამ მეორე დილით სიბრალულის ნატამალი აღარ დამრჩა გულში. საზარელი რამ ამბავი გავიგე.

ბათუმის შუქურის ზედამხედველი სტავრაკი თურმე შავი ზღვის ფლოტის ის ლეიტენანტი სტავრაკი იყო, რომელმაც 1906 წლის მარტში კუნძულ ბერეზანზე ლეიტენანტი შმიდტი დახვრიტა.

იმ ღამით, შუქურის შორიახლო კატარღით რომ მივდიოდი, სტავრაკი დაეჭირათ და პასუხისგებაში მიეცათ.

ზიზღმა და შინაგანმა სიძულვილმა შემიპყრო, რედაქციაში რაც კი რამ ხელნაწერი გვქონდა სტავრაკისა, ყველაფერი დავწვი. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, იმ ჩემს ხელსაც დავწვავდი, რომელიც სტავრაკის ჩამოვართვი. ის კი არა, რედაქციაში რკინისფეხებიანი სკამიც აღარ დავტოვე, გარეთ, კორიდორში გავიტანე. ან როგორღა გავაჩერებდი, როცა ერთხელ ზედ სტავრაკი იჯდა.

არ ვიცი, რომელი მწერალი, რომელი გულთამხილავი და ბრძენი დაწერდა სტავრაკის შავი სულის ამბავს. ამ არაკაცის ბნელ გულსა და გონებას ალბათ მარტო ბალზაკი ან დოსტოევსკი თუ ამოაპირქვავებდა.

„არა, არა, — ხშირად მიფიქრია ძილგამფრთხალს, როცა ბრაზი მომწოლია ყელში, როგორ ვერ მივუხვდი რაც იყო, რედაქციაში რამ შემომაშვებინა-მეთქი. მეჩვენებოდა, რომ ოთახში ჯერ კიდევ იდგა ლოთი სტავრაკის მყრალი სუნი. — არა, დოსტოევსკი არა. დაწერით, ცხადია დაწერდა, მაგრამ ამ არაკაცზე დასაწერად კალამს ხელში არასოდეს არ აიღებდა. არასოდეს. იმიტომ რომ ადამიანური სიკეთის ოდნავ მოციმციმე შუქი შეიძლება სამუდამოდაც ჩამქრალიყო დატანჯულ გულში, თუ სტავრაკის ცხოვრებას ჩახედავდა".

სტავრაკის ცხოვრება კი, კაცმა რომ თქვას, მთლიანად ღალატი იყო. ეს ღალატი რამდენიმე ძალიან უბრალო ამბავმა წარმოშვა: სურვილმა — კიდევ ერთი ზედმეტი ვარსკვლავი ჩამოვიკიდოო, წადილმა — ქალებს თვალში რომ ჩავუვარდე, ხელი არ ამოისვანო, მონურმა შიშმა — უფროსებს სიტყვის შებრუნება არ უყვართო. მიზანიც მხოლოდ ერთი ჰქონდა: რა სჯობს მდიდარ და უზრუნველ ცხოვრებას, როცა მარტო სიამოვნებაზე ფიქრობ და ყველაფერი თავისით მოდისო.

სტავრაკიმ შმიდტთან ერთად დაამთავრა კადეტთა საზღვაო კორპუსი. ისინი ყოველთვის ერთ მერხზე ისხდნენ და სტავრაკის შური ჰკლავდა.

შმიდტის კეთილშობილება, სიმამაცე და ვაჟკაცობა შურდა. იცოდა — თუ ცხოვრება გაუმართლებდა, შმიდტი უეჭველად მსოფლიო სახელს მოიხვეჭდა. ღვარძლი ახრჩობდა: როგორ, ეგ გმირი, ტრიბუნი ან ბელადი უნდა გახდესო?

კორპუსი რომ დაამთავრეს, გამოსაშვიდობებისას შმიდტმა მეგობრულად უთხრა სტავრაკის:

---

* წიგნიდან „ნახტომი სამხრეთისაკენ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სულის ღერძი არ გივარგა, მიშა. რა ვიცი, იქნებ სულაც არა გაქვს ეგ ღერძი.

— ღერძიცა მაქვს და მეტიც! — ბრაზიანად უპასუხა სტავრაკიმ. — სხვის სულში ფათური ნუ იცი!

— თუ მართლა გაქვს, — დასძინა შმიდტმა და თავით ფეხამდე შეათვალიერა სტავრაკი, — რკინისა არ უნდა იყოს, ალბათ რეზინისაა. ნახე, რაიმე ავ საქმეს არ გადააწყდე. ჯერ გვიან არ არის.

— ჩემი საქმისა მე ვიცი! — ღრძოდ, გამომწვევად უპასუხა სტავრაკიმ. — შმიდტი კი არა ვარ, ქუჩის ქალი შევირთო ცოლად და მერე ქვეყანას შევფიცო, შემეცოდა და იმიტომ შევირთე-მეთქი. შენ თვითონ არა თქვი, რომ რამე იყოს, მეძავსაც შევირთავდიო!...

— კარგი, გეყოფა! — გაბრაზდა შმიდტი. — ყველას თავისი გზა აქვს. იცი რა, მარტო ერთი რამ მინდა ვთხოვო ღმერთს — ჩვენი გზები აღარასოდეს შეყაროს.

ასე წავიდ-წამოვიდნენ, რათა მერე კვლავ შეხვედროდნენ ერთმანეთს კუნძულ ბერეზანზე, დახვრეტის დღეს.

ცივი, პირქუში დილა თენდებოდა. შმიდტი და მატროსები კატარღიდან გადმოსვეს და მიწაზე რომ მარგილები იყო ჩასმული, იქითკენ წაიყვანეს.

დახვრეტას ლეიტენანტი სტავრაკი მეთაურობდა.

შმიდტმა გვერდით რომ ჩაუარა, სტავრაკი მუხლებზე დაეცა და უთხრა:

— მაპატიე, პეტია, მაპატიე!...

— წამოდექი, მიშა! — არც შეჩერებულა, ისე უპასუხა შმიდტმა. — ნუ ჯამბაზობ. მაგას ისა სჯობს, შენს ხალხს უთხრა, მიზანში ზუსტად ამოგვიღონ.

რა ედო სტავრაკის გულში? ალბათ არაფერი. მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა, რაც შეიძლება მალე აეგო ანდერძი შმიდტისათვის; მაგრამ იმ წუთიდან სტავრაკის აღარ შეეძლო თავი არხეინად ეგრძნო.

სტავრაკი წამოდგა, შარვალი ჩამოიბერტყა და, ესროლეთო, იყვირა. შმიდტს არც უცქეროდა, არ უნდოდა, რომ შეეხედა, კაზაკების ზურგსუკან იდგა, თითქოს იმალებოდა.

ვიდრე შმიდტი პირქვე არ დაეცა, სტავრაკის ერთი სულელური აზრი უღრღნიდა გულს: ნეტავი იცის თუ არა, რომ შავი ზღვის ფლოტის ოფიცერთაგან მარტო მე ერთმა ვიკისრე მაგისი დახვრეტაო. ვერც ერთ ოფიცერს, ყველაზე პირწავარდნილ მონარქისტსაც კი, ვერ აალებინეს თოფი შმიდტის დასახვრეტად.

მალე სტავრაკიმ შეამჩნია, რომ დიდად არავის ეხატა გულზე და ხელის ჩამორთმევაც არ უნდოდათ. ყველამ ზურგი შეაქცია.

სტავრაკი თავის ნაჭუჭში ჩაიკეტა, ხალხს სათოფეზე გაურბოდა. რევოლუცია რომ მოხდა, სევასტოპოლიდან გაიქცა, ბათუმში მენშევიკები ისხდნენ, იქ შუქურის ზედამხედველად მოეწყო და ზედამხედველადვე დარჩა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

ვინც კი სტავრაკის საქმეს გაეცნო, ყველანი ერთმა უცნაურმა ამბავმა დააფიქრა — ვერავის ვერ გაეგო მიზეზი, თუ რატომ ცხოვრობდა სტავრაკი რევოლუციის შემდეგ თავისი ნამდვილი გვარით. როცა გამომძიებელმა მიზეზი ჰკითხა, სტავრაკიმ ცივად უპასუხა:

— სულ ერთია, რა გვარიც უნდა მქონოდა, მაინც დამიჭერდით, რაც უფრო ადრე მიპოვნიდით, მე ის მინდოდა!

ამ პასუხმა გამომძიებელიც კი გააოგნა.

— ალბათ ინანიებ წარსულს, არა? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— ვინანიებ თუ არა, ეგ თქვენი საქმე არ არის! — ჩაილაპარაკა სტავრაკიმ.

ყოველ კითხვაზე ძუნწად, მაგრამ ზუსტად უპასუხებდა. ნათესავები მყავსო, თქვა, უარზე არ დამდგარა, თავისი ქალიშვილიც ახსენა, მაგრამ სასამართლოს მისამართი არ უთხრა.

ბოლოს ორიოდე სიტყვალა თქვა, მაგრამ, ვინც სასამართლოს ესწრებოდა, ყველას თითქოს თავზარი დასცა.

— ერთი სიტყვით, — ყრუდ ჩაილაპარაკა სტავრაკიმ და შვებით ამოისუნთქა, — მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი დასრულდა. ძაღლი ძაღლურად უნდა მოკვდეს!

შემცბარი მოსამართლე ერთ ადგილას ვეღარ ისვენებდა, გეგონება ცივი წყალი გადაასხესო. სტავრაკი თავჩაღუნული იდგა და თავისი ბუშლატის დახეულ სახელოს ძაფს აცლიდა. კრინტი აღარ დაუძრავს.

ამ ამბავმა ყველანი აგვაღელვა. ვიცოდით, რომ სტავრაკიმ ურთულესი ფსიქოლოგიური გამოცანა შეთხზა, მაგრამ არც ერთი ჩვენგანი იმ გამოცანის გამომცნობი არ იყო. შეიძლება კაცს ეფიქრა — „მოინანიაო“, როგორც სინიავსკიმ თქვა, ან უცნაური რამ მსახიობობა დაგერქმიათ ამ ამბისათვის, ულიანსკიმ რომ უწოდა, ანდა „სრული და ძველთაძველი სულიერი გაპარტახება“, — როგორც მე ვფიქრობდი — სტავრაკი ალბათ თანდათან, ყოველდღე, ყოველ წუთსა და საათს პარტახდებოდა სულიერად და ბოლოს კატორღად ექცა ცხოვრება.

ვერ შევთანხმდით, ყველანი ჩვენ — ჩვენს აზრს ვიცავდით. ბაბელი თავის ოჯახიანად თბილისში წავიდა. შუქურა არ ჩამქრალა, კვლავ ენთო.

ერთხელ ნირკს ვკითხე, ნუთუ არ ყოფილა ისეთი დღე, როცა შუქურა თავის დროზე არ აუნთიათ-მეთქი.

როგორ არა, ასეთი შემთხვევა ამას წინათ ნამდვილად მოხდაო, მიპასუხა ნირკმა. ჯერ ტელეფონით ერეკათ, მაგრამ შუქურას ხმა არ ამოეღო, ხოლო ნავსადგურიდან კატარღა დაძრულა თუ არა, შუქურა კვლავ ანთებულა და მიზეზის გასაგებად წასული კატარღა უკან მობრუნებულა. ზედამხედველი ალბათ მთვრალი იყო, ლოთობის გამო კარგა ხანია მოხსნას უპირებდნენ, მაგრამ ამ საქმის მცოდნე კაცი არავინ ჩანდაო.

ყოველთვის მიკვირდა და ახლაც მიკვირს ერთი რამ: ვართ, დავდივართ ამქვეყნად და ხშირად წარმოდგენაც არა გვაქვს, რამდენი ტრაგედია, რამდენი დარდი და ნაღველი, რა სულგრძელობა, რა ვერაგობა და სასოწარკვეთა ტრიალებს ყოველ იმ ერთ პატარა ნაჭერ მიწაზე, სადაც ვცხოვრობთ. კაცმა რომ თქვას, არც ვუფიქრდებით ხოლმე ამ ამბავს.

იმ ერთ პატარა ნაჭერ მიწაზე კი შეიძლება ისეთ ადამიანებს შეხვდე, კაცობრიობის ისტორიას ან ლიტერატურის ანალებს რომ უნდა ამშვენებდნენ.

რაღა შორს მივდივართ, ბევრმა ალბათ არც იცის, რომ ბათუმის შუქურა დაკავშირებულია ერთ-ერთ ძალიან დიდ ტრაგედიასთან, ლეიტენანტ შმიდტის დაღუპვასთან.

შემოდგომით, როცა გრძელ ღამეებს დაიჭერდა და მძვინვარე ზღვა ნაპირებს წალეკვას დაუპირებდა, შუქურის ირგვლივ სქელი ბურუსი ჩამოწვებოდა ხოლმე. ბურუსში თითქოს საბედისწერო რამ ჩაბუდებულიყო.

ნეტავი იქით არ გამახედა, წამიყვანა სადმე თბილ ოთახში, სადაც პატარებს პირლია სძინავთო, იფიქრებდა კაცი.

არა, არავინ არ დაიჯერებდა, ვინმეს რომ ეთქვა, აგერ ის ღიმილმოფენილი ყმაწვილი ან ძილში აზლუქუნებული პატარა გოგო რამდენიმე წლის შემდეგ მოღალატე და მკვლელი იქნება, უდანაშაულოებს დახვრეტს, აწამებს, თავისუფალ აზრს სახრჩობელაზე ჩამოაკონწიალებს, ერთ ხალხს მეორეს გადაჰკიდებს და თავისი ბოროტი პატივმოყვარეობისა თუ მხეცური სიხარბის გამო ომსაც არ მოერიდებაო.

არა, არავინ არ დაიჯერებდა ამ ამბავს და არც იქნებოდა მართალი. საწყალ, მაგრამ პატიოსან გულს, ათასნაირი ჭირი რომ უნახავს ქვეყნად, ყველაზე მეტად იმედის გაცრუების სიმწარე ანადგურებს. ერთად იყავით, მხარი მხარს მიეცით, ხშირად მითქვამს ადამიანებისათვის, რომლებსაც კეთილი ნება და კეთილი გული აქვთ.

ჩვენი მწერლობის მოწოდებასაც მხოლოდ პატიოსნებისა და სიმართლის სამსახურში ვხედავდი.

ამისათვის კი ღირდა, რომ გვეცხოვრა, გვეშრომა, დავტანჯულიყავით, მაგრამ არ დავნებებულიყავით.

თარგმნა გურამ გოგიაშვილმა



# ჯუნგლები... რაინის სანაპიროზე



დასავლეთის პრესაში ამას წინათ გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც ჩვენი პლანეტის მომავალზეა საუბარი.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ შორს აღარ არის ის პერიოდი, როცა ევროპაში კვლავ ტროპიკული ფაუნა და ფლორა განვითარდება; რაინის სანაპიროები ჯუნგლებით დაიფარება, ბონის მიდამოებში კი შესაძლებელია ლომების შემაზრზენი ღრიალი გაისმას.

ასტრონომები. მეტეოროლოგები, გეოფიზიკოსები ირწმუნებიან, რომ მზის მიმართ დედამიწის მდგომარეობის შეცვლა მომავალ საუკუნეში მსოფლიო კლიმატის „დიდ გარდატეხას გამოიწვევს“. მნიშვნელოვნად დათბება ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, ეკვატორის რაიონებში კი შედარებით ზომიერი კლიმატი გამეფდება.

1980 წლიდან ევროპაში სწრაფი ტემპით დაიწყება აფრიკისათვის დამახასიათებელი მცენარეული საფარველის გავრცელება.

1990 წლიდან შესაძლებელი იქნება ევროპაში ყოველწლიურად ორი-სამი მოსავალი მოვიყვანოთ.

1995 წლიდან ჩვენს პლანეტაზე მოსალოდნელია გრუნტის წყლების დონის შემცირება, წყლით უზრუნველყოფისათვის საჭირო გახდება ოკეანეებისა და ზღვების წყლის გაფილტვრა.

2005 წლიდან ევროპაში დაიწყება აფრიკის ცხოველთა სამყაროს თანდათანობითი გავრცელება.

2025 წლიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება ქალაქთმშენებლობაში: ახალი ქალაქების გაშენება ტროპიკული კლიმატის შესაბამისად იწარმოებს.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, 2055 წლისათვის მთლიანად დამთავრდება შუაევროპული ლანდშაფტის გარდაქმნა ტროპიკებად და სუბტროპიკებად.

ზოგიერთი მეცნიერი უარყოფს კლიმატის ასე სწრაფად შეცვლის შესაძლებლობას. მათ მიაჩნიათ, რომ ევროპაში ტროპიკული კლიმატის დამკვიდრებისათვის სულ ცოტა, 350 წელი მაინც იქნება საჭირო. გარდა ამისა, ჰავის შეცვლაში, მათი აზრით, გარკვეული როლი შეუძლია შეასრულოს რადიაციამ.

გეოფიზიკოსებმა დაადგინეს, რომ რადიაციის მტვერი ძირითადად პოლუსებთან ილექება (რასაც ხელს უწყობს ის, რომ დედამიწის მაგნიტური ველი პოლუსებთან განსაკუთრებით გამრუდებულია). ამ გარემოებამ კი მნიშვნელოვანი დათბობა უნდა გამოიწვიოს, როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ნახევარსფეროებში.

თანამედროვე კაცობრიობა დედამიწის ისტორიის გარკვეულ შუალედ პერიოდში ცხოვრობს; ამ შუალედს მიჰყვება ე. წ. ხანმოკლე „თბილი პერიოდი“, რომლის დროს მოხდება მყინვარების გალხობა, შემდეგ კი დაიწყება გამყინვარების ახალი პერიოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქალი დაირით



ხევსური ქალიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონსტანტინე გამსახურდია

ღამეა ისეთი მრუმე, როგორიც ჯავახეთში იცის.
ოჰ, მე ძალიან მიყვარს სამხრეთის ცუპრი ღამეები.
მატარებელი ბამბაკის ხეობაში შევიდა
ვაგონის ფანჯარასთან ვზივარ და ძილნასვამ ტყეებს და კლდეების ქიმებს გავხცქერი.

დაცერებული მაღალი ფლატეები გოლიათურ ბასტიონებს მომაგონებენ. რიურაჟი ადგა ღრუბლების ბურბუშელისაგან გაღვივებული და მრუმე ფერებმა გზა მისცეს შავლეგოს, ნელ-ნელა თეთრლეგო ფერები მოერია ამ ცას, ამ ღრუბელს და ამ ღრუბლებამდის აზვინულ კლდეების ქიმერებს.

ცაზე და ხმელზე ფერადების ლიცლიცი იწყება, ფოლადისფერი, ქედანისფერი და რუხი სალებავები მოედო ველებს.

უშველებელ ტაფობზე გადაიქროლა მატარებელმა, ბოშების კარვებში უკვე ფუსფუსებს ხალხი.

შავწვერა კაცი ცხენს მიაჭენებს ველზე.

საოცარი ხალხია ეს ბოშები. მეექვსე საუკუნეში გამოსულან ისინი ინდოეთიდან და ასე დადიან მთელს ქვეყანაზე, სომხეთის ზეგანიდან მოკიდებული ვიდრე ესპანეთის ჩრდილო ნაპირებამდის (როდის მოათავებენ ნეტავი ამ მსოფლიო მოგზაურობას?).

მათთვის უცხოა ალბათ სიხარული მხვნელ-მთესველისა, ყოველ გაზაფხულს გულს რომ უხსნის მიწას და თესლს აბარებს.

იქვე, კუბოკრული ველების პირზე სომეხი გლეხები ხნავენ, ისინი ბრინჯაოს ფიგურებს ჰგვანან. ისტორიის გრიგალების მიუხედავად, ყოველ წელს მიაკითხავს სომეხი გლეხი თავის მიწას და აბარებს სამერმისო თესლს, მოსე ხორენელამდის და მოსე ხორენელიდან დღემდის.

არის უთუოდ რაღაც გმირული ბუნებასთან მორკინე კაცის პოზაში, სულ ახლოს გაუარა მათ მატარებელმა, არც ერთ მათგანს თავი არ აუწევია. დასცქერის მუშაკი გახსნილ გულ-მკერდს ამ შავი მიწისას, რადგან იქაა დამარხული მარადი ანდაზა, რომელსაც ვერც ერთი თაობა ვერ მოილევს, თავს ვერ დააღწევს.

ისევ ზეგანი იწყება, კალთებჩამოლეწილი მაღალი მთები. სდგას რომელიღაც ციხის ნამუსრევი, როგორც მოლეული მდევის კბილი.

ისეთ ისტორიულ ქვეყნებში, როგორიცაა სომხეთი და საქართველო, ხუროთმოძღვრების ძეგლები ლანდშაფტის უცილო ელემენტებად იქცევიან. ჩვენი მთების კონუსისებურმა კონცხებმა მისცეს ალბათ იდეა ჩვენს დიდოსტატებს ამ ციხეების ქონგურებისა და ტაძრების გუმბათების არქიტექტონიკა მთების კონტურებისათვის შეეხამებინათ.

ჩვენს ლანდშაფტებს უთუოდ დაამახინჯებდა ინდური პაგოდების ხახვისთავიანი გუმბათი.

შიშველი კლდეები, თავმოქაჩლული გორაკები, ტიტველი, ფოლადისფერი გორმახები, ბექობები და შორეულ ნისლების ჩადრებით შებურვილი მთები ძლიერ მაგონებენ სომხურ და ქართულ ტაძრებს, ბიზანტიური სტილით ნაგებებს.

უეჭველია, ეს მხარეც ოდესღაც მდიდარი ტყეებით იყო შემკული, როგორც ზემო ქართლის ქედანისფერი მთები.

მზემ თვალი დაადგა ზეგანს და თვალებში შემომცქერის უდაბური ტრამალების ხვატი, აზიის უდაბნოების ცხელი მუქარა.

თვალს არ ეალერსება კორდებზე გადმომდგარ მუხების ქოლგა, არც ჯაგნარია არსად, ხუჭუჭა მწვანე აჟურებით შეფერილი. სამხრეთისაკენ გაჭიმულ ფრიალო მთებამდის გადაშლილა დაფიქრებული ველი; მსუბუქი ნისლის დარი მტვერია ცასა და ხმელს შორის გამდგარი — მწვანე გაითქვიფა ისევ შავლეგო და მრუმე ფერებში.

ერევნელი მასწავლებელი მიზის გვერდით და სევანის ელექტროსადგურის პროექტებზე მომითხრობს.

მონასტრის სილუეტის მუქი კონტურები იხატება მოთეთრო ნისლების ფონზე.

ჩემს წარმოდგენაში მწვანით იმოსებიან ეს მოტვლეპილი გორმახები, უკაცრიელი ზეგანები და ტაფობები. ეს უთუოდ იქნება, ხვალ ან ზეგ ეს ოცნება არ იქნება. ელექტროენერგიად ქცეული სევანის წყალი სინათლეს და მწვანეს მოჰფენს ამ არემარეს.

* * *

კარაკლისის რაიონში შევდივართ. მასწავლებელი მიამბობს წარსულის კოშმარული დღეების გამო, გუშინ მტრის მახვილს უვარჯიშნია აქ. ცეცხლის ნათარეშევი ჯერაც ზედ ატყვია ამ ნასოფლარებს, მაგრამ ისევ სული მოუბრუნებია მიწისმოყვარე სომეხ გლეხს, გამრჯელი ხელი ისევ ახალ აგურებს აწყობს ცეცხლით გადარუჯულ ბალავერებზე.

წყეულიმც იყოს ის ბნელი წლები...

„აქ ამდენი ათასი დახოცეს, ე მანდ ძმური საფლავი გაუთხარეს სამ სოფელს"...

და მაგონდება დასავლეთის პრესის ფარისევლური ღაღადისი, „ქრისტიანობის, დემოკრატიის და კულტურის" სახელით რომ სისინებდნენ, თურქებს და სომხებს რომ აქეზებდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. იგივე ვაჟბატონები უვნებლად სხედან ახლაც დიპლომატთა ლოჟებში, მოყიდული დიდი გა-

* დაწერილია 1934 წელს. რედ.



ზეთების რედაქციებში, ახალსა და ახალ პოტიკებს აგებენ და აქ კი ჩემი მეგზური თითით მიჩვენებს:

„ა, ეს სოფელი აიკლეს, ე მანდ, იმ გორის თხემთან ათასზე მეტი სული ამოსწყვიტეს, იქ დახოცეს, აქ მოჰკლეს"... და იმ ნასოფლარებს ახლაც ატყვია ხანძრის თარეში.

ხომ ცუდი სანახავია თუნდაც ერთი ნაოჯახარი, ერთი პარტახი?! ათას გზის უფრო მძიმეა ათასი სულის ნამოსახლარი.

ისტორია სარკეაო ხალხებისათვის.

ისტორიის ბრმა განაჩენმა ჩვენ პირში მიგვცა ფანატიურ აღმოსავლეთს.

მე ახლა ვხედავ თუ როგორ ჭკვიანი ყოფილან ის პოლიტიკური მოღვაწენი ჩვენი წარსულის, მუსულმან მეზობლებთან დაზავებას რომ მოითხოვდნენ, რათა ქრისტეს ჯვარის გამო ბრძოლაში არ გაეწყვიტათ ხალხი.

რამდენიმე საუკუნის მანძილზე მთელი ევროპა შეება ისლამს წინა აზიაში. რა დააკლეს მერმე... მათთვის ეს გარეპოლიტიკური ექსპანსიის ამბავი იყო. მრავალმა ათასმა დასტოვა ძვლები მესოპოტამიის უდაბნოებში, მაგრამ ბრძოლის არენა სხვაგან იყო და ევროპის მოსახლეობას არ შეხებია ამ ომების საშინელება. ჩვენ კი საუკეთესო ენერგია შევალიეთ „ქრისტეს საფლავის" და ჯვარის გამო დავას.



ჯერ იყო, ანაციონალურსა და დამპალ ბიზანტიას ავყევით, ისლამურ ხალხების ზღვა მტრად მოვიკიდეთ და ჭიანჭველასავით წელში გაგვწყვიტეს.

საოცარი ის იყო, სომხის დაშნაკებმა რომ დაასრულეს რეგვენი მეფეების დონკიხოტური პოლიტიკა. რომანოვებს აია-სოფიაზე ჯვარის ხელახლად აღმართვა უნდოდათ და დაშნაკები უსაზმნოდ აჰყვნენ იზვოლსკების, მილიუკოვების თვალთმაქცურ პროვოკაციას. და არავის იმდენი სისხლი არ გაუღია ამ ცუდად მოჩმახული ნაოცნებარისათვის, რამდენიც სომხის ხალხს.

„რაც იყო, იყო, კარგი იქნება, აწი მაინც ვისწავლიდეთ ჭკუას“, მეუბნება ავეტ, ჩემი თანამგზავრი.

„უთუოდ კარგი იქნება ჩემო ავეტ, წარსულის შეცდომების რეგისტრაცია არამც და არამც არა კმარა. დრო შეიცვალა. ბევრი რამ უკეთ გამოჩნდა ახალ დროში, ჩვენმა დრომ ბევრს ახადა ნიღაბი და ბევრ რამეს მიადგა ახალი შუქი. ქართულ-სომხურ ურთიერთობაშიც ბევრი რამ შეიცვალა. ახლო წარსულში სომხეთის ბურჟუაზია და საქართველოს აზნაურობა კინკლაობდნენ. მათი დავა მე ორი მოცლილი კაცის ჩხუბს მაგონებს, დამპალი თოკის გამო რომ წაიკიდნენ, მერმე ის თოკი გაწყდა, ორივენი აქეთ-იქით გადაყირავდნენ. ამ ამბავს არარაის გამო მოჩხუბარნი ჰქვია ქართულად.

თოკი გაწყდა და ისინი გადაყირავდნენ.

არც მათ მოუგონიათ საქართველოს და სომხეთის ათასწლიანი ძმობა, არც თუ ჩვენი გრძელი და დიდი ისტორია დაუწერიათ ჩვენს ჟურნალისტებს.

საქართველოს უჭკვიანესი მეფეები იმედის თვალით შესცქეროდნენ სომხეთს. ორი უდიდესი და ლეგენდარული მწვერვალი სდარაჯობდა თქვენს სომხეთსა და ჩვენს ჩრდილოეთს და როგორც იმ მთებს ვერავინ დააშორებს ურთიერთისაგან თუნდაც ერთი მილიმეტრით ამიერიდან, არც არსებობს არავითარი ძალა, ჩვენ შორის არსებული ძველი კავშირი რომ გაანიავოს“.

ნელ-ნელა იცვლება სურათი, ავტომობილი საუცხოო გზატკეცილზე მინავარდობს. უკვე აღარ მიჩვენებს ავეტ ნასოფლარებს და ნაპარტახალებს. კოხტა, სუფთა დაბები, მწვანეში ჩაფლული სოფლები, საუცხოოდ მოვლილი კარმიდამო და მაძღარი საქონელი.

ახალ ქვეყანაში მე მუდამ საქონელს ვაკვირდები, საქონელსა და გზას.

ჩემდა სასირცხვილოდ უნდა ვაღიარო: ეს პირველად მიხდება სომხეთში მგზავრობა.

სომხური ლანდშაფტი ძლიერ მაგონებს საქართველოსას, ოღონდ ესაა: ზეგანის მოხაზულობა უფრო მრუმეა, ცა ოდნავ უფრო მკაცრ ფერებს იძლევა, ამ ცას აკლია ჩვენი ზეცის გამსჭვირვალება და სიკისკასე. სამაგიეროდ ფლორას მეტად ხასხასა ფერი გადაჰკრავს თითქოს.

ველი, ტაფობი და გორმახი, ბექობზე გადმომდგარი კონუსისებური გუმბათი და ჩვენებური ორღობე... ძალიან წააგავს ეს სურათი ტიპიურ ქართული სოფლის იდილიას. და მთის კალთებზე შეფენილი ფარები და ჯოგები აძლიერებენ ამ მსგავსებას ჩემს თვალში.

* * *

შვიდი დღის განმავლობაში დაუსვენებლად ვიმგზავრე ავტომობილით სომხეთში. ასეთი დიდი წარსულის ქვეყანაში ასე მცირე ხანს დაყოვნება არ კმარა, მაგრამ მე მინდა ამ მოკრძალებული სტრიქონებით გამარჯვება ვუთხრა მხოლოდ მოჭირნახულე და მხნე მეზობელს. ამხანაგური და თბილი გულისხმიერებით მშველოდნენ სომხეთის საბჭოური რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე სააკ ტერ-გაბრიელიანი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე დრ. სიმონიანი... მათ დამათვალიერებინეს კამარლიუს რაიონი. არეზის პირიდან გავხედე ლეგენდებით დატვირთულ არარატს. სამი სახელმწიფოს მიჯნაზე სდგას ეს ბიბლიური გოლიათი.

მეორე დღეს ეჩმიაძინს წავედი. გზაში ზვარტნოცის ტაძრის (მე-7 საუკუნე) ნანგრევი ვნახე. უნდა ითქვას, სომხები გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევენ ისტორიულ ძეგლებს, ვიდრე ჩვენი სიძველეთა კომიტეტი (წლეულს მე ხელახლა დავათვალიერე ატენი, მცხეთა, ენისელის ღვთისმშობლის ტაძარი და, უნდა ითქვას, სამივე მოუვლელია და უპატრონოდაა მიგდებული); ზვარტნოცის ნანგრევებს სპეციალური მცველი ჰყავს მიჩენილი, ასე რომ გამვლელები ვერ დაიტაცებენ ზვარტნოცის ჩუქურთმებს.

ეჩმიაძინში ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გარეგინ ოვსეპიანმა. იგი ლაიფციგის უნივერსიტეტის დოქტორი ყოფილა, სომხეთისა და საქართველოს ისტორიისა და ხუროთმოძღვრების დიდი მცოდნე. მან დამათვალიერებინა ეჩმიაძინის ბიბლიოთეკა, 25 ათასი სხვადასხვა სახელწოდების ხელნაწერი ჰქონიათ. მე-18 საუკუნის სომეხ პოეტის ფრიკის ლექსები წამიკითხა ოვსეპიანმა და ამავე დროის მინიატიურისტის სარქის პიწაკის შესანიშნავი მინიატიურები მაჩვენა. საუცხოოა ეჩმიაძინის ძველი ტაძარი (801 წ.), იგი თავდაპირველად ბაზილიკა ყოფილა, შემდეგ კი ეკლექტიური სტილით აღუდგენიათ. ტაძარში ჩემი ყურადღება მიიქციეს ერეკლე მეორის კარზე ცნობილი მხატვრის ნაღაშ ჰოვანესიანის ფრესკებმა. დიდის ხელოვნებითაა შესრულებული საკურთხეველში შემონახული ინდური, სპარსული და ჩინური ქსოვილები, კათალიკოსების სამოსები, ტიარები და გვირგვინები.

დავდივარ გარეგინთან საუკუნოების მტვერით და რემინისცენციებით დატვირთულ ტაძრების ჩრდილში და ეს მოხუცი ანატოლ ფრანსის გონებამახვილ და განსწავლულ აბატებს მაგონებს. გრიგოლ ნარეკელის მისტიურ ლექსებს მიკითხავს და იქვე გერმანულად მითარგმნის ბერი.

* * *

ვინც დღევანდელ ერევანს თვალს გადაავლებს, იგი დარწმუნდება, ეს ქალაქი უდიდესი აღმშენებლობის შტაბია. მთელი ერევანი ხარაჩოების ტყეებითაა გარს შემორტყმული. ძველსა და დაფეხვილ სახლებს ხარაჩოები არტყია გარს, მე არ მინახავს არც ერთი პროსპექტი, არც ერთი ქუჩა, არც ერთი უმცირესი ქუჩაბანდი — ახალი სასახლე, ახალი სახლი, ან მაღაზია რომ არ შენდებოდეს. ხარაჩოებს მიუმწყვდევიათ სწორერდოიანი ძველებური სახლები, ისინი იხრჩობიან ახალ ნაგებობათა ზღვაში. შესცქერი ამ კოლოსალურ აღმშენებლობას, გესმის ხუროების, კალატოზების ფუსფუსი და გნიასი და გიხარია მრავალტანჯულ სომხის ხალხის მაგივრად. ველაპარაკები ინჟინერს, მუშას, საბჭოთა მოსამსახურეს; ყველას სახეზე ეტყობა მტკიცე გადაწყვეტილება წარსულის კოშმარულ მემკვიდრეობის ხელიდან გამოგლიჯონ სომხეთი და ახალი, კულტურული და მშვენიერი რესპუბლიკა ააშენონ. როცა ასეთი ერთობლივი გადაწყვეტილება დაიბადება ხალხის გულში, მას უკვე აღარაფერი დაუდგება წინ.

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე ხუროთმოძღვრის თამანიანის გეგმის მიხედვით აშენებული მიწსახკომის შენობამ. [illegible] სომხური [illegible] თაა იგი აშენებული, სომხურ სტილზე.

პირადად ვინახულეთ ხუროთმოძღვარი თამანიანი.

თამანიანი ახალი სომხეთის აღმშენებელთა გალერეაში უშესანიშნავეს კაცთაგანია. მას დიდი ბრძოლა გადაუტანია სომხური სტილისათვის მოქალაქეობის მოსაპოვებლად.

მან ერევნის რელიეფური რუკის წინაშე დაგვაყენა.

მოხუცებული ენთუზიასტი გვიჩვენებს ახალი სასახლეების, ხეივნების, მოედნების, საზოგადო ნაგებობათა გეგმებს.

როგორ გატაცებულად გვიამბობს ოსტატი, ყოველი დეტალი შესწავლილი აქვს და გათვალისწინებული.

უთუოდ ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც ღრმა სიბერეში ახალგაზრდული ენთუზიაზმი გადაყვება.

არც თუ უეკლოდ მოუკრეფია ვარდი თამანიანს, უვიცები და არამკითხენი ხელს მიშლიდნენ, მაგრამ მთავრობა ჩაერიაო საქმეში, ტერ-გაბრიელიანი გამომესარჩლაო, ამბობს თამანიანი. ყოველი პატიოსანი მუშაკი დიდის სიყვარულით და პატივისცემით ახსენებს სააკ ტერ-გაბრიელიანს.

ჩვენ დიდხანს ვსაუბრობთ სომხურ სტილისათვის. თამანიანი მეთანხმება, რომ სომხეთსა და საქართველოს სავსებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ, ჩვენ ისტორიამ ორიათასწლიანი კულტურული მემკვიდრეობა გვიანდერძა, ეს მემკვიდრეობა უნდა შევისწავლოთ, შევითვისოთ, რათა მომავალ თაობებს არ დავუკარგოთ იგი.

ჩვენს ხუროთმოძღვრებას დიდი მომავალი აქვს, ამბობს თამანიანი. ჩვენ შეგვიძლია საკუთარივე მასალით ვისარგებლოთ. ტუფი იქნება ეს, მარმარილო თუ სხვა მასალა. ისევ მიწსახკომის შენობას გადავწვდით.

საქართველოს და სომხეთის ქალაქებს ხალისიანი ფერის შენობები თუ დაამშვენებს. საამისოდ მრავალფეროვანი გრანიტი მოგვეპოვება.

თავისთავად ცხადია, აბსურდია იმის მტკიცება, თითქოს სომხური, ან ქართული სტილი ეკლესიურიდან იყოს გამოსული. პირიქით, ეკლესიური სტილი განსაზღვრულ პერიოდში სამოქალაქოდანაა გამოსული, ამხანაგო თამანიან, ვეუბნები მე.

განა გოტიკაც ეკლესიას არ ემსახურებოდა საშუალო საუკუნეებში?

მიუხედავად ამისა, სამოქალაქო ხუროთმოძღვრება არ გაურბოდა გოტიკას. ავიღოთ თუნდაც მჲუნსტერის ქალაქის გამგეობის სახლი (მე-14 ს.), იპერნის შალის ქარხანა (მე-18 საუკ.), მჲუნხენის ქალაქის გამგეობის სახლი (მე-19 ს.), ტანგენმაულეს (მე-15 ს.), რუენის სასამართლოს შენობა (მე-16 ს.) განა მარტო ხუროთმოძღვრების სხვადასხვა სტილი იმყოფებოდა ეკლესიის ძალდატანებითი მეურვეობის ქვეშ? ფილოსოფიას, ლოგიკას და ისტორიასაც ეკლესია ეპოტინებოდა ოდესღაც, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მუშათა კლასს, ახლა თავის მიზნებისათვის გამოიყენოს ისინი.

თამანიანი ყურადღებით ისმენს ქართველი გლეხის სახლის დარბაზის გამო ჩემს მიერ ნაამბობს. გერმანელი მეცნიერის ბაუმჰაუერის უკანასკნელი შრომა ვუხსენე ქართული სამოქალაქო ხუროთმოძღვრების შესახებ.

თავის მხრივ იგი მომითხრობს მის მიერ აღმოჩენილ გლეხის სახლისათვის. დარალაგითხის რაიონში მას უპოვნია კოლონებიანი სახლი. ამ ტიპის სახლები მღვიმეებში ყოფილა გამოკვეთილი. თავკიდურები იონური სტილის ორნამენტებითაა დამშვენებული. სოფ. ელარში მას აღმოუჩენია ხის სახლი.

ეს იმითაა საგულისხმო, რომ ამ სტილის ტრადიცია ჯერაც ცოცხალი ყოფილა ხალხში.

სოფ. ხაზნაფარში უპოვნია ოთხსვეტიანი (შინაგანი იგულისხმება) სომხური ხის სახლი.

ისეთ ისტორიზმით დატვირთულ ქვეყნებში, როგორიცაა სომხეთი და საქართველო, მოგზაურს ისტორიული რემინისცენციები აეკვიატება, თვალიც ძველ ძეგლებისაკენ მიგირბის. მიუხედავად ამისა, მე დავირწმუნე თავი წინასწარ: სომხეთს მარტო ისტორია ვერას უშველის.

ვაი იმ ერს, რომლის „დღევანდელი და ხვალინდელი“ დღე მის „გუშინდელს“ ჩამორჩება. ეს დისპროპორცია საგრძნობია მუდამ ისტორიულ ქვეყნებში.

საბჭოთა სომხეთის მილიონიანი არმია დღედაღამ იბრძვის, რათა სომხეთის დღევანდელი და ხვალინდელი დღე უფრო დიდი და თვალშეუწვდენელი გახადოს, ვიდრე იყო მისი ისტორიული წარსული.

სომხეთი ოდესღაც ქრისტიანული ცივილიზაციის ფორპოსტი იყო წინააზიაში. ამ დიდი კულტურულ-ისტორიული მისიის შესრულებას სომხეთის ხალხმა თავისი საუკეთესო სისხლი და ენერგია შესწირა.

მე არა მჯერა არც ისტორიის სამართალი, არც ის ზღაპარი, თითქოს ნემეზიდე მართებულად სწონიდეს ხალხების წვლილს, ზოგად ადამიანური კულტურის კალოზე მიტანილს.

1914-18 წლების მსოფლიო ომმა სავსებით გაფანტა ეს უნიათო ილუზიები. „ქრისტიანულმა“ ინგლისმა, საფრანგეთმა და რომანოვების იმპერიამ უსაძაგლეს პროვოკაციაში ჩაითრიეს ბედშავი სომხის ხალხი და მერმე თავათ განზე გადგნენ და პილატესავით ხელი დაიბანეს.

პილატესავითო? პილატე ათასგზის უფრო პატიოსანი იყო, ვიდრე ეს ყაჩაღები მსოფლიო იმპერიალიზმისა.

(დასასრული იქნება).

# სალვატორე კვაზიმოდო

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ვარვარა ალექსანდრეს-ასულს

მოსკოვში, ფართო მდინარეებად
გაშლილ ქუჩების მბრუნავ მორევში
სახლია ერთი...
არყის ხის ტოტი
მის დახშულ ფანჯრებს
ელაციცება...

და ყოველ ღამით, როცა ციმბირის
გადათოვლილი ველებიდან მოვარდნილ ქარში
ძილი უკრთება ჩაბნელებულ სახლებს
და ჭირხლის
ქათქათა ქაფით იფარება ფანჯრის მინები, —
გასაოცარ მგრძნობელობას იჩენენ მაშინ
ჩემი ფხიზელი ხსოვნის სიმები.

მე ავადა ვარ...
დიახ, ეს მე ვარ,
ვინც შეიძლება ყოველ წუთს მოკვდეს,
ვინც შეიძლება გათავდეს უცებ...
დიახ, ეს მე ვარ!
მე ვარ — ბოტკინის
საავადმყოფოს უჩვეულო, უცხო სტუმარი...

შენ კი, ვარვარა ალექსანდრეს ასულო, ამ დროს
ქეჩის ფაფუკი ფეხსაცმელი გაცვია ფეხზე,
საავადმყოფოს დერეფანში დადიხარ ფრთხილად
და მზრუნველობით აღსავსე გულით
პალატებს უვლი
და ყველაფერს ამჩნევ და ხედავ,
ირგვლივ რაც ხდება...

შენ ჩემთან ბედმა გამოგგზავნა, დაო და დედავ!

გარდაცვალება არ მაშინებს
ისევე, როგორც
არ მაშინებდა არასოდეს თავათ სიცოცხლე...
ვინ იცის, იქნებ სარეცელზე მიკრული კაცი
მე კი არა ვარ,
ვინმე სხვაა, უცნობი ჩემთვის...
მაგრამ თუ ახლა,
აი ამ წუთს
ვერ გავიხსენე,
რომ არის ქვეყნად სიყვარული და სიბრალული,
რომ არის ქვეყნად
დედამიწა,
არის ბუნება,

რომელიც თავის არსში დაატევს თვითეულ ჩვენგანს,
თუ ეს ყოველი უცებ,
სწრაფად
ვერ გავიხსენე, —
სიცოცხლის ჯაჭვი შეიძლება უეცრად გაწყდეს
და ამოვარდეს ერთი რგოლი — ჩემი არსება.
ო, რა ცხელია შენი ხელი

შუაღამისას,
როცა საბანი ველარ ათბობს გათოშილ სხეულს!
იცი, ვარვარა ალექსანდრეს ასულო,
ასე

### მთარგმნელისაგან

1961 წელს იტალიელი პოეტების ჯგუფი საბჭოთა კავშირს ეწვია...

ვნუკოვოს აეროდრომზე სტუმრებს საბჭოთა მწერლები დახვდნენ. მათ შორის მეც ვიყავი. იტალიელთა ჯგუფს დაბალი ტანის, ხმელ-ხმელი კაცი მოუძღვოდა. იგი მოგვიახლოვდა და გულთბილი მისალმების შემდეგ მორიდებით მოიკითხა ექიმი: თურმე შეუძლოდ გამხდარიყო გზაში... „გულის ინფარქტი!“ — ასეთი იყო აეროდრომის მორიგე ექიმის დიაგნოზი და სტუმარი იმავე წუთს სასწრაფო დახმარების მანქანით ვნუკოვოს აეროდრომიდან მოსკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში წაიყვანეს. აქ მან სამი თვე დაჰყო. აქვე მოუვიდა ცნობა, რომ მას, სალვატორე კვაზიმოდოს — იტალიის ყველაზე თვალსაჩინო პოეტს — ნობელის პრემია მიეკუთვნა.

ზამთრის სუსხიან დღეს მე ვინახულე კვაზიმოდო ბოტკინის საავადმყოფოში. ხელცარიელი მისვლა არ მინდოდა, მაგრამ ბევრი ვერაფერი გავახერხე და საქართველოდან ჩამოტანილი ერთი საოცრად დიდი, პრიალა და ლოყაწითელი ვაშლი მივუტანე. თარჯიმანი თან მახლდა და ცოტა ვისაუბრეთ. ამ საუბრის თემა პოეზია და საქართველო იყო. გამოთხოვებისას კვაზიმოდომ თავისი ლექსების წიგნი „აღთქმული მიწა“ მაჩუქა და ზედ რამდენიმე გულთბილი სიტყვაც წააწერა. ამის შემდეგ კვაზიმოდო მალე განიკურნა და ისე წავიდა მოსკოვიდან, რომ აღარ მინახავს.

რუსულ ენაზე გამოცემულ კვაზიმოდოს ლექსების წიგნის შესავალში ალ. სურკოვი წერდა: „ამ ლექსების ავტორი — უნიჭიერესი პოეტია. მას დიდი და მოსიყვარულე გული აქვს, იგი ჩვენი ქვეყნის და ჩვენი პოეზიის უერთგულესი მეგობარია... კეთილი გზა დავულოცოთ კვაზიმოდოს ლექსებს საბჭოთა მკითხველთა გულებისაკენ!“

ჩემს მიერ ქართულ ენაზე თარგმნილ რამდენიმე ლექსს მე მინდა წავუმძღვარო იგივე სიტყვები.

უსაზღვროდ თბილი მხოლოდ დედას ჰქონდა
ხელები
და მათში იყო ფერფლწაყრილი ნაღვერდალივით
უშრეტი ძალა ჩვილ სინაზეს შეფარებული...

უცნობო მხარევ!
აღარა ხარ უცნობი, გიცან!
რუსეთო, შენ ხარ, კაცთმოყვარე, გულისხმიერი
ტოლსტოის მხარე! არა ცივი მოუსაფრობა
საავადმყოფოს სარკეებში არეკლილ თოვლის,
არამედ — ჩემსკენ გამოწვდილი თბილი ხელები...
მილიონობით სამეგობროდ გაწვდილი ხელი!

მოსკოვი, 1961 წ.



## სასამართლოს ქრონიკიდან

გაზეთი მშრალად იუწყება: ეს მოხდა
ათას
ცხრაას ორმოცდათექვსმეტი წლის,
დეკემბრის ჩვიდმეტს...
საღამო იყო.

კლოდ ვივიემ და ჟან სერმიემ, —
ორმა ყმაწვილმა უპატრონო ბავშვთა სახლიდან, —
სავსებით მშვიდად, გულცივად და რაც მთავარია
სულ უმიზეზოდ, ყოველგვარი მიზნის გარეშე,
ტყვია ესროლეს ახალგაზრდა შეყვარებულებს,
როცა ისინი სენ-კლუს პარკში დასეირნობდნენ...
მკვლელები იქვე დააკავეს.
პოლიციაში
კლოდმა უტიფრად განაცხადა, რომ ჩადენილი
არ მიაჩნია ბოროტებად, დანაშაულად...
და ამ ობობამ მოითხოვა მიეცათ მისთვის
ვერსალის ცნობილ საპატიმროში
შესაფერისი, ღირსეული საკანი, სანამ
გამოიტანდა სასამართლო განაჩენს,
სანამ
განაჩენს წერტილს დაუსვამდა გილიოტინა...

ო, წარსულ დროთა ლათინელებო!
თქვენ გეუბნებით, უხუცესნო წინაპართ შორის,
ფხიზლად იყავით და გაუფრთხილდით
ცხოვრების ყველა ფასეულობას!
და დაიცავით ეს ცხოვრება იმათგან, ვისაც
შურით აღავსებს სიყვარულის მხოლოდ ხსენება,
ვისაც ესოდენ სძულს სიწმინდე, უმანკოება,
ვისაც იმედი — სიღატაკემ გადაუწყვიტა
და
უდარდელი
დღეს ყველაფერს აუფასურებს...

იმედი —
მუდამ მწუხარეა და სევდიანი...
ჩვენ კიდევ
ჩვენი საკუთარი კლოდი და ჟანი
მოგვევლინება, თუ დროულად ვერ დავადგინეთ
სამართლიანი თანაფარდობა
და ერთ სასწორზე
მისხალ-მისხალ არ გამოვწონეთ
ის, რაც სხვას მისცა ადამიანმა
და ის, რაც სხვისგან მიიღო თვითონ.

## რკინისფერი ავდარი



შენ ისე ხშირად იმეორებდი:
„გარდაცვალება“...
„სიმარტოვე“...
„დუმილი“...
„სევდა“...
თითქო „სიცოცხლე“ გსურდა გეთქვა,
ან „სიყვარული“...
და ყოველ დილით
ქედებიდან დგებოდა ქარი
და რკინისფერი, ნაწვიმარი ამინდი მაშინ
ქვებზე დამხობილ გუმბათს ჰგავდა,
სადაც ისმოდა
ხმადაგუდული, განწირული ზმუილი ჩვენი...

ჭეშმარიტება მიუწვდომელ ვარსკვლავს ჰგავს დღესაც...
თქვენ გეკითხებით:
აბრასავით გაკრულო ჯვარზე
და შენ — რუმბივით გაბერილო ადამიანო,
კოტიტა თითებს რომ ილებავ მოყვასთა სისხლით, —
რა ვუპასუხო მათ, ვინც ჩემგან მოელის პასუხს?
ვით მოვახერხო და მოვასწრო პასუხი, სანამ
დუმილი თვალებს ამომივსებს,
სანამ სხვა ქარი
ჩამოუქროლებს ახალ ნერგებს
და სანამ ქვეყნად
ახალ, ჟანგისფერ ყვავილობის დადგება ჟამი?

თარგმნა იტალიურიდან
**მიხეილ ქვლივიძემ**



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

— მოსკოვში აუცილებლად მოვიგებთ, — დაბეჯითებით თქვა ვორონინმა, — ვიქტორ პონედელნიკი უკვე გამოჯანმრთელდა და ისევ დაიჭერს თავის ადგილს.

ვორონინს ყველანი დაეთანხმნენ. მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ როგორ სჯეროდათ მეგობრებს პონედელნიკისა.

მოსკოვში თამაშის წინ, როცა შვედების მწვრთნელმა ნიმანმა მოედანზე პონედელნიკი დაინახა, თქვა: — თამაში წავაგეთ!

მართლაც, პონედელნიკმა ორი ბურთი გაახვია შვედების კარის ბადეში.

ერთხელ სლავას ვკითხე, რა განსხვავებაა დღევანდელ და თხუთმეტი წლის წინანდელ ფეხბურთს შორის-მეთქი. მან გაიცინა და მითხრა:

„— ზუსტად იგივე რაც „უ-2“-სა და „ტუ-104“-ს შორის“.

მერე დასძინა:

„— რა თქმა უნდა, ვხუმრობ, მაგრამ განსხვავება ძალიან დიდია; ამას თავისი მიზეზები აქვს. ფეხბურთი ერთ დონეზე როდი დგას. იგი ვითარდება, ვითარდება მრავალმხრივ. ძალზე ამაღლდა



# სლავა მეტრეველი

**გურამ ფანჯიკიძე**

საერთო ტექნიკური დონე. ტაქტიკაზე ხომ ნულარაფერს ვიტყვით. საკმარისია გადაიკითხოთ საბჭოთა ფეხბურთის შესანიშნავი ოსტატის გრიგოლ ფედოტოვის ჩანაწერები, რომ თვალწინ წარმოგიდგეთ ფეხბურთის ტაქტიკური არსენალის უდიდესი წინსვლის და განვითარების ნათელი სურათი.

ფედოტოვი იგონებს, თუ როგორ გამდიდრდა და შეიცვალა ფეხბურთის ტაქტიკური ბრძოლის საშუალებანი, როცა შემოვიდა „დუბლ ვეს“ სისტემა. შემდგომში ამ სისტემამ კვლავ თავისებური ევოლუცია განიცადა. გამდიდრდა დაცვისა და თავდასხმის ტაქტიკური ხერხები. ახალმა სისტემამ ახალი ამოცანები დააყენა ფეხბურთელთა ტექნიკის წინაშე. ბევრი ისეთი ტექნიკური ილეთი, რაზეც უწინ ტაშს უკრავდნენ, დღეს ფეხბურთელის საბრძოლო არსენალის მინიმუმში შედის.

უკვე აღარ ვლაპარაკობ იმ რთულ საფეხბურთო ტაქტიკაზე, რომელსაც დღეს ფლობენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდები. გაივლის წლები და დღევანდელი საფეხბურთო სტრატეგიაც მოძველდება. ახალი ტაქტიკა ფეხბურთელების წინაშე კიდევ უფრო დიდ ამოცანებს დააყენებს. საჭირო გახდება სისწრაფის გაზრდა, მეტი ფიზიკური გამძლეობა, მთელს მოედანზე სწრაფი მანევრირება და, რა თქმა უნდა, ბურთის უნაკლოდ დამუშავება უდიდესი სისწრაფის დროს.

თუ გადავხედავთ თხუთმეტ-თექვსმეტი წლის წინანდელ ფეხბურთს, დავინახავთ, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულისთვის, თასისა და საპრიზო ადგილებისათვის ძირითადად ერთიდაიგივე გუნდები იბრძოდნენ. ხოლო განსხვავება ამ მოწინავეებსა და დანარჩენ გუნდებს შორის კატასტროფულად დიდი იყო. დღეს კი „ა“ ჯგუფში ჩვიდმეტი გუნდია და ისეთი ძლიერი გუნდებიც კი, როგორებიც არიან მოსკოვის „სპარტაკი“, „დინამო“, „ტორპედო“ — გარანტირებულნი არ არიან, რომ გაიმარჯვებენ თვით მეორე ეშელონიდან ახლად გადმოსულ გუნდებთანაც კი.

ერთ საგულისხმო ფაქტსაც გავიხსენებ. ქართველ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ რა გამანადგურებელი ანგარიშებით უგებდა თბილისის ოფიცერთა სახლი შუა აზიის რესპუბლიკების გუნდებს. ხშირად თითო თამაშზე ათი ბურთი გაჰქონდათ მოწინააღმდეგის კარში.

დღეს კი... ამავე გუნდებთან თბილისის „დინამოს“ ყოველთვის როდი აქვს სასურველი შედეგი.

ამით იმის თქმა როდი მინდა, რომ უწინ ნაკლები ტალანტის ფეხბურთელები იყვნენ. აქ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ფეხბურთელის ტალანტი და ფეხბურთის საერთო დონე.

ვარსკვლავები მაშინ უფრო მეტიც იყვნენ. განა ვინმეს დაავიწყდება პაიჭაძის, ფედოტოვის, ბობროვის, ტროფიმოვის, სემიჩასტნისა და სხვათა სახელები? მაგრამ ჩვენ „ვარსკვლავებზე“ არ ვლაპარაკობთ. „ვარსკვლავები“ ცალკე მოვლენაა. მე მხედველობაში მაქვს საშუალო ფეხბურთელი. დღევანდელი საშუალო ფეხბურთელი გაცილებით მაღლა დგას მაშინდელზე, როგორც ტექნიკურად, ასევე ტაქტიკურადაც. ამიტომაც არის, რომ დღევანდელი საშუალო საფეხბურთო კოლექტივები არც ისე ხელწამოსაკრავნი არიან. წელან ვთქვი და ყოველთვის ვიტყვი, რომ თვით მეორე ეშელონიდან ახლად გადმოსული გუნდები მრავალ საუკეთესო კოლექტივს გაამწარებენ.“

სლავა მეტრეველი თავდამსხმელია, თანაც ისეთი თავდამსხმელი, რომელსაც მოწინააღმდეგის ყოველი მწვრთნელი საგანგებოდ ითვალისწინებს სამოქმედო ტაქტიკური გეგმის შემუშავების დროს. მცველს, რომელსაც ევალება თბილისელთა მარჯვენა გარემარბის „დაჭერა“, დამხმარედ ყოველთვის მეორე კაცი ჰყავს მიჩენილი. უფრო ხშირად კი მისი პირადი ამოცანაა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, თამაშიდან გამოთიშოს ეს უძლიერესი ფეხბურთელი.

„— ხშირად მე და არა მარტო მე, ყველა ფეხბურთელს ძლიერ მოწინააღმდეგესთან უკეთესი თამაში გამოგვიდის. ეს პარადოქსი არ გეგონოთ. განა თბილისის „დინამოს“ თავისი საუკეთესო მატჩები უძლიერეს გუნდებთან არ ჩაუტარებია, ეს იყო მოსკოვის „სპარტაკი“ თუ „დინამო“, „ტორპედო“ თუ კიევის „დინამო“, „რესინგი“ თუ „შეფილდ უენსდეი“, „ვულვერჰემპტონ უენდერერსი“ თუ „ბაია“!

სუსტი მცველი ყოველთვის ცდილობს თამაში ჩაგიშალოს საკმაოდ არასპორტული მეთოდებით, —განაგრძობდა სლავა, — როცა ბურთს მავილებ და წინ მივისწრაფვი, ტანში მაყრიალებს. აი ახლა ეს მცველი ან უხეშად დამეჯახება, ან ფეხს მატკენს, ან ხელს მაისურში ჩამავლებს.

განა იერიშის დროს ამაზე უნდა ფიქრობდე? ცრუ მოძრაობის დროს მთელი ყურადღება მხოლოდ ბურთზე უნდა გქონდეს გადატანილი. ერთი წამით ყურადღების დაკარგვა ბურთის დაკარგვას ნიშნავს.

ცხადია, კარგი ფეხბურთელი კი არასოდეს იკადრებს ასეთ საქციელს. თუ კაცს ფეხბურთი გიყვარს და თამაშში სიამოვნებას ნახულობ, არ შეიძლება ფეხბურთელს უდიერად მოექცე“.

მსოფლიოს სხვადასხვა გუნდები დაცვის სხვადასხვა პრინციპებს იყენებენ. ზოგს პერსონალური დაცვა მოსწონს, ზოგს ზონალური, ზოგ თავდამსხმელს ურჩევნია მოწინააღმდეგემ პერსონალურად დაიჭიროს, ზოგი კი ზონალური დაცვის წინააღმდეგ თამაშს ამჯობინებს. თბილისის დინამოელებს ყოველთვის ურჩევნიათ ზონალური დაცვის წინააღმდეგ ითამაშონ. ეს არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის მიხეილ მესხს, შოთა იამანიძეს, ვლადიმერ ბარქაიას; ქართული ფეხბურთის ძირითადი იარაღი დრიბლინგია, ხოლო ზონალური დაცვა თავდამსხმელს მეტ თავისუფლებას აძლევს.

ბევრი მატჩი მინახავს, როცა მოწინააღმდეგეებს ზონალური დაცვით უთამაშნიათ. დაცვის ასეთი სისტემის დროს მცველთა თამაშს მეტი შემოქმედებითი საშუალებანი აქვს. თამაშიც უფრო ლამაზი გამოდის. პერსონალური დაცვის დროს კი მცველები თითქოს თვითონ კი არ თამაშობენ, ხელს უშლიან მოწინააღმდეგის თამაშს. ზონალური დაცვის დროს უფრო ნაკლებ მოსალოდნელია რომელიმე ცალკეული მცველის დაჩაგვრა, ხოლო მცველებს მეტი საშუალება ეძლევათ შეუტიონ მოწინააღმდეგის კარსაც კი. ერთი სიტყვით ზონალური დაცვა უფრო შემოქმედებითი მეჩვენება.

ჩემი აზრი სლავა მეტრეველს გავუზიარე. აი, რა მითხრა მან:

„— რასაკვირველია, ზონალური დაცვა გაცილებით ლამაზია და შემოქმედებითი. საკმარისია გავიხსენოთ ისიც, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ბრაზილიის ეროვნული ნაკრები დაცვის ზონალურ სისტემას იყენებს, ეს სისტემა უფრო შემოქმედებითია; ამიტომაც არის, რომ ბრაზილიელი მცველები თვითონვე იწყებენ კომბინაციას და იშვიათად ჰკარგავენ ბურთს.

ზონალური დაცვის დროს ისინი ხელს კი არ უშლიან მოწინააღმდეგეს, არამედ ეთამაშებიან.

მაგრამ ზონალურ დაცვას ერთი ნაკლი აქვს. იგი ძალზე მაღალტექნიკურ ფეხბურთელებს მოითხოვს. მცველებს, რომლებიც ამ სისტემას იყენებენ, უნდა ჰქონდეთ ძალზე მაღალი ტექნიკა და სწრაფი ტაქტიკური მანევრირების უნარი.

პერსონალურმა დაცვამ, რასაკვირველია, მეტი მიმდევარი მოიპოვა. საშუალო კლასის მცველს ურჩევნია მჭიდროდ აიყვანოს თავისი თავდამსხმელი და რადაც არ უნდა დაუჯდეს, არ მისცეს თამაშის საშუალება. მაგრამ ეს ტაქტიკა ყოველთვის როდი ნახულობს გამართლებას. ბრაზილიელებს არასდროს არ ეშინოდათ პერსონალური დაცვის წინააღმდეგ თამაში. მაღალი კლასის ფეხბურთელის დაჭერაც ასე იოლი როდია.

სამხრეთ ამერიკაში ჩვენი ტურნეს დროს ძალზე მაღალი კლასის ფეხბურთელების წინააღმდეგ მოგვიხდა თამაში. საბჭოთა ფეხბურთელები საერთოდ პერსონალურ დაცვით სისტემას იყენებდნენ, და, არც თუ ისე ცუდად. ჩვენი მცველები ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ასე ვთქვათ, „მჭიდროდ აეყვანათ“ სამხრეთ ამერიკელები, განსაკუთრებით ურუგვაელები და მათთვის არ მიეცათ ბურთის მიღების საშუალება. ამ დროს ურუგვაელებმა ასეთი ხერხი გამოიყენეს: ისინი მცველისაკენ ყოველთვის ზურგით იდგნენ. ბურთს პირდაპირ ფეხებში იღებდნენ და მოწინააღმდეგისგან კორპუსით იცავდნენ. ამის მერე მათ მაღალი ტექნიკა საშუალებას აძლევდა შემობრუნებულიყვნენ პირით მცველისკენ და იწყებდნენ ცრუ მოძრაობით გასვლას. ასე რომ, პერსონალური დაცვის ძირითადი პრინციპი — მოწინააღმდეგეს თავს დაესხა ბურთის მიღების მომენტში — გაბათილებული იყო. ამის დიდოსტატად შეიძლება ურუგვაელი კუბილა ჩაითვალოს“.

„— ძნელია იმის თქმა, საბოლოოდ დაცვის რომელი სისტემა სჯობია, — მითხრა მეტრეველმა,— თვით ბრაზილიელებიც კი კლუბების შეხვედრისას პელეს და გარინჩას წინააღმდეგ დაცვის პერსონალურ სისტემას იყენებენ. ერთი კაცი ყოველთვის დასდევს მათ და ხელს უშლის თამაშში.

პირადად მე ლამაზი ფეხბურთი მიყვარს. ალბათ ამიტომ ჩემი სიმპათია უფრო ზონალური დაცვის მხარეს იხრება“.

* * *

არის მატჩები, რომელიც არასოდეს არ წაიშლება ფეხბურთელის გონებიდან. სლავა მეტრეველს

---

* დასასრული. იხ. „დროშა“, № 5, 6, 7.

მსოფლიოს ბევრ სტადიონზე უთამაშია, ბევრი გულშემატკივარი მოუხიბლავს თავისი ვირტუოზული ტექნიკით. მაგრამ, ბუნებრივია, ფეხბურთელს ყველაზე უფრო ის მატჩი დაახსომდება, სადაც ყველაზე დიდი გამარჯვება მოიპოვა.

„— მე არასოდეს დამავიწყდება ევროპის თასის ფინალი პარიზში. ჩვენი მოწინააღმდეგენი იუგოსლაველი ფეხბურთელები იყვნენ. მოედანზე ლამაზი და ვაჟკაცური ბრძოლა გაჩაღდა. გამარჯვებული დამატებით დროში გამოვლინდა. თასი საბჭოთა ფეხბურთელებმა მოვიპოვეთ. მე განსაკუთრებით გახარებული ვიყავი, იმ ორი ბურთიდან, რომელიც საბჭოთა ფეხბურთელებმა გავიტანეთ, ერთის ავტორი მე გახლდით.

განა შეიძლება იმ სიხარულის აღწერა, რომელსაც ჩვენ განვიცდიდით, როცა ევროპის თასით ხელში საპატიო წრე გავაკეთეთ პარიზის უდიდეს სტადიონზე?"

სლავა მეტრეველის სახელი გაიგო მთელმა მსოფლიომ. სპეციალისტებმა და ფეხბურთის გულშემატკივრებმა იგი პლანეტის ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელად აღიარეს.

1968 წელს პოლონური სპორტული ჟურნალის „სპორტოვეცის" კონკურსზე სლავა მეტრეველი ევროპაში უძლიერეს მარჯვენა გარემარბად აღიარეს რაიმონ კოპას შემდეგ.

1962 წელს ჩეხურმა სპროტულმა ჟურნალმა „კოპანამ" მოაწყო კონკურსი სათაურით — „ვის თვლით ყველაზე ძლიერ ფეხბურთელად ჩეხოსლოვაკიაში და საზღვარგარეთ".

რედაქციამ ათასობით სხვადასხვა პროფესიის გულშემატკივართა პასუხები მიიღო. მარჯვენა ფრთაზე 516 ქულით დასახელებულია სპორტის დამსახურებული ოსტატი სლავა მეტრეველი. 480 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა რ. სანჩესი; ეს უკვე უდიდესი აღიარებაა თბილისელთა მარჯვენა გარემარბის საფეხბურთო ტალანტისა.

პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრის შემდეგ პოლონელთა მწვრთნელმა თადეუშ ფორიშმა განაცხადა: „მოედანზე საუკეთესონი იყვნენ მეტრეველი, მესხი, ივანოვი და იაშინი. მე ვიტყოდი, პირველი ტაიმი მოიგო მეტრეველმა, მეორე მესხმა".

ევროპის თასის ფინალის შემდეგ იუგოსლავიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ა. ტირნანიჩმა „ფრანს პრესის" კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, — მეტრეველს, მესხსა და შეკულარაცს მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულში შევიყვანდიო.

სლავა მეტრეველი უძლიერეს ფეხბურთელად აღიარეს არგენტინაში, ჩილიში და ურუგვაიში — ფეხბურთის ვარსკვლავების ქვეყანაში.

აი რას წერს გერმანელი სპორტული მიმომხილველი მაკი, რომელიც სპეციალურად დაესწრო ამ ქვეყნებში საბჭოთა ფეხბურთელების მატჩებს:

„არგენტინისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეხვედრა იყო ტექნიკურად ყველაზე უკეთესი თამაში ამ უკანასკნელ წლებში სამხრეთ ამერიკაში ჩატარებული შეხვედრებიდან, ამავე დროს, იგი იშვიათი კორექტულობითაც გამოირჩეოდა. როდესაც იაშინმა ტრავმის გამო ასპარეზობის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მოედანი დატოვა, იგი 100 ათასმა მაყურებელმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვა. მატჩის დამთავრების შემდეგ კი, ხელოვნური დაბრკოლების მიუხედავად, მოედანზე ხალხი გაიჭრა და გამარჯვებულ ფეხბურთელებს შემოეხვია.

აღფრთოვანებული მაყურებელი ზვავივით დაიძრა მეტრეველისა და მესხისაკენ. პირველი თვალის დახამხამებაში დაატყვევეს და მაისური გახადეს, რომლის ნაფლეთებიც სუვენირებად დაინაწილეს. მესხმა კი გონებამახვილური ფინტებით თავი დააღწია სუვენირებზე მონადირეებს".

შემდეგ მაკი ორთავე გარემარბს „აბსოლუტური საერთაშორისო კლასის მოთამაშეებს" უწოდებს.

სლავას ვერც კი წარმოუდგენია უფეხბურთოდ სიცოცხლე როგორ შეიძლება.

„როგორც კი თამაშს ვეღარ შევძლებ, — თბილისში მწვრთნელად ვიმუშავებ", — მითხრა ერთხელ მან.

მწვრთნელობამდე ჯერ ძალიან ადრეა. დაე, მსოფლიოს უდიდეს სტადიონებზე კიდევ ბევრჯერ დაენაწილებინოთ სუვენირებად სლავა მეტრეველის მაისურის ნაფლეთები.

# ვინ შემოიღო ყვავილის აცრა

საინტერესო ფაქტები

ვინ შემოიღო ყვავილის აცრა? ვინ იყო ამ საქმის დამწყები მსოფლიოში? — რა თქმა უნდა, ინგლისელი ექიმი ედუარდ ჯენერი; ასე გვიპასუხებს, ალბათ — მკითხველების უმრავლესობა. ასე გვიპასუხებს ისტორიაც. იგი მოგვითხრობს, თუ როგორ ჩამოასხეს ჯენერის საპატივცემლოდ მედალი, როგორ დააჯილდოვა იგი ინგლისის პარლამენტმა ოცდაათი ათასი გირვანქა სტერლინგით, რაც იმ დროისათვის საკმაოდ დიდი თანხა იყო, როგორ მიართვეს მას ლონდონის საპატიო მოქალაქის დიპლომი ბრილიანტებით მოოჭვილი ყუთით და როგორ გაუგზავნა რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე მეორემ ბრილიანტის ბეჭედი განსაკუთრებული სამადლობელო რესკრიპტით.

მაგრამ ისტორიაც ზოგჯერ ღალატობს სამართლიანობას და თავის იდუმალებით მოცულ სიღრმეში ხშირად საუკუნოობით მალავს ხოლმე ჭეშმარიტებას.

დღესაც ალბათ ბევრმა როდი იცის, რომ ინგლისელ ე. ჯენერზე ბევრად ადრე ყვავილს უცრიდნენ საქართველოში.

აი რას აღნიშნავს თავის ჩანაწერებში მედიცინის დოქტორი, აკადემიკოსი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, რომელიც 1772 წელს იმყოფებოდა თბილისში, ერეკლე მეფის კარზე:

„15 მაისს ასზე მეტ ბავშვს აუცრეს ყვავილი. მე განსაკუთრებით ვადევნებდი თვალყურს ჩემი სახლის პატრონის ექვსი წლის ჯანმრთელ ბიჭუნასა და გოგონას, რომელიც წლისაც არ იყო და ჯერ კიდევ სწოვდა. გოგონას სირსველები აწუხებდა. ბავშვებს ერთი კვირის განმავლობაში ავადმყოფობამდე და ავადმყოფობის დროს არ აძლევდნენ ხორცს, თევზს და ბრინჯს. აძლევდნენ მხოლოდ ხორბლის პურსა და რძეს.. ამცრელი დიდი დანის წვერით ცერსა და საჩვენებელ თითს შორის ღრმულში უკეთებდა ნახევარდუიმის ხელა არაღრმა, სისხლიან, ჯვრის ფორმის ჭრილობას. იგი დანის წვერს აწობდა რქაში, სადაც ყვავილის შრატი იყო, წმენდდა სისხლს ბამბით და უსვამდა ჭრილობაზე წამლიან დანას, მერე ზედ ბამბას ადებდა და ნაჭრით უხვევდა.

ბავშვები ჩვეულებისამებრ სუფთა ჰაერზე ჰყავდათ. ისინი 19 მაისამდე გამოჯანმრთელდნენ, ამასთან ჭრილობაზე გაჩნდა სამი ნაყვავილარი. 22 მაისს ეს ნაყვავილარები ამობურცდნენ და გათეთრდნენ, 23 მაისს — გაერთიანდნენ. ბავშვები კი ავად არ იყვნენ, მხიარული ბიჭუნა ფეხშიშველა დარბოდა. ამ დღეს მე ქალაქგარეთ გავედი და 2 ივნისს დავბრუნდი. ბიჭი მორჩენილი დამხვდა და გავიგე, რომ მას ნაყვავილარები მეტი აღარ ჰქონდა, გოგონას კი მთელ ტანზე ეყარა, მაგრამ ისინი არ შეერთებულიყვნენ და ახლა უკვე იქერცლებოდნენ.

დღეს საღამოს (ე. ი. 23 მაისს) ვინახულე ბატონიშვილი იულონი, რომელსაც რამდენიმე დღის წინ აუცრეს ყვავილი" (იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში; ტომი I, გვ. 63, 65, 67).

ედუარდ ჯენერმა ყვავილი პირველად აუცრა რვა წლის ბიჭუნას 1796 წლის 14 მაისს, ანუ თითქმის მეოთხედი საუკუნით გვიან ქართველი ექიმის მიერ გაკეთებულ იმ ვაქცინაციაზე, რომლის მოწმეც აკადემიკოსი გიულდენშტედტი გახლდათ.

და თუ გიულდენშტედტის ყოფნის დროს საქართველოში ყვავილის აცრის ანუ ვაქცინაციის კულტურა ასეთ მაღალ დონეზე იდგა, საფიქრებელია, რომ იგი საქართველოში კიდევ უფრო ადრე, შეიძლება ჯენერამდე ასი წლით ადრეც იყო შემოღებული. მაგრამ ქართველი დასტაქარის საპატივცემლოდ არც სპეციალური მედალი მოუჭრიათ, არც საპატიო მოქალაქის წოდება მიუციათ და არც იმპერატორებს მიუძღვნიათ მისთვის ბრილიანტებით მოოჭვილი ბეჭდები და ყუთები. ის კი არა, ისტორიამ მისი ვინაობაც კი არ შემოგვინახა და არა მარტო პრიორიტეტი, არამედ მისი სახელიც კი დაუკარგა შთამომავლობას.

რას იზამ, ისტორიამ იცის ხანდახან ასეთი ოინები!

# რამდენ ხანს ცოცხლობს ადამიანი

ხანგრძლივი ოჯახური ცხოვრების მსოფლიო რეკორდი ეკუთვნით უნგრელ იანოშ როვენს და მის მეუღლეს სარას, რომლებმაც ერთად 147 წელი იცხოვრეს. ისინი 1825 წელს გარდაიცვალნენ. ამ დროისათვის იანოში 172 წლისა იყო, მისი მეუღლე სარა კი 164 წლის. ცოლ-ქმარს 116 წლის ვაჟიშვილი დარჩათ.

* * *

1654 წლის 81 ივლისს კარდინალმა დარმანიაკმა შემთხვევით დაინახა ქუჩაში ტირილით მიმავალი 80-ოდე წლის მოხუცი. კარდინალის შეკითხვაზე, მოხუცმა მიუგო, რომ იგი მამამ გალახა. როგორც გამოირკვა, მოხუცის მამა 118 წლისა იყო. მან კარდინალს აუხსნა, რომ იძულებული გახდა გაელახა შვილი, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა პაპას. გაოცებული კარდინალი მიწურში შევიდა, სადაც მას 143 წლის განრისხებული მოხუცი დახვდა.

* * *

შოტლანდიელი მეთევზე ჰენრი ჯონ კინსი 1670 წელს გარდაიცვალა. როგორც ინგლისის სასამართლო საქმეების არქივიდან ირკვევა, იგი მოწმედ გამოუძახებიათ ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც 140 წლის წინათ მოხდა. ეს შემთხვევა ერთადერთი როდი იყო ჰენრი ჯონ კინსის ცხოვრებაში. 170 წლის მოხუცს, რომელსაც გასაოცარი მეხსიერება ჰქონდა, ხშირად იძახებდნენ მოწმედ საუკუნისა და უფრო მეტი ხნის წინათ მომხდარი ამბების გასარკვევად.

* * *

ფრანგი მეომარი ჟან ტიორელი არმიაში ირიცხებოდა XVII საუკუნიდან XIX საუკუნემდე. იგი დაიბადა 1684 წელს, 1699 წელს ტურნეს პოლკში ჩარიცხეს. ჟან ტიორელმა 100-ზე მეტ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა.

1777 წელს ლუდოვიკ XV 93 წლის მეომარს კაპიტანის ჩინი უბოძა და რეზერვში გადაიყვანა. ამის მიუხედავად, ჟან ტიორელი არმიის სიაში ირიცხებოდა და სამხედრო ყაზარმაში ცხოვრობდა.

1802 წელს ნაპოლეონ ბონაპარტემ 118 წლის ვეტერანს 1.500 ფრანკი პენსია დაუნიშნა.

143 წლის მამაცი კაპიტანი 1827 წელს გარდაიცვალა.

* * *

ცელინოგრადის ოლქში ცხოვრობს ასი წლის მოხუცი ფილიპ პუგაჩოვი, რომლის მამა მიხეილი — ემელიან პუგაჩოვის ვაჟიშვილი იყო.

ფილიპე პუგაჩოვი დაიბადა მაშინ, როდესაც მამამისი მიხეილი 90 წლისა იყო (მიხეილმა 126 წელი იცოცხლა).

* * *

მთელ მსოფლიოში 90 წლისა და უფრო დიდი ასაკის ყველაზე მეტი ადამიანი საბჭოთა კავშირში ცხოვრობს. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, ჩვენს ქვეყანაში აღრიცხულია 21.708 ადამიანი, რომლებიც ასი და მეტი წლისანი არიან.

საბჭოთა კავშირში 110 წლიდან 114 წლამდე 1.384 ადამიანია აღრიცხული, 115-დან 119 წლამდე — 532 ადამიანი, 120 და მეტი ხნისა კი — 592 ადამიანი.



# წიწილებს უშველის... პისტოლეტი

ჯერ კიდევ თბილი ქათმის კვერცხები მიცოცავენ რეზინის ბუდიდან, რომელზეც ქათამი ზის. კონვეიერის ლენტს კვერცხები დიდ მაგიდაზე გააქვს. ისინი უკვე მზად არიან ინკუბატორში შესვლისათვის. ამ დროს მაგიდასთან მოდის მუშა და პისტოლეტს უმიზნებს კვერცხებს. პისტოლეტში სუსტად გაიხმაურებს ზამბარა, ლულიდან გამოვარდება მოყვითალო, მსუბუქი კვამლი. ასე „დაიხვრიტება" ყველა კვერცხი. არ გეგონოთ, რომ ამით მომავალი წიწილები დაზარალდნენ, პირიქით, პისტოლეტით „დახვრეტას" მათთვის შემწეობა მოაქვს.

ქათმის კვერცხი კოსმოსური რაკეტის კაბინის კაფსულს ჰგავს. კოსმონავტის კაბინაში არის ყველაფერი, რაც აუცილებელია შორეული მოგზაურობისათვის: საკვები, წყალი, საჭირო რაოდენობით ჰაერი. კვერცხის ნაჭუჭის შიგნითაც არის საკვები, რომელიც სამი კვირის მანძილზე უნდა ეყოს წიწილას. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ეს მარაგი არ არის საკმარისი. ეს ითქმის განსაკუთრებით ჟანგბადზე. ნაჭუჭში მხოლოდ ერთი ციცქნა ჰაერის ბუშტულაა. ცნობილია, რომ წამოზრდილ წიწილას კვერცხში ყოფნის უკანასკნელ ორსამ დღეში ნამდვილი ფილტვები უვითარდება. იგი უფრო მეტსა და ღრმად სუნთქავს, ჰაერის ბუშტულაში კი ზოგჯერ ჟანგბადის რაოდენობა არასაკმარისია. ამის გამო, ყოველწლიურად მეფრინველეობის ფაბრიკების ინკუბატორებში რამდენიმე მილიონი წიწილა იღუპება.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ვერა როლნიკმა გამოიგონა მაშველი პისტოლეტი, რაც ხელს უწყობს წიწილების ნორმალურად გამოჩეკვის საქმეს.

პისტოლეტი გატენილია წვრილი ბურღით, რომელშიც მოთავსებულია ნამცეცა მილაკი. ეს მილაკი შეერთებულია ჟანგბადის ბალონთან. საკმარისია თითი დააჭიროთ პისტოლეტის ჩახმახს, რომ ბურღი დატრიალდება და ნაჭუჭში პატარა ხვრელს გააკეთებს. ბურღში მოთავსებული მილაკიდან კვერცხში შედის მაცოცხლებელი ჟანგბადის ულუფა, რითაც წიწილა საიმედოდ უზრუნველყოფილია ჰაერით. ბურღს ზემოდან ჩამოკიდებული აქვს პატარა პატრუქი, საიდანაც წვეთავს ცვილი და კვერცხში გაკეთებულ ხვრელს ფარავს. ცვილის გასალხობად პისტოლეტში მოთავსებულია სპეციალური გახურებული ელექტროსპირალი.

ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში იცოდნენ პრიმიტულ ინკუბატორებში წიწილების ხელოვნური გამოჩეკვა, მაგრამ ადამიანს არასდროს არ უცდია კვერცხის შიგნით შეჭრილიყო. ეს საქმე პირველად გააკეთა „ჟანგბადის პისტოლეტმა".

## უცხოური იუმორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### აზრი საკუთარ თავზე



პოეტის მეგობარი: — რამ დაგაღონა ასე?

პოეტი: — წარმოგიდგენიათ, დღეს ისეთი სტუდენტი შემხვდა, რომელმაც გოეთეს შესახებ არაფერი იცოდა.

მეგობარი: — მერე, რად გაღონებს ეგ ამბავი ასე ძალიან?

პოეტი: — დიახაც მაღონებს, ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ, მეც ასევე დამივიწყებენ.



### პლაჟზე

— მითხარით, გეთაყვა, თქვენია ეს პატარა ბიჭუნა, ჩემს მოსასხამს ქვიშაში რომ ათრევს?

— არა, ეს დისშვილია. ჩემი ბიჭი აი, ის გახლავთ თქვენს ქუდს წყლით რომ ავსებს.

### სწორად დაითვალა



ერთი ინგლისელი გლეხის ქალი, რომელსაც არასოდეს ქალაქი არ ენახა, ლონდონში ჩამოვიდა. პოლიციელს შეეკითხა, როგორ შეიძლებოდა მისულიყო ნათესავის სახლამდე.

პოლიციელმა ურჩია ოცდამეთხუთმეტე ავტობუსს გაჰყოლოდა.

გავიდა ხანი, პოლიციელმა შენიშნა, რომ ქალი ისევ იმ ადგილას დგას.

— რაშია საქმე, თქვენი ავტობუსი ჯერ კიდევ არ ჩანს?

— ო, ყველაფერი რიგზეა! — თქვა ქალმა კმაყოფილებით, — ოცდაათმა ავტობუსმა უკვე ჩაიარა. აი, ოცდამეთერთმეტეც. ახლა ოთხსაც დაველოდები და...





### რა არის სიზარმაცე

„რა არის სიზარმაცე?" — ასეთი თემა მისცა მასწავლებელმა მოსწავლეებს დასაწერად. საღამოს მან ნაწერების გასწორება დაიწყო. ფრიც ბაუერის რვეულის პირველი გვერდი ცარიელი იყო, ცარიელი იყო მეორე და მესამე გვერდიც, მეოთხეზე კი ეწერა: „აი ეს არის სიზარმაცე!"

### საზრისიანი მგზავრი

— უკვე მოვედით. უნდა გადაიხადოთ თორმეტი მარკა! — ეუბნება შოფერი მგზავრს.

— გთხოვთ, მანქანას ცოტა უკან დაახევინოთ, მე მხოლოდ ათი მარკა მაქვს!



გარეკანის პირველ გვერდზე: იალაღზე. ფოტო Ო. ᲗᲣᲠᲥᲘᲐᲡᲘ და Ე. ᲙᲔᲡᲝᲕᲘᲡᲐ. ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ: ღამე ზღვაზე. ფოტო Თ. ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲘᲡᲐ. ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ: ერევანი. ლენინის მოედანი. ფოტო Თ. ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲘᲡᲐ.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. ხაკაშვილი

პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

ᲡᲐᲥ. ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ᲤᲐᲡᲘ 30 ᲙᲐᲞ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VIII-64 წ. გამომც. № 78, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 1938, უე 04521

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.




ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანეთში

ფოტო თ. არჩვაძისა

ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა